ვინ იხდის 200 000-ს? A2

საქართველოს პრეზიდენტი იერუსალიმში A8

გულახდილად B6



www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური


© გაზეთი 24 საათი

შაბათი, 31 ივლისი, 2004 წელი. №180 (729)

ფასი 50 თეთრი

### ეკონომიკა

## წუთობრივი გადასახადის დაწესება გადაიდო



საქართველოს პარლამენტი ელექტროკავშირის აბონენტთათვის წუთობრივი გადასახადის დაწესების პერსპექტივით დაინტერესდა.

A4

### უცხოეთი

## რევოლუციიდან პროსტიტუციისაკენ



კომანდანტეს "დაუძინებელი" მტრის, ჯორჯ ბუშ უმცროსის განცხადებით, კუბაზე პროსტიტუცია სახელმწიფოს მფარველობის ქვეშაა.

A5

### საზოგადოება

## ინატრეთ ასი წელი



სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გამართულ საქველმოქმედო აქციაზე საუკუნეს გადაბიჯებულმა სამოცდაათმა ადამიანმა საჩუქრად 50 ლარი მიიღო.

A6

### სამართალი

## გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში უამრავი დეტალი კვლავ ბუნდოვანია



გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას განაჩენი გუშინ უკვე მეორედ გამოუტანეს. თუმცა საქმეში, რომელსაც გიორგი სანაიას მკვლელობა ჰქვია, კვლავ უამრავი დეტალი დარჩა ბუნდოვანი.

A7

# პოსტკონფლიქტური კატასტროფა



*აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისთვის პირველადი მოხმარების საგნები დღესაც დიდი "ფუფუნებაა".*

ეთერ მამულაშვილი

*უკვე ათ წელზე მეტია, აფხაზეთი საქართველოს იურისდიქციის მიღმა არსებობს. ამ პერიოდში ეს პერსპექტიული და ეკონომიკურად ძლიერი კუთხე "მაჩანჩალად", რუსული უკანონო ინვესტიციების სამიზნედ, კონტრაბანდის არენად და სოციალური კატასტროფის ადგილად გადაიქცა.*

**ეკონომიკური ვითარება**

სეპარატისტული აფხაზეთის ეკონომიკის თითქმის ყველა საკვანძო სექტორს სახელმწიფო კომპანიები განაგებენ. ამჟამად აფხაზეთში 16 ასეთი კომპანიაა: მშენებლობის, ტურიზმის და დასვენების, აგროკომპანია, ენერგეტიკის, სარკინიგზო, კომუნიკაციების, საზღვაო-სანაოსნო, საჰაერო ხაზების, საავტომობილო გზების, ღვინის ინდუსტრიის, თამბაქოს წარმოების, ხე-ტყის მეურნეობის, ნავთობპროდუქტების, სათბობის, მეთევზეობის და ტელევიზიის სახელმწიფო კომპანიები.

აფხაზეთის ეკონომიკაში ორი დარგი დომინირებს: სოფლის მეურნეობა და ვაჭრობა. მრეწველობა, ისევე როგორც ეკონომიკის სხვა დანარჩენი სექტორები, უმძიმეს მდგომარეობაშია. საწარმოთა უმრავლესობა გაჩერებულია. მოსახლეობის მიერ მოხმარებული პროდუქტი მნიშვნელოვნად აღემატება წარმოებულს. ეს გარემოება შეიძლება აიხსნას დამატებითი შემოსავლების არსებობით, რომელთა წყაროებია: რუსეთისა და სხვა ქვეყნების სახელმწიფო და კომერციული სტრუქტურების მიერ გაწეული მატერიალური და ფინანსური დახმარებები;

გაგრძელება A3 გვერდზე

# აქ ცხოვრება სამჯერ უფრო ძვირია

*აფხაზეთში უკანონოდ განხორციელებული რამდენიმე ასეულ-მილიონიანი უცხოური (ძირითადად, რუსული) ინვესტიციის მიუხედავად, რეგიონში ცხოვრების დონე სამჯერ და ოთხჯერ უფრო დაბალია, ვიდრე საქართველოს დანარჩენ ტერიტორიაზე. მარტივი შედარებისთვის: ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა დღეს, ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, 1200 დოლარს აღწევს, მაშინ, როცა აფხაზეთში, უკანასკნელი მონაცემებით, ეს მაჩვენებელი 350-400 დოლარს არ აღემატება. კიდევ უფრო შემაშფოთებელია ბიუჯეტიდან ერთ მოსახლეზე გაწეული ხარჯების შეფარდება. თუკი ცენტრალური ხელისუფლება საკუთარი მოქალაქის კეთილდღეობისთვის წელიწადში საშუალოდ 230 დოლარს ხარჯავს, აფხაზ სეპარატისტთა ხელისუფლება საამისოდ 30-40 დოლარზე მეტს "ვერ იმეტებს". ექსპერტული შეფასებებით, ამ მაჩვენებლებით აფხაზეთი დღეს აფრიკის დაბალგანვითარებული ქვეყნის დონეზე იმყოფება.*

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად საქართველოში შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა არცთუ სახარბიელოა, კახელი, იმერელი, აჭარელი, რაჭველი, ან თუნდაც ხევსური გლეხი, აფხაზეთის რიგით მაცხოვრებელთან შედარებით, შეიძლება ითქვას, რომ ფუფუნებაში ცხოვრობს.

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ სეპარატისტთა ბიუჯეტი წელს, 2002 წელთან შედარებით, თითქმის გაორმაგებულია, თუმცა ის ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩება საქართველოს ნებისმიერ რეგიონს. შედარებისთვის: წელს აჭარაში წლის ბოლომდე ბიუჯეტში 130 მილიონი ლარის მობილიზებას გეგმავენ, აფხაზეთში კი ეს მაჩვენებელი ქართულ ლარებში 30 მილიონზე ნაკლებია.

გაგრძელება A3 გვერდზე

## ოსი სეპარატისტები პროვოკაციებს განაგრძობენ

ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლება ცეცხლთან თამაშს განაგრძობს, ამ სიტყვების პირდაპირი მნიშვნელობით: პარასკევს ღამით ოსურმა მხარემ დიდი ლიახვის ხეობაში ინტენსიური ცეცხლი გახსნა. დაახლოებით, ნახევარი საათის განმავლობაში ქართული სოფლების, აჩაბეთის და თამარაშენის მიმართულებით სროლა წარმოებდა სხვადასხვა ტიპის იარაღიდან, მათ შორის, მძიმე ტექნიკიდანაც. პოლიციას და კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართულ დანაყოფებს საპასუხო ცეცხლი არ გაუხსნიათ.

თამარაშენის მოსახლეობის ცნობით, სროლების შედეგად 4 ადამიანი დაიჭრა. ისინი სოფელ ქურთას საავადმყოფოში გადაიყვანეს და პირველადი დახმარების შემდეგ საავადმყოფოდან გამოწერეს.

**"ბოლო პერიოდში კონფლიქტის ზონაში ვითარების გამწვავების შემდეგ, პარასკევს ღამით მომხდარი სროლა ყველაზე ძლიერი და ინტენსიური იყო,"** - განაცხადეს სოფლის წარმომადგენლებმა.

საქართველოს ოფიციალური სტრუქტურები სროლის ფაქტს ადასტურებენ, თუმცა, თამარაშენში დაჭრილების არსებობის შესახებ ცნობას არ ავრცელებენ.

გაგრძელება A2 გვერდზე

## "საქართველო ფიქციაა, მისი მთლიანობა - ნონსენსი"

### ოსი ახალგაზრდების პიკეტი რუსეთის დუმის წინ

მოსკოში მცხოვრებმა ოსი ეროვნების ახალგაზრდებმა რუსეთის სახელმწიფო სათათბიროსთან აქცია გამართეს. საპროტესტო პიკეტი მოსკოვის ხელისუფლების მიერ იყო სანქცირებული და ნახევარი საათის განმავლობაში გრძელდებოდა.

**"პუტინო! სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დაკარგვით კავკასიასაც კარგავ", "ჩრდილოელი და სამხრეთელი ოსი ხალხი ერთიანია", ქართული ფაშიზმი – რუსეთის დაშლის დეტონატორია", "საქართველო რუსეთისა და არაქართველების მტერია", "დეპუტატი მარგელოვი საქართველოსა და ძია სემის ლობისტია", "რუსეთმა ცნოს სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა", "რუსეთის საზღვრებთან იქნება ან ოსეთი, ან ნატო", "ე.წ. საქართველო ფიქციაა, მისი მთლიანობა - ნონსენსი"** – ასეთი პლაკატები გამოფინა მოპიკეტეთა თხუთმეტკაციანმა ჯგუფმა.

ოსი ეროვნების სტუდენტები უკვე მესამე აქციას მართავენ მოსკოვის ცენტრში. მათ მუნიციპალური

გაგრძელება A2 გვერდზე

### ამინდი

| | 31/7 | 1/8 |
|---|---|---|
| თბილისი | 36 | 37 |
| ქუთაისი | 41 | 42 |
| ბათუმი | 42 | 42 |
| სოხუმი | 37 | 38 |
| ფოთი | 41 | 41 |
| თელავი | 34 | 34 |
| ზუგდიდი | 42 | 41 |
| გორი | 34 | 34 |
| ახმეტა | 34 | 34 |
| ჭიათურა | 39 | 39 |
| გაგრა | 36 | 36 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8900 |
| ევრო | 2.2797 |
| გირვანქა სტერლ. | 3.4343 |
| რუბლი | 0.0649 |


ფართო საინფორმაციო სპექტრი, ანალიტიკა, საბიუჯეტო, საბანკო, ენერგეტიკული სფეროს მონიტორინგი, ჟურნალისტური გამოძიებები, კულტურისა და სპორტის სიახლეები, საკუთარი კორესპონდენტების მიერ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან მოწოდებული უახლესი ამბები.

"24 საათის" ჩანართები - "სამართალი", "ბიზნესი", "დედაქალაქი", "მონადირე", "ავტომობილი", "ევროისტორია", "სპეცსამსახურები", "მეცნიერება და ტექნიკა", "გულახდილად".

ერთობლივი პროექტები "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან" და "სოროსის ფონდთან" განემარტავს მოქალაქეებს მათ უფლებებსა და მოვალეობებს, გაათვითცნობიერებს მათ სამართლებრივ და საგანმანათლებლო საკითხებში.

"24 საათი" ექსკლუზიურად აქვეყნებს ოფიციალურ დოკუმენტებს - პრეზიდენტის, მთავრობისა და სხვა სახელისუფლებო სტრუქტურების ბრძანებებს, დადგენილებებს, სახელმწიფო მნიშვნელობის ნორმატიულ აქტებს.

ხელშეკრულებები ხელმომწერის თაობაზე უნდა დაიდოს უშუალოდ გაზეთის დირექციასთან, რათა გამოირიცხოს გაუგებრობები და უზრუნველყოფილი იყოს მიწოდების სტაბილურობა.

24 საათი

ხელმომწერის ტარიფები: 1 თვით - 13 ლარი;
3 თვით - 39 ლარი;
6 თვით - 78 ლარი.

რედაქციის მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, მე-14 სართული
ტელეფონი: 20 24 24 ან 20 24 10.
საბანკო რეკვიზიტები: "თბილისი" ბანკის ცენტრალური ფილიალი.
ბანკის კოდი: 220101000, ა/ა 28467440.



A2 ამბები | A3 მთავარი თემა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ფოტორეპორტაჟი

B2 რევიუ | B3 რევიუ | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 კვირა | B7 სხვადასხვა | B8 სხვადასხვა

# ომი არ უნდა დაიწყოს

*უშიშროების საბჭომ გუშინ საღამოს ცხინვალის რეგიონში არსებული ვითარება განიხილა. მიხეილ სააკაშვილთან გამოცხადდა სახელმწიფო მინისტრი გოგა ხაინდრავა, რომელიც გუშინ ვლადიკავკაზიდან დაბრუნდა.*

**"ცხინვალში შექმნილ მდგომარეობაზე და აქედან გამოსავლის გზებზე ვისაუბრე ჩრდილოეთ ოსეთის პრეზიდენტ ალექსანდრე ძასოხოვთან. ავუხსენი, რომ, პირველ რიგში, აუცილებელია დემილიტარიზაციის პროცესის დაწყება, უკანონო ფორმირებების რეგიონიდან გამოყვანა. ბოლო თვეების განმავლობაში, 29 ივნისის ღამე, მართლაც ერთ-ერთი ყველაზე მძიმე იყო. ცხინვალში მდგომარეობის გამწვავების პერიოდი, როგორც წესი, კოკოითის მოსკოვში ვიზიტებს ემთხვევა. ახლა კოკოითიც ვლადიკავკაზში იყო, თუმცა მას არ შევხვედრივარ,"** - განაცხადა პრეზიდენტთან შესვლამდე სახელმწიფო მინისტრმა, რომელიც უახლოეს პერიოდში კოკოითთან პირადად შეხვედრას არ გამორიცხავს. ხაინდრავა დარწმუნებულია, რომ იმ პოლიტიკის შედეგად, რაც საქართველოს ხელისუფლებამ ბოლო პერიოდში აწარმოვა და რასაც მომავალში განახორციელებს, სიტუაციის შედარებითი ჩაცხრობაა მოსალოდნელი.

გენერალური შტაბის უფროსმა გივი იუკურიძემ უკვე პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ ძალზე მოკლედ განმარტა, რომ **"რეგიონში შექმნილი სიტუაცია განიხილეს და მომავალი ღონისძიებების დაახლოებითი მონახაზი გააკეთეს. პრეზიდენტის მითითებით კი, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რათა სროლა არ იყოს, ომი არ დაიწყოს".**

*ლელა მჭედლიძე*

# აჭარის მთავრობა სამოქმედო პროგრამის გარეშე დამტკიცდა



*აჭარის უზენაესი საბჭოს სხდომა.*

*ოპოზიციის მღელვარება მძაფრდება. მურმან დუმბაძეს ჩვევად გადაექცა კანდიდატთა დაწუნება.*

აჭარის უმაღლესი საბჭოს რიგით მესამე სხდომაზე ლევან ვარშალომიძემ საბჭოს წევრებს მინისტრთა კანდიდატურები წარუდგინა. მოვალეობის შემსრულებელი სამი მინისტრი (გივი ცეცხლაძის გარდა) უპრობლემოდ დამტკიცდა. ცეცხლაძის კანდიდატურა აჭარის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის მინისტრის პოსტზე კობა ხაბაზმა შეცვალა, რამაც სხდომაზე ოპოზიციის ხმაური გამოიწვია. "რესპუბლიკელი" მურმან დუმბაძის განცხადებით, კობა ხაბაზი ამ თანამდებობას ვერ უხელმძღვანელებს, რადგანაც მას შესაბამისი განათლება არ აქვს. მისი გაღიზიანება, ასევე, გამოიწვია მთავრობის მიერ მინისტრების სამოქმედო პროგრამის გარეშე წარდგენამ, რასაც "რესპუბლიკელების" კიდევ ერთი წევრი გია მასალკინი შეუერთდა: **"მთავრობამ უნდა წარმოადგინოს არა მხოლოდ კანდიდატურები, არამედ მათი სამოქმედო პროგრამაც რათა ჩვენ მხარი დავუჭიროთ არა მარტო გვარსა და სახელს, არამედ შესაბამის სამთავრობო პროგრამასაც."**

ოპოზიციის წინააღმდეგობის მიუხედავად, უმრავლესობა მაინც კენჭისყრას მოითხოვდა და ხაბაზის რევოლუციურ დამსახურებებზე საუბრობდა. სიტყვით კობა ხაბაზიც გამოვიდა: **"მე არ ვარ ქირურგი და ვერ გავაკეთებ ოპერაციებს, არ ვარ ექიმი და არავის განკურნება არ შემიძლია, მაგრამ ვაპირებ სისტემაში ქირურგიულ ჩარევას და მის გამოჯანსაღებას. ამიტომ გთხოვთ, მომიხსნათ დეპუტატის უფლებამოსილება და ამირჩევენ თუ არა მინისტრად, ამას ჩემთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს."** ხაბაზის სიტყვებმა უმრავლესობის გულის აჩუყება და აპლოდისმენტები გამოიწვია. საბოლოოდ ოთხივე მინისტრი დამტკიცდა. უმაღლეს საბჭოში კობა ხაბაზის ადგილს, სავარაუდოდ, მირიან ლუმინაშვილი დაიკავებს. უმაღლეს საბჭოში მთავრობის წარმომადგენლად კი არჩილ მიქელაძე დაინიშნა.

გუშინდელ სხდომაზე "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ" კანონიც განიხილეს. ცვლილებები მნიშვნელოვანი არ იყო და საბჭოს ყველა წევრის თანხმობით დამტკიცდა. გუშინვე საბჭოს წევრებმა იარაღის ტარების უფლება დაიკანონეს.

სრულიად მოულოდნელად უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ მიხეილ მახარაძემ დღის წესრიგში განსახილველად კონტროლის პალატის მიერ გამოგზავნილი წერილი შემოიტანა, რომლის მიხედვითაც უმაღლეს საბჭოს აჭარის კონტროლის პალატის თავმჯდომარედ ანზორ ზოიძე უნდა დაემტკიცებინა. ამან ოპოზიციის მღელვარება გაამძაფრა. მურმან დუმბაძემ ის თანამდებობისთვის შეუსაბამოდ მიიჩნია. **"მისი ადგილი აქ არ არის. ეს არის ადამიანი, რომელიც ცამეტი წელი აბაშიძის რეჟიმს ემხრობოდა, მისი ოჯახი ჩოლოქის საზღვრებზე ჯებირებს ამაგრებდა, რათა პრეზიდენტი არ შემოეშვა საქართველოს ტერიტორიაზე. ეს არის ადამიანი, რომელსაც ერთი წამი ოპოზიციასთან არ უთანამშრომლია. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ის ჩემი ნათესავია და ამ ადამიანის შესახებ დეტალური ცნობები მაქვს. მას არ გააჩნია მორალური უფლება, მართოს კონტროლის პალატა და მთავრობამ იგი ხელფასით უზრუნველყოს. გთხოვთ გამოფხიზლდეთ და მხარი არ დაუჭიროთ".**

ანზორ ზოიძემ კატეგორიულად უარყო მურმან დუმბაძესთან ნათესაური კავშირი და აღნიშნა, რომ 2003 წლიდან ის ამერიკაში იმყოფებოდა და ამიტომ ვერ მოახერხა რევოლუციებში მონაწილეობა. მიუხედავად მურმან დუმბაძის დაუფარავი აგრესიისა, ზოიძის კანდიდატურას კენჭი უყარეს და კონტროლის პალატის თავმჯდომარედ დაამტკიცეს.

უზენაესი საბჭო შემოდგომამდე ისვენებს.

*სოფო ღოღობერიძე*
*თამარ ნაგერვაძე*

# სამხედრო-საინჟინრო აკადემიის პირველი გამოშვება

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიამ პირველი კურსდამთავრებულები გამოუშვა. საქართველოში პირველად გახდა შესაძლებელი უფროსი და უმაღლესი ოფიცრების მომზადება და უმაღლესი დონის საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსით განხორციელება.

ჩვიდმეტ ქართველ მსმენელს, ვიცე-პოლკოვნიკებს, პოლკოვნიკებს, გენერლებსა და ადმირალებს, საქართველოს გენშტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემიაში სათანადო დონის საგანმანათლებლო პროგრამის ათვისებით, მიენიჭათ უმაღლესი სამხედრო-საინჟინრო, ოპერატიულ-სტრატეგიული კვალიფიკაცია სამეთაურო-საშტაბო სპეციალობით.

მიმდინარე წელს მათი სწავლების პროფილი იყო "საომარი მოქმედებების და ოპერაციების ერთიანი სამხედრო-საინჟინრო უზრუნველყოფა და სახელმწიფოს ტერიტორიის, ინფრასტრუქტურისა და კომუნიკაციების მომზადება თავდაცვისათვის".

**"ერთი წელია, რაც აკადემია გაიხსნა. სწავლების პროცესში ხდებოდა პროგრამების ტრანსფორმაცია და დახვეწა, არსებობს უნიკალური ქართული სახელმძღვანელოები, კონსპექტები. ლექციებს ატარებს 30-მდე დოქტორი, პროფესორი, კანდიდატი და დოცენტი, გენერლები, ის სამხედრო სპეციალისტები, რომლებსაც ყველაზე ძლიერი განათლება აქვთ მიღებული,"** – აღნიშნა ჩვენთან საუბარში აკადემიის პრეზიდენტმა ელგუჯა მეძმარიაშვილმა.

მისივე განცხადებით, მომავალი სასწავლო წლიდან, თავდაცვის სამინისტროს და გენერალური შტაბის მოთხოვნით, აკადემიაში სპეციალობათა სპექტრი უფრო მრავალმხრივი გახდება, აკადემიაში ისწავლიან როგორც სამოქალაქო პირები, ისე ხელისუფლების წარმომადგენლები.

**"ქვეყნის პრეზიდენტმა განაცხადა, რომ მინისტრები და ხელისუფლების პირველი პირები სხვადასხვა ფორმით სამხედრო მომზადებას უნდა გადიოდნენ. ამისათვის ჩვენ უკვე მომზადებული გვაქვს პროგრამა, რომელსაც უმაღლეს მთავარსარდალს შევთავაზებთ და მისი ნება-სურვილის შემთხვევაში, მთავრობის პირველ პირებს ორკვირიან სწავლებას ჩავუტარებთ,"** – აღნიშნა მეძმარიაშვილმა.

მისივე თქმით, უახლოეს დღეებში, უშიშროების საბჭოს, განსახილველად და საქართველოს პრეზიდენტისათვის წარსადგენად გადაეცემა სპეციალური სახელმწიფო პროგრამის პროექტი – "საქართველოს სახელმწიფო სამხედრო-საინჟინრო სტრატეგია".

საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის სამხედრო-საინჟინრო აკადემია საქართველოს საგანმანათლებლო სივრცეში პირველი უმაღლესი დონის სამხედრო აკადემიაა, რომლის მიზანიც საქართველოში სამხედრო მეცნიერების განვითარებაა.

*ნინო გომართელი*

# მთავარი ამოცანა - პოლიტიკური და ეკოლოგიური საფრთხეების მინიმიზება

*თბილისში სტუმრად მყოფი აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მეორე მოადგილის, ელიზაბეტ ჯოუნსის თქმით, "ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალურ ომში საქართველო ამერიკის სერიოზულ პარტნიორს წარმოადგენს". ამ ომში დახმარებისთვის ოკეანისგაღმელი პოლიტიკოსი ქალბატონი ოფიციალურ თბილისს მადლობას უხდის და, თავის მხრივ, საქართველოს ხელისუფლებას ჰპირდება, რომ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისა და დაცვის საქმეში ამერიკა მას ყველანაირ მხარდაჭერას გაუწევს.*



მარიკა ამურველაშვილის ფოტო

*ელიზაბეთ ჯოუნსის სახით ამერიკამ კიდევ ერთხელ გამოხატა საქართველოს ხელისუფლების თანადგომა.*

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთსაათიანი დახურული შეხვედრის შემდეგ, ელიზაბეტ ჯოუნსმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ შეერთებული შტატები ყურადღებით ადევნებს თვალს ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში განვითარებულ მოვლენებს და დაპირისპირებულ მხარეებს პოლიტიკური დიალოგისკენ მოუწოდებს, რათა ცხინვალის რეგიონში არსებული დაძაბული სიტუაცია სამხედრო ქმედებებში არ გადაიზარდოს. ჯოუნსი განსაკუთრებით უსვამს ხაზს იმ ძალისხმევას, რომელსაც ამ კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების მიზნით ეუთო ეწევა.

ამერიკის ადმინისტრაციის წარმომადგენლისა და საქართველოს პარლამენტის სპიკერის შეხვედრის დროს, სამხრეთ ოსეთის პრობლემატიკის გარდა, საუბარი შეეხო, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის მშენებლობის საკითხებს, რამაც, ელიზაბეტ ჯოუნსის თქმით, საქართველოს ენერგეტიკული დამოუკიდებლობა უნდა უზრუნველყოს.

**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი დავათვალიერე და დავრწმუნდი, რომ მისი ცალკეული სეგმენტების უსაფრთხოება გარანტირებულია,"** - აცხადებს ამერიკელი სტუმარი. თუმცა, აღნიშნულთან დაკავშირებით ქართულ მხარეს ოდნავ განსხვავებული მოსაზრება აქვს.

ნინო ბურჯანაძე ადასტურებს, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენისა და შაჰდენიზის გაზსადენის აშენება საქართველოსთვის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტად რჩება, ოღონდ, იმ პირობით, რომ ბორჯომის ხეობის ან სხვა რომელიმე რეგიონის ეკოლოგიური უსაფრთხოება საიმედოდ იქნება დაცული.

**"უმწვავესი ენერგეტიკული პრობლემები რომ არა, ბორჯომის ხეობაზე ნავთობსადენის გატარებას, ალბათ, არ დავთანხმდებოდით,"** - აღნიშნავს ნინო ბურჯანაძე. მისივე თქმით, შეთანხმებაში თავიდანვე ჩადებული იყო პირობა, რომ ბორჯომის ზონაში ეკოლოგიური კატასტროფის ალბათობა ნულთან მიახლოებული უნდა ყოფილიყო, დღეს კი უკვე გაჩნდა გარკვეული კითხვის ნიშნები იმ სტანდარტებთან დაკავშირებით, რომლებსაც მშენებარე კომპანიები იყენებენ.

**"ვიდრე არ გვექნება სრული გარანტიები იმისა, რომ შეთანხმება სრულად შესრულდება, ბორჯომის ხეობას რისკის ქვეშ ვერ დავაყენებთ,"** - დასძენს პარლამენტის თავმჯდომარე.

ნინო ბურჯანაძესთან შეხვედრის შემდეგ, გუშინ საღამოს ელიზაბეტ ჯოუნსი პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო.

*გიორგი ასანიშვილი*

# ოსი სეპარატისტები პროვოკაციებს განაგრძობენ

პირველი გვერდიდან

ამასთან, გავრცელებული ინფორმაციით, სროლის შედეგად სოფელ თამარაშენში 20-მდე საცხოვრებელ სახლს ხანძარი გაუჩნდა. მართალია, ხანძრის შედეგად არავინ დაშავებულა, მაგრამ მოსახლეობამ საკმაოდ იზარალა. ტყვიები პირდაპირ სახლებში ცვიოდა, რამაც ხანძართან ერთად ტელევიზორებისა და სხვა ელექტროტექნიკის აფეთქება გამოიწვია.

ცხინვალიდან სოფელ თამარაშენის მიმართულებით განხორციელებული სროლების შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამი დამატებითი საგუშაგოს ამოქმედების შესახებ. ორი მათგანი სოფელ თამარაშენთან, სატელევიზიო ანძასთან განლაგდება, ერთი კი - უშუალოდ ცხინვალში, ეგრეთ წოდებულ "ტექსტილის დასახლებაში". სამივე საგუშაგოზე, სამშვიდობოებთან ერთად, ქართველი და რუსი სამხედრო დამკვირვებლებიც იმორიგევებენ. გარდა ამისა, სოფელ თამარაშენში დაიწყება რუსი სამშვიდობოებისა და ქართული პოლიციის ერთობლივი პატრულირება.

პარასკევს მომხდარ ინციდენტს ოსური მხარე, ცხადია, პირუკუ წარმოაჩენს. ქართულ-ოსური ურთიერთობების საკითხებში სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების წარმომადგენლის, ვაჟა ხაჭაპურიძის ინფორმაციით, ცხინვალის მთავრობა კატეგორიულად უარყოფს ოსური სამხედრო დანაყოფების მიერ სროლების დაწყებას. მისი მტკიცებით, წუხანდელი სროლების შედეგად ოსი ეროვნების ოთხი მოქალაქე დაიჭრა, რომლებიც საავადმყოფოში გადაიყვანეს. მათგან ორის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, ხოლო ორმა სხეულის მსუბუქი დაზიანებები მიიღო.

თუმცა, ოსური მხარის მიერ გავრცელებული ინფორმაციები ზოგჯერ ურთიერთგამომრიცხავია და ერთმანეთს ეწინააღმდეგება. იმავე ხაჭაპურიძის თქმით, **"ინტენსიური სროლების შედეგად სოფელ თამარაშენში უმეტესი სახლების სახურავები დაცხრილულია და ყველაზე მეტად სოფლის სკოლა დაზიანდა".**

სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგანგებო დავალებათა სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელმა ინალ პლიევმა კი ჟურნალისტებს აცნობა, რომ სოფელ თამარაშენიდან ქართული მხარის მიერ გახსნილი ცეცხლის შედეგად, ცხინვალში 2 ადამიანი დაიჭრა.

ამასობაში კი, თანამდებობის დატოვების წინ კუდის მოქნევას ცდილობს რუსეთის სამშვიდობო ძალების სარდალი სვიატოსლავ ნაბზდოროვი. ქართული სოფლის, ქურთას პოლიციის უფროსს ზურაბ რაზმაძეს იგი "ბანდიტს" უწოდებს და მის გადაყენებას ითხოვს.

ნაბზდოროვმა განაცხადა, რომ საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ზურაბ ჟვანიასთან დაკავშირებას შეეცდება და მოითხოვს, რომ ზურაბ რაზმაძე პოსტიდან გადააყენონ, რადგან ის არავის ემორჩილება.

ნაბზდოროვის თქმით, ასევე თხოვნით მიმართავს ქართულ მხარეს, რომ კონფლიქტის ზონაში არ შემოვიდეს შიდა ქართლში პრეზიდენტის რწმუნებული მიხეილ ქარელი.

**"არსებობს მონაცემები, რომ ისინი 15-17 წლის "პაცნებს" იარაღს ურიგებენ, რომელთაც წარმოდგენა არ აქვთ, რა არის იარაღი,"** - აცხადებს ნაბზდოროვი.

თავად ზურაბ რაზმაძე აღნიშნავს, რომ კონფლიქტის ზონაში სიტუაციის არევა სწორედ ნაბზდოროვის მიერ ხდება. **"მან უნდა გაითვალისწინოს, რომ სოფელ ქურთის პოლიცია საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრს ემორჩილება და არა რუს სარდალს,"** - შენიშნავს რაზმაძე, რომლის თქმითაც, თავის დროზე, სწორედ ქურთის პოლიციის თანამშრომლების მიერ მოხდა რუსი კაზაკისა და უკანონოდ შემოტანილი იარაღის დაკავება.

პარასკევს მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით კომენტარს აკეთებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე. მისი თქმით, სიტუაცია კონფლიქტის ზონაში, ჯერჯერობით, კონტროლს ექვემდებარება და პანიკის საფუძველი არ არსებობს. სპიკერის განცხადებით, გარკვეული ძალები დაინტერესებულნი არიან კონფლიქტის ინსპირირებით და ამიტომ, მსგავს გამოხტომებს, შესაძლოა, კვლავაც ჰქონდეს ადგილი. სპიკერი კიდევ ერთხელ ამახვილებს ყურადღებას საერთაშორისო ძალების მიერ როკის გვირაბის გაკონტროლებისა და კონფლიქტის ზონაში მონიტორინგის გაფართოების აუცილებლობაზე.

დღეს ნინო ბურჯანაძე, ჯანდაცვის საპარლამენტო კომიტეტის წევრებთან ერთად, ცხინვალის რეგიონში მიემგზავრება. იგი სოფელ ნიქოზში გახსნის ამბულატორიულ პუნქტს, აგრეთვე, მოინახულებს რეგიონში არსებულ სამედიცინო დაწესებულებებსა და სამხედრო ნაწილებს.

*24 საათი*

# „საქართველო ფიქციაა, მისი მთლიანობა - ნონსენსი"

პირველი გვერდიდან

მილიცია ხელს არასოდეს უშლის, მათი ლოზუნგები კი, როგორც ჩანს, გამვლელთა და წესრიგის დამცველთა მზერას სრულებითაც არ აღიზიანებს. ამჯერად მოპიკეტეები რუსეთის ხელისუფლებასაც გადასწვდნენ და ვლადიმირ პუტინი სირაქლემას პოზაში გამოსახეს.

ჟურნალისტებთან საუბრის მოყვარულ კოკოითს კი, როგორც ჩანს, მოსკოვის კომპეტენტურმა ორგანოებმა ზედმეტი კომენტარებისგან თავის შეკავება ურჩიეს.




*ოსი ახალგაზრდები რუსეთის ხელისუფლებას აშანტაჟებენ.*

მოსკოვში დაყოვნებული ედუარდ კოკოითი, ვალერი ლოშჩინინთან და ბორის მალახოვთან სამსაათიანი საუბრის შემდეგ საგარეო საქმეთა სამინისტროს უკანა კარიდან გააპარეს. ერთადერთი ტელეინტერვიუ, რომელიც კონფლიქტის ზონაში ცეცხლის განახლების შემდეგ მოსკოვში მყოფმა ედუარდ კოკოითმა რუსეთის მედიას მისცა, ეს იყო ტელეკომპანია "ნტვ". აი, რა გვიამბო ამ ინტერვიუს ამღებმა ელჰამ პლიევმა: **"ჩვენ დავუკავშირდით კოკოითის დაცვის წევრს რუსეთის მხრიდან, რომელიც წარსულში ჟურნალისტი იყო და ინტერვიუს ორგანიზება ვთხოვეთ. მან ადგილი დაგვითქვა. კოკოითი ნახევარ საათში ცენტრში, ალ. პუშკინის მუზეუმის წინ მდებარე სკვერში გამოცხადდა და მასთან ინტერვიუც ჩავწერეთ. მოგვიანებით მისმა მოსკოველმა წარმომადგენელმა დიმიტრი მედოევმა გვაცნობა, რომ პრეზიდენტი საგარეო საქმეთა სამინისტროში ვალერი ლოშჩინინთან შესახვედრად გაეშურა."**

*რუსუდან ნიკურაძე*
*საკ.კორ.მოსკოვში*

# ჯოუნსი საქართველოს პოლიტიკას იწონებს

პრეზიდენტ სააკაშვილთან საუბრის შემდეგ, აშშ-ს სახელმწიფო მდივნის მოადგილე ელიზაბეთ ჯოუნსი დარწმუნებულია, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობასთან დაკავშირებული საკითხები უახლოეს ხანში გადაწყდება და პროექტი მომავალში უპრობლემოდ გაგრძელდება.

ჯოუნსმა საქართველოს ხელისუფლებას პოლიტიკა მოუწონა - ჰუმანიტარული დახმარების გაცემით დაწყებული და კონფილიქტის მშვიდობიანი გზით გადაწყვეტის მცდელობით დამთავრებული. **"შეიარაღებული დაპირისპირება არ უნდა განმეორდეს. ჩვენ მხარეების სამხედრო თვალსაზრისით მაქსიმალური დაცილების და პოლიტიკურად დაახლობის მომხრე ვართ. არასტაბილური ვითარება არავის აწყობს. ასეთი პოლიტიკის მომხრეა როგორც საქართველოს ხელისუფლება, ისე ამერიკის შეერთებული შტატები. არც რუსეთია წინააღმდეგი,"** – განაცხადა მან.

გუშინ აშშ-ს წარმომადგენელმა საქართველოს ხელისუფლებას, თავისი ქვეყნის სახელით, მადლობაც გადაუხადა ტერორიზმთან ომში გაწეული თანადგომისათვის.

*24 საათი*

# ვინ იხდის 200 000-ს?

30 ივლისს აჭარის უმაღლესი საბჭოს სხდომაზე "რესპუბლიკელი" გიორგი მასალკინის განცხადებამ, აჭარის ტელევიზიის მაუწყებლობის შეწყვეტის შესახებ, აჭარის ტელევიზიის თანამშრომლების პანიკა გამოიწვია. ტელევიზიის შენობასთან შეკრებილები ერთად ცდილობდნენ ჭორად გაგებული ინფორმაციის დაზუსტებას, თუმცა ტელევიზიის დირექტორი მერაბ კარანაძე ამ ინფორმაციას უარყოფდა **"ტელევიზია არ იხურება. ეს ინფორმაცია გარკვეული წრეების ინტერესებშია და სწორედ მათგან წამოვიდა. ხვალაც, ზეგაც და შემდგომშიც ჩვეულებრივად განვაგრძობთ მაუწყებლობას."**

უფრო სიტყვაუხვი იყო ტელევიზიის საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი ნატა იმედაიშვილი: **"აჭარის ტელევიზიას 2006 წლამდე კონტრაქტი აქვს გაფორმებული "გლობალ კასტთან". ტელევიზიას საკმაო ოდენობის ვალი დაუგროვდა. გადაუხდელობის შემთხვევაში ტელევიზია საერთოდ შეწყვეტს მაუწყებლობას".** მალე "მაშველიც" გამოჩნდა – აჭარის მთავრობის ხელმძღვანელმა ლევან ვარშალომიძემ შეძლო ინფორმაციული ლაბირინთიდან ჩვენი გამოყვანა:

**"აჭარის ტელევიზია არ დაიხურება. მართალია, მას "გლობალ კასტის" გარკვეული თანხები ჰმართებს, მაგრამ ჩვენ ამ თანხების მოძიებასა და გადახდაზე ვმუშაობთ. აჭარის ტელევიზია მაუწყებლობას გააგრძელებს."**

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო რედაქტორის განცხადებით, მოლაპარაკება თბილისში მიმდინარეობს და ტელევიზიის თანამშრომლებს უკეთესის იმედი აქვთ. ტელევიზიის ინტერესებს საქართველოს მარეგულირებელი კომისიის თავმჯდომარე დიმიტრი ქიტოშვილი იცავს.

*შორენა გოგიჩაიშვილი*
*"24 საათი აჭარა"*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია ორდღიანი ოფიციალური ვიზიტით უკრაინაში გაემგზავრა. ვიზიტის ფარგლებში ზურაბ ჟვანია უკრაინელ კოლეგას ვიქტორ იანუკოვიჩს შეხვდება და სამთავრობოთაშორისო ეკონომიკურ ფორუმში მიიღებს მონაწილეობას. დაგეგმილია უკრაინულ მხარესთან ეკონომიკური თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმის ხელმოწერა. ზურაბ ჟვანია თბილისში 1 აგვისტოს დაბრუნდება. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** სამხედრო და სამხედრო-ტექნიკურ საკითხებში რუსეთ-საქართველოს თანამშრომლობის შესახებ მოლაპარაკებათა მორიგი მე-9 რაუნდი ერთ თვეში გაიმართება. ამის შესახებ პარასკევს განაცხადა რუსეთში საქართველოს საქმეთა დროებითმა რწმუნებულმა თეიმურაზ გამცემლიძემ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**სოხუმი.** სოხუმის ხელისუფლება 26-29 ივლისს გეგმიური საშტაბო-სამეთაურო-სამობილიზაციო წვრთნების შედეგებს "ფრიადზე" აფასებს. სწავლებაში სულ 15 ათასმა მოქალაქემ მიიღო მონაწილეობა, ხოლო წვრთნების ბოლო ეტაპზე საბრძოლო სროლებში 500 სამხედრო მოსამსახურე და რეზერვისტი "დახელოვნდა". **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** პოლიტიკური გაერთიანება "ახალი მემარჯვენეები" ტელეკომპანია "კავკასიას" მხარდაჭერას უცხადებს და საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციურ მასმედიაზე ზეწოლაში ადანაშაულებს. ჩიხრაძის აზრით, დამოუკიდებელი მედიის მიმართ მიზანმიმართული ზეწოლა სულ უფრო თვალსაჩინო ხდება. "ხელისუფლება სასამართლო გადაწყვეტილებებს უგულებელყოფს და ტელეკომპანიას გაწერილი სქემის მიხედვით თანხის გადახდის შესაძლებლობას არ აძლევს," - დასძინა მან. **ინტერ-პრესი**

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, ნინო ნარჩემაშვილი, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე
კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# პოსტკონფლიქტური კატასტროფა

პირველი გვერდიდან

ქვეყნის გარეთ მცხოვრები მოქალაქეების მიერ აფხაზეთში დარჩენილი მოსახლეობისთვის გამოგზავნილი თანხები;

საქართველოდან და რუსეთიდან უსასყიდლოდ მიღებული ელექტროენერგია, რომლის ღირებულება ყველა სახის დახმარებას აღემატება;

მოსახლეობის მიერ საკარმიდამო ნაკვეთებში მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გატანა რუსეთის ფედერაციაში.

მიუხედავად რუსული ვალუტის არასტაბილურობისა, ფასები მთლიანად მიბმულია რუსულ რუბლზე. ასეთი ვითარება კი აფხაზეთის მთავრობას მთლიანად ათავისუფლებს ფულის მიმოქცევის საკუთარი სისტემის შექმნის აუცილებლობისაგან.

ყოველთვიური მინიმალური ხელფასი აქ 513 რუბლი - 17 აშშ. დოლარია, მინიმალური პენსია - 60 რუბლი (2 აშშ დოლარი).

## ტურიზმი

აფხაზეთში მოსახლეობის დასაქმების და, შესაბამისად, შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყარო ტურიზმი და საკურორტო მეურნეობა იყო, რომელიც, ისევე როგორც სხვა დარგები, დღეს შავ დღეშია. თუმცა, ეკონომიკის სხვა დარგებთან შედარებით, რეკრეაციული ინდუსტრია აქ გაცილებით უკეთეს მდგომარეობაშია. დამსვენებლები, ძირითადად, რუსეთის მოქალაქეები არიან, რომელთა შორის ჭარბობს სამშვიდობო ჯარების და სამხედრო ნაწილების მოსამსახურეთა ოჯახის წევრები. რუსული კერძო და სახელმწიფო ინვესტიციების დიდი ნაწილი ტურისტულ ბიზნესშია დაბანდებული. გაგრის, ოჩამჩირის, სოხუმის, განთიადისა და ბიჭვინთის სანაპირო ზოლში განთავსებული დასასვენებელი ობიექტების უმრავლესობა რუსეთის ფედერაციის სახელისუფლებო სტრუქტურებზე დროებით თუ მუდმივ სარგებლობაშია გაცემული. 2004 წლის ტურისტული სეზონისთვის მზადება რუსეთმა წელს ჯერ კიდევ იანვარში დაიწყო, საგზურების გაყიდვა და, შესაბამისად, მისი რეკლამირება, მაისიდან მოყოლებული, რუსეთის ტელეარხებზე დღესაც გრძელდება.

წლის დასაწყისში რუსული ტურისტული ფირმები და მათი წარმომადგენლები თითქმის ყოველ კვირას ჩადიან გაგრასა და სოხუმში, რუსეთიდან დამსვენებელთა ჯგუფების განთავსება-მომსახურების ხელშეკრულების გასაფორმებლად.

მიუხედავად ამისა, უკანასკნელ წლებში გაყიდული საგზურების რაოდენობა კონფლიქტამდელ პერიოდში რეალიზებული საგზურების მხოლოდ 3 პროცენტია, ანუ სეპარატისტულ რეგიონად ქცევის შემდეგ, აფხაზეთში ტურისტთა ნაკადმა 97 პროცენტით იკლო.

## ინვესტიციები

აფხაზეთში განხორციელებული უცხოური ინვესტიციების დიდი ნაწილი, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა, ცხადია, უკანონოა (აფხაზეთის დღევანდელი სტატუსიდან გამომდინარე), რუსეთის ფედერაციაზე მოდის. არარუსული კაპიტალის რეგიონში შემოდინებას რუსეთის სამთავრობო სტრუქტურები კატეგორიულად ეწინააღმდეგებიან. ერთ-ერთი ვიზიტის დროს, რუსული დელეგაციის წევრებმა კატეგორიულად დასვეს საკითხი, რომ აფხაზეთში არსებული მნიშვნელოვანი ობიექტების უცხოური ფირმებისათვის გადაცემა რუსეთის მხარესთან შეუთანხმებლად არ უნდა ხდებოდეს. უფრო მეტიც, მათ ამჟამად იქ მომუშავე ფირმების აფხაზეთის ტერიტორიიდან







გაძევება და შემდგომში მათი მოწვევისაგან თავის შეკავება მოითხოვეს. რუსული ფული აფხაზეთში თითქმის ყველა სფეროშია დაბანდებული, თუმცა განსაკუთრებულ ინტერესს რუსები აფხაზეთში ტურისტული ობიექტების მიმართ იჩენენ. საგულისხმოა, რომ აფხაზურ ეკონომიკაში რუსულ ფულს, ძირითადად, სამთავრობო სტრუქტურები და ის რუსი ბიზნესმენები დებენ, რომელთა უკან რუსეთის ჩინოვნიკები და მაღალი თანამდებობის პირები დგანან.

ბოლო დროს აფხაზეთით თურქული კომერციული კომპანიებიც დაინტერესდნენ. ერთ-ერთი თურქული ორგანიზაცია ტყვარჩელის საბადოდან ქვანახშირის მოპოვებას, უკვე მეორე წელია, ეწევა. რამდენიმე თურქული კომპანია აფხაზეთის სანაპირო ზოლში თევზის რეწვითაც არის დაკავებული.

## ბიუჯეტი

მიუხედავად გაზრდილი შემოსავლებისა, 2004 წლის ბიუჯეტმა აფხაზ პრლამენტართა სერიოზული კრიტიკა დაიმსახურა. სეპარატისტთა წლევანდელი ბიუჯეტით, ძირითადად, ის დარგები ფინანსდება, რომლებიც თავისთავად მომგებიანია და მათზე დოტაციების გაცემა ჩინოვნიკების ინტერესებში შედის.

სეპარატისტთა ბიუჯეტში სრულად არ შედის ხე-ტყის, ჯართის და ქვანახშირის იმპორტისგან მიღებული თანხები. ეს ის სექტორებია, რომლებსაც ხელისუფლებასთან დაახლოებული ბიზნესმენები კურირებენ და განსაკუთრებული პრივილეგიებითა და ხელშეუხებლობებით სარგებლობენ.

წლის პირველი ნახევრის მონაცემებით, სეპარატისტთა ბიუჯეტში საბაჟო შემოსავლებისა და აქციზის გადასახადების სახით შევიდა 56 მილიონ 439 ათასი რუბლი (ექსპორტიდან 32.450 მილიონი, იმპორტიდან – 21.073 მილიონი). წლის ექვსი თვის გეგმა ვერ შეასრულა ერთ-ერთმა ყველაზე მომგებიანმა სახელმწიფო საწარმომ "აზხაზტყემ", რის გამოც ბიუჯეტს 10 მილიონი რუბლი დააკლდა. წელს 21.505 ტონა ქვანახშირი გაიტანეს აფხაზეთიდან, გეგმით გათვალისწინებული კი 51.570 ტონა იყო. საერთო ჯამში, პირველ ორ კვარტალში ბიუჯეტს შემოსავლების ნაწილში სულ 20 მილიონ რუბლზე მეტი დააკლდა.

## განიავებული სახელმწიფო სახსრები

წელს სეპარატისტთა პარლამენტში, ზოგიერთი დეპუტატის მიერ, მკაცრად დაისვა საკითხი გასულ წლებში გაცემული სახელმწიფო კრედიტების დაბრუნების შესახებ. მინისტრთა კაბინეტის პრაქტიკულად ყველა სხდომაზე დაუბრუნებელ კრედიტებზე და ურჩ გადამხდელებზე მსჯელობა მიმდინარეობს.

## ვაჭრობა, კონტრაბანდა

აფხაზეთის მთავრობა მაღალი განაკვეთით ბეგრავს საქონლის ექსპორტს, რომელიც ბიუჯეტის შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა, მაშინ, როდესაც იმპორტზე გადასახადები ძალზე დაბალია. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ აფხაზეთიდან სხვადასხვა საქონლის არალეგალურ გადინებას ეს ფაქტი განაპირობებს.

რეგიონში საგარეო სავაჭრო ოპერაციების უმეტესობა ხორციელდება ერთჯერადი მიწოდების სახით, ნაღდ ფულზე ან ბარტერული გაცვლის მეშვეობით. ეს კი ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობების დამყარებას ხელს უშლის. ეკონომიკური სანქციების პირობებში დაშვებულია იმპორტის მხოლოდ ის სახეობა, რომელიც მოიცავს, ძირითადად, საკვებ პროდუქტებს, წამლებს, საწვავს და საყოფაცხოვრებო საქონელს. ისეთი საქონლის შემოსატანად, რომელიც ამ ჩამონათვალში შეტანილი არ არის, საჭიროა სპეციალური ლიცენზიის აღება საქართველოს ხელისუფლებისგან, თუმცა ეს მოთხოვნა არ სრულდება და მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს. ამის გამო რეგიონი დღეს უკანონო ბიზნესის ოაზისად არის გადაქცეული, რომლის შემოსავლის დიდი ნაწილი თურქეთიდან და რუსეთის ფედერაციიდან შემოტანილი კონტრაბანდული საქონლის რეალიზაციიდან მიღებულ თანხებზე მოდის. ე.წ. ბლოკადის მიუხედავად, რეგისტრირებული უკანონო იმპორტის დაახლოებით 62 პროცენტი - თურქეთზე, 38 პროცენტი რუსეთზე მოდის.

სეპარატისტთა საბაჟო კომიტეტის მონაცემებით, აფხაზეთში 2004 წლის პირველ ნახევარში ტვირთბრუნვამ 934 მილიონ 698 ათასი რუსული რუბლი შეადგინა (ექსპორტი – 222 მილიონ 943 ათასი, 25 პროცენტი , იმპორტი – 705 მილიონ 266 ათასი 75 პროცენტი)

მათივე მონაცემებით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ტვირთბრუნვა 247 მილიონ 388 ათასი რუბლით ანუ 136 პროცენტით გაიზარდა. ექსპორტის ძირითად სახეობას წარმოადგენს ჩაი, ციტრუსები, თამბაქოს ნედლეული, ჯართი, ხე-ტყე, თხილი, ქვანახშირი და სხვა. იმპორტი – უმთავრესად ხორბალი, ფქვილი, შაქარი, ზეთი, კარტოფილი, ცხიმეული, საწვავი და სხვა.

აფხაზეთში ექსპორტ-იმპორტის 60-70 პროცენტი ზღვით ხორციელდება. გაგრის, გუდაუთისა და ოჩამჩირის ნავსადგურებისგან განსხვავებით, სოხუმის პორტი საკუთარი შესაძლებლობებით გამორჩეულია.

აფხაზეთის ტერიტორიაზე კონტრაბანდული ტვირთების შემოტანა, ძირითადად, თურქეთიდან და რუსეთიდან ხდება, ხოლო შემდეგ ის ზუგდიდისა დ წალენჯიხის რაიონების გავლით გაედინება საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ძირითადად, თამბაქო და ნავთობპროდუქტები).

დაზვერვის დეპარტამენტის ინფორმაციით, ამ პროცესში აქტიურად ჩართულნი იყვნენ რუსეთის სამხედრო ძალების მოსამსახურეებიც, რომლებიც, ძირითადად, საწვავის კონტრაბანდას ეწეოდნენ და მჭიდრო საქმიანი კონტაქტები გააჩნდათ როგორც აფხაზ, ისე ქართველ "ბიზნესმენებთან".

ქართველმა მესაზღვრეებმა აფხაზეთის მონაკვეთის საზღვაო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის ბოლო ექვსი წლის განმვალობაში 30-მდე გემი დააკავეს (მათ შორის უმეტესი ნაწილი თურქული დროშით ცურავდა).

თუმცა, ეს მხოლოდ ზღვაში წვეთია, რადგან ყოველწლიურად სოხუმში კონტრაბანდული საქონლით დატვირთული 100-ზე მეტი გემი შედის.

# აფხაზეთის მოსახლეობა

*აფხაზეთში წაგებული ომი საქართველოსთვის აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართველების რიცხოვნობის მინიმუმამდე დასვლით აღინიშნა, თუმცა ციფრები ცხადყოფენ, რომ დღეს აფხაზეთში თავად აფხაზების დიდ ნაწილსაც აღარ "დაედგომება", რასაც, ცხადია, პირველ რიგში, უმძიმესი სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა განაპირობებს.*




აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მოსახლეობის საერთო რაოდენობა, 1989 წლის საყოველთაო აღწერის შედეგების თანახმად, 525 ათას 061 ადამიანს შეადგენდა, რაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის 9.7 პროცენტი იყო. მაშინდელი მონაცემებით, აფხაზეთში 240 ათასამდე ქართველი, 94 ათასამდე აფხაზი, 75 ათასამდე რუსი და 77 ათასამდე სომეხი ცხოვრობდა.

შარშან იანვარში სეპარატისტულმა რეჟიმმა მოსახლეობის მორიგი აღრიცხვა ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ აღწერის შედეგები იმავე წლის აგვისტოში ოფიციალურად უნდა გამოცხადებულიყო, დღემდე ეს მონაცემები გასაიდუმლოებულია. აფხაზეთის უშიშროების მიერ სეპარატისტული სახელისუფლებო წრეებიდან მოპოვებული ინფორმაციით, ამჟამად აფხაზეთში მცხოვრები მოსახლეობის საერთო რაოდენობა 320 ათას ადამიანზე ნაკლებია. მათ შორის: ქართველები 70 ათასი, რუსები – 60 ათასი, სომხები 60 ათასი, აფხაზები 100 ათასი და სხვა ეროვნების – 30 ათასი. უშიშროების მინისტრის ლევან კიკნაძის ინფორმაციით, 2003 წლის აღწერის შედეგები გაყალბებულია, განსაკუთრებით - აფხაზი ეროვნების მოსახლეობის რაოდენობა. კიკნაძის ინფორმაციით, თუკი 1989 წლის აღწერის მონაცემებით, აფხაზეთის ტერიტორიაზე სხვა ეროვნების მაცხოვრებელთა საერთო რაოდენობა 40 ათასს აჭარბებდა, დღეს მათი რეალური რაოდენობა 5 ათასს არ აღემატება. კონფლიქტის დაწყებისთანავე მათმა უმრავლესობამ დატოვა აფხაზეთის ტერიტორია. კიკნაძის ინფორმაციით, დღეს კონფლიქტურ ზონაში აფხაზი მოსახლეობა 55 ათასს არ უნდა აღემატებოდეს. რეგიონში მაცხოვრებელი ქართველების 90 პროცენტი გალის რაიონზე მოდის.

80-იან წლებში შრომისუნარიანი მოსახლეობა მთლიანი მოსახლეობის 56 პროცენტს შეადგენდა, დღეს კი ეს მაჩვენებელი 40 პროცენტზე ნაკლებია. აფხაზეთის მოსახლეობის დიდი ნაწილი 45 წელს გადაცილებულია, ახალგაზრდების უმეტესობამ, სამუშაოს პოვნის მიზნით, აფხაზეთის ტერიტორია დიდი ხნის წინათ დატოვა. ამჟამად აფხაზეთში დასაქმებულია 20 ათასზე ნაკლები ადგილობრივი მაცხოვრებელი.

# აფხაზური ბანკების საერთო პორტფელი 4 მილიონ დოლარს არ აჭარბებს

აფხაზეთში, ერთი შეხედვით, საბანკო სექტორი განვითარებულია - 15 კომერციული და 1 სახელმწიფო ბანკი ფუნქციონირებს, თუმცა მაშინ, როცა საქართველოში მინიმალური საწესდებო კაპიტალი 5 მილიონი ლარია და 2008 წლისთვის იგი 12 მილიონ ლარამდე უნდა გაიზარდოს, აფხაზეთში მოქმედი ყველა კომერციული ბანკის საკრედიტო პორტფელი 4 მილიონ აშშ. დოლარს არ აჭარბებს.

შედეგად, რეგულარული ფინანსური ოპერაციები აფხაზეთში ვერ ხორციელდება, ხოლო ადგილობრივი საბანკო სისტემა კაპიტალით ცუდად არის უზრუნველყოფილი. თითქმის ყველა კომერციული ბანკი ორიენტირებულია მოკლევადიანი კრედიტების გაცემაზე, თანაც - ძალზე მაღალი საპროცენტო განაკვეთით. კრედიტებზე საპროცენტო განაკვეთი, საქართველოს სხვა რეგიონებთან შედარებით, 5-7-ჯერ მაღალია. დღეს კომერციულ სესხზე თვიური საპროცენტო განაკვეთი საქართველოს თითქმის ყველა რეგიონში 1.5-2.5 პროცენტამდე მერყეობს, ეს მაჩვენებელი კი აფხაზეთში 5-10 პროცენტია.

მოსახლეობის ანაბრები ბანკებში აქ ძალიან მინიმალურია, ამიტომ, ფინანსური უზრუნველყოფა საზღვარგარეთული (ძირითადად, რუსული) წყაროების ხარჯზე ხდება. აფხაზეთში ოფიციალური საგადამხდელო საშუალება რუსული რუბლია. ცენტრალური ბანკის ფუნქციებს საქართველოს ეროვნული ბანკის აფხაზეთის ყოფილი ფილიალი ასრულებს, რომელიც დღეს "აფხაზიაბანკის" სახელით იწოდება.

"აფხაზიაბანკს" არა აქვს ის მარეგულირებელი თუ საზედამხედველო ფუნქციები, რომელიც ცენტრალურ ბანკს უნდა გააჩნდეს. კერძოდ, იგი ვერ ახორციელებს ეროვნული ვალუტის ემისია-რეგულირების და კომერციული ბანკების ზედამხედველობისა და ლიცენზირების სამუშაოებს.

თუმცა, როგორც ჩანს, იგი რეგისტრაციაში ატარებს ისეთ საკრედიტო ორგანიზაციებს, რომლებიც ე.წ. "აფხაზეთის კომერციულ ბანკებს" წარმოადგენენ. საერთაშორისო ნორმების უგულებელყოფით, აფხაზეთის ტერიტორიაზე მაინც ფუნქციონირებს რუსეთის კომერციული ბანკების "მენატეპის", "ტიკობანკის", "ინკომბანკის" და სხვათა ფილიალები.

# აქ ცხოვრება სამჯერ უფრო ძვირია

პირველი გვერდიდან

მეტიც - სეპარატისტთა ბიუჯეტი წელს ზუსტად იმდენია, რამდენიც ქუთაისის და ფოთის ბიუჯეტები.

კიდევ უფრო შთამბეჭდავია აფხაზეთის ცალკეული ქალაქების წლიური ბიუჯეტი საქართველოს სხვა ქალაქებთან შედარებით. ამჯერად სხვაობა სამჯერ, ხუთჯერ და კიდევ უფრო მეტია.

აფხაზეთში ყველაზე "მდიდარი" ქალაქი, საბიუჯეტო შემოსავლებისა და ხარჯების თვალსაზრისით, სოხუმია, რომლის ბიუჯეტი წელს 5 მილიონ ლარზე ოდნავ ნაკლებია. სოხუმი ამ მაჩვენებლით რუსთავს ორჯერ, ქუთაისს კი სამჯერ ჩამორჩება.

მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის ბიუჯეტის შემოსავლები და ხარჯები ყოველწლიურად რამდენიმე მილიონით იზრდება, რაც ქვემოთ მოყვანილი ცხრილიდანაც აშკარად ჩანს, ეს ციფრები აფხაზეთის საერთო ეკონომიკურ მდგომარეობაზე საგრძნობ გავლენას ოდნავადაც ვერ ახდენს.




რეგიონის მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა დღეს 110 მილიონი ამერიკული დოლარია, თუმცა ის არათანაბრად ნაწილდება მოსახლეობის სხვადასხვა ფენებს შორის. ის, ძირითადად, ხმარდება აფხაზეთის მმართველი დაჯგუფებების ინტერესებს, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა კი სიღატაკის ზღვარზეა. სახელისუფლებო კლანურ-ნათესაური ბიზნესი აფხაზეთში დღეს უფრო მეტად ყვავის, ვიდრე ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ხანაში იყო.

უკანასკნელი წლების განმავლობაში სეპარატისტული ხელისუფლება ცდილობს, საკუთარ მოსახლეობას ეკონომიკური თვალსაზრისით, რუსეთთან ინტეგრირების სარგებლიანობა დაანახოს. პროპაგანდისტული მანქანა, მასობრივი ინფორმაციების საშუალებების სახით, კარგა ხანია წარმატებით მუშაობს, თუმცა არსებული მონაცემები და ციფრები აშკარად სხვა რამეზე მეტყველებს. რუსეთის სახელისუფლებო წრეების და კერძო ბიზნესმენების მიერ აფხაზეთში განხორციელებული ინვესტიციების რაოდენობა რამდენიმე ასეულ მილიონ რუბლს აღწევს, თუმცა საშუალო ხელფასი რეგიონში 14-17 ამერიკულ დოლარზე მეტი მაინც არ არის, არადა, აფახაზეთში სამომხმარებლო კალათა 1966 რუბლი – 65 დოლარია.

# აფხაზეთის ხელისუფლება ქართველებს პენსიებს არ უხდის

სეპარატისტულ ხელისუფლებას საშუალება მიეცა, აფხაზეთში საბიუჯეტო ორგანიზაციების თანამშრომელთა მინიმალური ხელფასი 2003 წლის 1 ინვრიდან 50 პროცენტით გაეზარდა. შარშან, წლის ბოლოს მინიმალური ხელფასი კიდევ 50 პროცენტით გაიზარდა. მიუხედავად ამისა, დღეს აფხაზეთში ყველაზე მაღალი ხელფასი 35-49 ლარს შეადგენს, პენსია კი - 4 ლარს.

თუმცა, სეპარატისტული ხელისუფლება მაქსიმალურად ცდილობს, აფხაზეთის მოსახლეობას დაანახოს რუსეთთან ინტეგრირების სარგებლიანობა ეკონომიკური თვალსაზრისით.

დევნილი უშიშროების სამინისტროს ინფორმაციით, მიმდინარე წელს აფხაზეთში დაიწყო რუსეთის ფედერაციის მოქალაქეობის მქონე პენსიონერთა რეგისტრაცია, მათზე რუსული პენსიების გაცემის მიზნით. 55-80 წლის ასაკის პირთათვის პენსია 640 რუსულ რუბლს შეადგენს, 80 წელს გადაცილებული პირების – 860 რუბლს, ხოლო ომის ვეტერანებზე - 1500-2000 რუბლია. ოფიციალური მონაცემებით, რუსული პენსია ეძლევა 4 ათასამდე მოქალაქეს, წლის ბოლოსათვის პენსიის გაცემა კიდევ 10 ათას მოქალაქეზე იგეგმება.

სოხუმის მთავრობის განკარგულებით, აფხაზეთის მოსახლეობიდან შეგროვილ და ჩამორთმეულ იქნა ყოფილი სსრკ-ს შემნახველი ბანკის მიერ გაცემული წიგნაკები. მათი განმარტებით, ეს ღონისძიება განხორციელდა იმ მიზნით, რომ უახლოეს მომავალში რუსეთის ფედერაცია ყველა ანაბარს აანაზღაურებს. წიგნაკის სანაცვლოდ, აფხაზ მოქალაქეებს უკვე დაურიგეს სპეციალური კუპონი, სადაც მითითებულია წიგნაკზე არსებული თანხა.

გალის რაიონში მცხოვრები ქართველები დისკრიმინაციას განიცდიან ეროვნული ნიშნით და მათ პენსიები არ დაენიშნათ. კიდევ უფრო მწირი მატერიალური შესაძლებლობები აქვთ ინვალიდებს, არსებობის ერთადერთი წყარო მათთვის საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებაა. აქ პენსიონერთა რიცხვი, ორი წლის წინანდელი მონაცემებით, 60 ათასამდე აღწევს. თუმცა, აფხაზეთის უშიშროების სამინისტროში ეჭვობენ, რომ ამ დროისთვის ეს ციფრი მნიშვნელოვნად უნდა იყოს შემცირებული.

# აფხაზეთში ერთ მოსწავლეზე წელიწადში 15 დოლარი იხარჯება

*განათლება აფხაზეთში, ფაქტობრივად, საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით არსებობს. ადგილობრივი ბიუჯეტიდან განათლებისთვის გაღებული ხარჯები ბოლო წლებში 2-3 მილიონ დოლარს არ აჭარბებს, რაც ერთ მოსწავლეზე გაანგარიშებით, საშუალოდ წელიწადში, დაახლოებით, 15 აშშ დოლარია.*

სკოლამდელი აღზრდის სისტემა აფხაზეთში უკვე კარგა ხანია, საერთოდ არ არსებობს. აფხაზეთში მასწავლებლის საშუალო ხელფასი თვეში, დაახლოებით, 7-10 დოლარია.

უკანასკნელი მონაცემებით, აფხაზეთის საშუალო სკოლებში პედაგოგთა რაოდენობა 3200-ს აღწევს. 310 სკოლიდან, რომელიც 1991 წელს მოქმედებდა, დღეს მხოლოდ 178 ფუნქციონირებს.

გალის რაიონის საშუალო სკოლებში სასწავლო პროცესი ქართულ და რუსულ ენებზე მიმდინარეობს. ოფიციალური სასწავლო პროგრამის მიხედვით, დაწყებით კლასებში სწავლება მიმდინარეობს მხოლოდ რუსულ ენებზე, ხოლო მეოთხე კლასიდან ისწავლება ქართული ენა, როგორც ერთ-ერთი უცხო ენა. იმ სოფლებში, სადაც აფხაზ სეპარატისტებს არა აქვთ გახსნილი საკუთარი შტაბები, პედაგოგთა რისკის ფასად, სწავლება მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობს. მათთან, შემოწმების მიზნით, ხშირად, სეპარატისტთა გალის რაიონის განათლების განყოფილების თანამშრომლები მიდიან და კატეგორიულად მოითხოვენ, რომ სასწავლო პროცესი რუსულ და აფხაზურ ენებზე წარმართონ. გალის რიონის ქვედა ზონის სოფლებში სასაწავლო პროცესი მთლიანად ქართულ ენაზე მიმდინარეობს.

გალის რაიონში ფუნქციონირებს 30 საშუალო კოლა, რომელთაგან 20-ში სწავლება მიმდინარეობს ქართულ, 10-ში რუსულ ენებზე. ზოგიერთი ქართული სკოლა დღემდე საქართველოს ხელისუფლების მიერ ფინანსდება. აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი განთავსებულია სოხუმის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის შენობაში. უკვე რამდენიმე წელია, სოხუმში ფუნქციონირებს ამერიკული კოლეჯიც – "ამერიკან ელბრუს ექსპრესი", სადაც მიმდინარეობს ინგლისური და არაბული ენების სწავლება. სწავლა ფასიანია.

სოხუმში, ტურბაზის დასახლებაში ახლახან გაიხსნა მოსკოვის ეკოლოგიური ინსტიტუტის ფილიალი, სადაც სწავლების ღირებულებაა 5000 რუსული რუბლი წელიწადში. სკოლებში სწავლის დონე საშუალოა, მათი ფუნქციონირება, ძირითადად, დამოკიდებულია მშობლების მიერ გაკეთებულ ფულად შენატანებზე, რომელიც 50-150 რუბლს შეადგენს თვეში. გაგრასა და სოხუმში ამ ბოლო დროს მომრავლდა კომერციული საშუალო სკოლები, სადაც თვიური გადასახადი საშულოდ 15 აშშ დოლარია. გაგრის რიონში, 1994 წლიდან მოყოლებული, წარმატებით ფუნქციონირებს ცნობილი თურქი ისლამისტის ფეთჰულა გიულენის სახელობის აფხაზურ-თურქული სასაწავლო დაწესებულება - "ბაშრან-კოლეჯი". ხსენებულ კოლეჯში მხოლოდ მამრობითი სქესის აბიტურიენტებს ღებულობენ. კოლეჯში სწავლების ღირებულება 4000 რუსული რუბლია, თუმცა, არსებობს შეღავათები: გადასახადისგან თავისუფლდებიან აფხაზეთშის ომი დროს დაღუპულთა და I, II ჯგუფის ინვალიდების ოჯახის წევრები. ხსენებული კოლეჯი, ძირითადად, სხვადასხვა ისლამური საერთაშორისო ფონდებისა და თურქეთში აფხაზური დიასპორის დაფინანსებით ფუნქციონირებს.

## მოსაზრებები

**ვახტანგ ყოლბაია – წინა მოწვევის პარლამენტის ვიცე-სპიკერი**

ეკონომიკური მდგომარეობა კატასტროფულია. თამამად შეიძლება ითქვას, აფხაზეთში ლეგალური ბიზნესის განვითარება შეუძლებელია. რა თქმა უნდა, თუ არ ჩავთვლით მცირე ინექციას, რომლითაც აფხაზეთის დღევანდელი ხელისუფლების წარმომადგენლები სარგებლობენ, მცირე ბიზნესის სახით.

ჩვენს შორის ჩატეხილია ხიდი, რომლის აღდგენა ურთიერთობით და ძლიერი ეკონომიკური განვითარებით არის შესაძლებელი. პირველ ეტაპზე საჭიროდ მიმაჩნია სიმართლის გარკვევა დღევანდელ სიტუაციაში და შესაბამისი რეაგირება. აფხაზს რუსის სიტყვა კი არ უნდა მიაჩნდეს კანონად, არამედ ქართველების ნდობა ჰქონდეს. უნდა იცოდეს, რომ საქართველოში მოვიდა ხელისუფლება, რომელიც მზადაა ეკონომიკურად ააღორძინოს და გააძლიეროს მთელი რესპუბლიკა, მისი ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილით - აფხაზეთით.

**ზურაბ ფარცვანია - აფხაზეთის არასამთავრობო ორგანიზაციები "ლიგა"**

აფხაზი ხალხის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. ეს წარმოუდგენლად მძიმეა, მაგრამ საქართველოს ხალისუფლების კეთილი ნება თუ იარსებებს, ყველაფერი სასიკეთოდ შეტრიალდება. ჩვენი სწორი პოლიტიკით აფხაზებს ნდობა უნდა ჩავუნერგოთ. ჩემი აზრით, ახალგაზრდა თაობის როლი ურთიერთდაახლოების საკითხში უდავოდ დიდია. აფხაზები არჩევანს აკეთებენ სუსტ საქართველოსა და ძლიერ რუსეთს შორის, ახალ მთავრობას ყველანაირი ბერკეტი გააჩნია, რომ პრობლემა მშვიდობიანად და სასიკეთოდ გადაჭრას.

**ლელა ცირულიძე - აფხაზეთის გადამხდელთა კავშირის თავმჯდომარის მოადგილე.**

ეკონომიკური მდგომარეობა ქვეყანაში, ჩემთვის, ხალხის სოციალური პირობებით განისაზღვრება. ყველა ადამიანი ძლიერისაკენ მიილტვის და ეს ბუნებრივია. აფხაზეთის რუსეთისაკენ ინტეგრაცია რუსეთის ბაზრისაკენ სწრაფვამ განაპირობა. დღეს კი საშინელ მდგომარეობაშია ყველაფერი, არც ციტრუსი მოჰყავთ და აღარც ჩაი, პარალელურად, არ არსებობს ტურისტი, ეს ყველაფერი მთლიანად კი აფხაზეთის ეკონომიკას შეადგენდა. ერთი დადებითი ფაქტორი ის არის, რომ მუშაობს ენგურჰესი და ელექტროენერგია გააჩნიათ. სიტუაცია იმდენად რთულია, რომ ურთიერთობების აღდგენა ძნელი იქნება. ჩვენს არასამთავრობო ორგანიზაციას გადაწყვეტილი აქვს, აფხაზეთში დაბრუნების გეგმა შეიმუშაოს. ყველაფერ ამასთან ერთად საჭიროა, საქართველომ აფხაზებს ეკონომიკური, პოლიტიკური და იდეოლოგიური სიძლიერე დაანახოს. პირველ რიგში კი - ძლიერი, მმართველი ხელი.

**გურამ ოდიშარია – მწერალი, აფხაზეთიდან დევნილი**

ბოლოს იანვარში ვიყავი აფხაზეთში და შეცვლილი არაფერი მინახავს. საშინელ მდგომარეობაშია აფხაზეთის ეკონომიკა, მოსახლეობას ძალიან უჭირს, მეტიც - იქ სრული სიღატაკე სუფევს, მაგრამ არ მინახავს ადამიანი, ვისაც ქართველებთან ურთიერთობის აღდგენა უნდოდეს, რადგან არც საქართველოა ეკონომიკურად ძლიერი.

ერთ მაგალითს გეტყვით, როდესაც აფხაზეთიდან ვბრუნდებოდი, აფხაზმა გამცილებელმა ჩაბნელებულ ზუგდიდზე მიმანიშნა და აღნიშნა, რომ აფხაზებს, ასე თუ ისე, ელექტროენერგია გააჩნიათ.

*ესაუბრა ნინო ბერელიძე*

# "დიდი პრივატიზაციის" მოწინააღმდეგეებს ახალი მხარდამჭერები გამოუჩნდნენ

*"დიდი პრივატიზაციის" მოწინააღმდეგეებს არასამთავრობო ორგანიზაცია "საქართველოს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია" (აფბა) შეემატა.*
*"აფბა" სტრატეგიული ობიექტების, კერძოდ, აეროპორტების, პორტების, რკინიგზისა და ელექტროგადამცემი ხაზების გასხვისებას ეწინააღმდეგება და პრივატიზაციის გეგმის განხორციელებამდე ხელისუფლებისგან სტრატეგიული ობიექტების შესახებ კანონმდებლობის მომზადებას მოითხოვს.*

**"საქართველოს არანაირი გარანტია არ გააჩნია იმისა, რომ სტრატეგიული ობიექტები ქვეყნის მტრების ხელში არ აღმოჩნდება, რომელთაც საქართველოს იზოლაციაში მოქცევა აინტერესებთ, რათა იგი არ იქცეს სატრანსპორტო დერეფნად ევროპასა და აზიას შორის,"** - აცხადებს ასოციაციის პრეზიდენტი ტარიელ გიორგაძე.

მან ანტისაპრივატიზაციო აქციებში თავისი ორგანიზაციის ჩართვა არ გამორიცხა.

არასამთავრობო ორგანიზაცია უპირისპირდება ეკონომიკის მინისტრის ინიციატივას ანტიმონოპოლური სამსახურის შემადგენლობის მაქსიმალური შემცირებისა და ეკონომიკის სამინისტროს ერთ-ერთ განყოფილებად მისი გარდაქმნის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, ორგანიზაციის წევრებმა ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად გადამხდელთა კავშირში სპეციალური პრესკონფერენცია გამართეს. მათ აღნიშნეს, რომ დაგეგმილი მასობრივი პრივატიზაციის პროცესში ეკონომიკის მინისტრ კახა ბენდუქიძის ამ ინიციატივის განხორციელება ქვეყნისთვის დამღუპველი იქნება.

**"ეს მნიშვნელოვნად შეუშლის ხელს ადგილობრივ მცირე ბიზნესს, მოხდება ბაზრის მონოპოლიზება, ადვილი შესაძლებელია, რომელიმე სტრატეგიული დარგი მოკვდეს, დაიკარგება კონტროლი ბაზარზე,"** - მიაჩნიათ ანტიმონოპოლიური სამსახურის წარმომადგენლებს.

"აფბა" ასევე მიიჩნევს, რომ ანტიმონოპოლიური სამსახური დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდული პირი უნდა გახდეს და რომელიმე სხვა სახელმწიფო უწყების ნაწილს არ უნდა წარმოადგენდეს.

*24 საათი*

# წუთობრივი გადასახადის დაწესება გადაიდო

**პარლამენტი - "ელექტროკავშირის" აბონენტთათვის წუთობრივი გადასახადის დაწესების წინააღმდეგ**

თამარ ხორბალაძე

*საქართველოს პარლამენტი ელექტროკავშირის აბონენტთათვის წუთობრივი გადასახადის დაწესების პერსპექტივით დაინტერესდა. შეგახსენებთ - საუბარია 2-თეთრიან გადასახადზე, რომლის შემოღებაც ჯერ 1 ივლისისთვის, შემდეგ კი უკვე 1 აგვისტოსთვის გახლდათ დაგეგმილი. მიუხედავად იმისა, რომ პრესა და ტელევიზია ამ საკითხს უკვე ორი თვეა საკმაოდ აქტიურად აშუქებს, ხელისუფლების წარმომადგენლები გუშინ აცხადებდნენ, რომ მათ ამის თაობაზე ინფორმაცია არ ჰქონდათ, ხოლო როცა ინფორმაცია მიიღეს, რეაგირებაც არ დააყოვნეს.*



მარიკა ამირველაშვილის ფოტო

*განხილვა საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა.*

საკითხის განხილვა გუშინ დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტში გაიმართა. კომიტეტის თავმჯდომარის ნიკო ლეკიშვილის განცხადებით, აღნიშნული საკითხის განხილვის საფუძველი გახდა ის ფაქტი, რომ "ელექტროკავშირის" აბონენტებისთვის სატელეფონო საუბრებზე გადასახადის დაწესებასთან დაკავშირებით მოსახლეობა უაღრესად შეშფოთებულია და კომიტეტში მათგან უამრავი წერილია შესული.

კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის თავმჯდომარის დიმიტრი ქიტოშვილის თქმით კი, მსგავსი წერილები კომისიაშიც "დასტებადაა დალაგებული".

ამ საკითხის კომიტეტში განხილვა საკმაოდ ხმაურიანად წარიმართა. განხილვას ესწრებოდნენ წარმომადგენლები "ელექტროკავშირიდან", ქონების მართვის სააგენტოდან, კომუნიკაციების მარეგულირებელი ეროვნული კომისიიდან და კავშირგაბმულობისა და ფოსტის ადმინისტრაციიდან.

ელექტროკავშირის პოზიცია სხდომის წევრებს სს "საქართველოს ელექტროკავშირის" დირექტორმა მერაბ კანკავამ გააცნო.

მისი ინფორმაციით, უახლოეს მომავალში უნდა გაფორმდეს ხელშეკრულება "ელექტროკავშირსა" და "ახალ ქსელებს" შორის, რის შემდეგაც "ელექტროკავშირი" ვალდებული იქნება, განხორციელებული ზარებისთვის "ახალ ქსელებს" თანხა გადაუხადოს.

ხელშეკრულების საფუძველზე როგორც "ელექტროკავშირმა", ასევე "ახალმა ქსელებმა" ყოველი განხორციელებული ზარისთვის ექვსი თეთრი უნდა გადაიხადოს, თუმცა, როგორც მერაბ კანკავა აღნიშნავს, "ელექტროკავშირისგან" გამავალი ზარები გაცილებით აღემატება "ახალი ქსელებიდან" გასულ ზარებს, რადგან არსებობს "გადმორეკვის პრინციპი", ანუ იმის გამო, რომ "ახალი ქსელების" მომსახურება ფასიანია, ყველა ცდილობს სატელეფონო საუბრები "ელექტროკავშირით" განახორციელოს.

მერაბ კანკავას თქმით, სხვაობა 20 მლნ ლარამდე მერყეობს, რის გამოც, თუ წუთობრივი გადასახადი არ დაწესდა, კომპანიას გაკოტრება ემუქრება. მისივე ინფორმაციით, წუთობრივი ტარიფის დაწესების შემთხვევაში "ელექტროკავშირს" გათვალისწინებული აქვს შეღავათები სხვადასხვა კატეგორიის მოქალაქეებისთვის: 100-წუთიანი შეღავათი ექნება ყველას, 200 წუთი – ომის მონაწილეებს და მათთან გათანაბრებულ მოქალაქეებს და 300 უფასო წუთს თავად "ელექტროკავშირი" აწესებს. იგი გათვალისწინებულია მარტოხელა პენსიონერებისთვის და მსგავსი კატეგორიის მოქალაქეებისთვის.

განხილვა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, საკმაოდ ხმაურიანი გამოდგა.

პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკის კომიტეტის მითითებით, კომუნიკაციების დამოუკიდებელი ეროვნული მარეგულირებელი კომისია, საქართველოს მთავრობა, კონკრეტულად, ეკონომიკის სამინისტრო და პარლამენტი ერთობლივ გადაწყვეტილებას მიიღებენ, რომლის მიხედვითაც სატელეფონო მომსახურების ტარიფის მოცულობა გადაწყდება.

საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა კი საქართველოს მოსახლეობას "გარანტია მისცა", რომ საქართველოს პარლამენტი სატელეფონო მომსახურების ტარიფის გაზრდას არ დაუშვებს.

მისი თქმით, "ელექტროკავშირის" ხელმძღვანელობამ სატელეფონო მომსახურების ტარიფის გაზრდის გადაწყვეტილება თვითნებურად მიიღო და სახელმწიფომ, რომელიც "ელექტროკავშირის" აქციების 100 პროცენტის მფლობელია, ამის შესახებ არაფერი იცოდა.

მიხეილ მაჭავარიანის განცხადებით, იგი გუშინ შეხვდა პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას, რომლისთვისაც ასევე არ იყო ცნობილი "ელექტროკავშირის" გადაწყვეტილების შესახებ.

**"რასაკვირველია, "ელექტროკავშირს" სჭირდება სატელეფონო მომსახურების თანხები, მაგრამ აღნიშნული თანხების მოსანახად ტარიფის გაზრდა აუცილებელი არ არის. შესაძლოა, აღნიშნული პრობლემა სახელმწიფო სუბსიდირების, ან სხვა სახით გადაწყდეს,"** - განაცხადა მაჭავარიანმა.

მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობა "პოლიტიკურად დემაგოგ ოპოზიციონერებს" არანაირად არ მისცემს საბაბს, აღნიშნული საკითხით ისპეკულირონ და უმრავლესობა მოსახლეობის საწინააღმდეგო გადაწყვეტილების მიღებაში დაადანაშაულონ.

# რუსეთი ყიდის ყველაფერს... ბანკების და საინფორმაციო საშუალებების გარდა

რუსეთი პრივატიზაციის "ქართული ვარიანტის" განხორციელებას გეგმავს. რუსეთში ბენდუქიძის ცნობილი განცხადების "პერეფრაზირება" მოხდა და თუ საქართველოში სინდისის გარდა, ყველაფრის გაყიდვას აპირებენ, რუსეთში ყველაფერი იყიდება... ბანკების და, ჯერჯერობით, მასობრივი საინფორმაციო საშუალებების გარდა.

რუს ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ ამას რუსეთის ხელისუფლება საქართველოსთან შედარებით გაცილებით მარტივად მოახერხებს და აქ არ უნდა ველოდოთ ისეთ "ხულიგნურ გამოხტომებს", როგორიც საქართველოს ეკონომიკის მინისტრისთვის სახეში შეფურთხება გახლდათ.

"რუსეთს ვერ გააკვირვებ სახელმწიფო პაკეტების მასშტაბური და კაპიკების ფასად პრივატიზაციით, რადგან ეს უკვე გადაიტანა ქვეყანამ 90-იანი წლების დასაწყისში," - წერს რუსული ინტერნეტ-გამოცემა "უტრო".

რუსეთში გასაყიდი ქონების ნუსხა საკმაოდ დიდია, თუმცა ამ სიაში განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ისეთი კომპანიები, როგორებიცაა: სააქციო საზოგადოება "აეროფლოტი - რუსეთის ავიახაზები", სადაც მთავრობას 51 პროცენტი აქვს, "დომოდედოვოს ავიახაზები" (50 პროცენტი), "კრასნოიარის ავიახაზები" (51 პროცენტი). ასევე იყიდება პორტები: "სანკტ-პეტერბურგის საზღვაო პორტი" (20 პროცენტი), "მურმანსკის პორტი" (25,5 პროცენტი), "ტუაპსეს საზღვაო-სავაჭრო პორტი" (20 პროცენტი) და "ნოვოროსიისკის საზღვაო პორტი" (20 პროცენტი). ასევე იყიდება უმსხვილესი კომპანიები "როსგოსსტრახი" (25 პროცენტი) და "სვიაზნეფტი" (75 პროცენტი).

პრივატიზაციისგან რუსეთის სახელმწიფო 2004-2005 წლებში 40 მილიარდი რუბლის (ანუ დაახლოებით 1,2 მილიარდი დოლარის) მიღებას გეგმავს.

სახელმწიფო ჯერ არ აპირებს უარი თქვას "სბერბანკში", "ვნეშეკკონომბანკში" და "ვნესტორგბანკში" საკუთარ წილებზე. ასევე, ჯერჯერობით არ აპირებს საინფორმაციო საშუალებებში საკუთარი წილების გაყიდვას.

ინფორმაციისთვის - დღეისთვის რუსეთის სახელმწიფო ფლობს 9222 ფედერალურ სახელმწიფო უნიტარულ საწარმოს და 3905 სააქციო საზოგადოების აქციების პაკეტებს. ექსპერტთა შეფასებით, სახელმწიფოს ბიზნესში მონაწილეობის თვალსაზრისით რუსეთი პირველ ადგილზეა.

*24 საათი*

# რკინიგზა ტვირთების უსაფრთხოებას ველარ უზრუნველყოფს

*საქართველოს რკინიგზით მგზავრობა და ტვირთის გადატანა უსაფრთხო არ არის - ამის შესახებ განგაშის ზარს თავად საქართველოს რკინიგზა "სცემს". მსგავსი შინაარსის წერილი რკინიგზის ხელმძღვანელობამ ამ დღეებში საქართველოს პრეზიდენტს, პრემიერ-მინისტრს, შს მინისტრს აახლა და დახმარება სთხოვა.*

თამარ ივანიძე

საკითხი ეხება სატრანსპორტო პოლიციის გაუქმებას, რაც ივლისში შინაგან საქმეთა სამინისტროს რეფორმა-რეორგანიზაციის ფარგლებში განხორციელდა.

რკინიგზის წარმომადგენელთა ინფორმაციით, რეორგანიზაციის შემდეგ რკინიგზაზე ქურდობების, მათ შორის - კავშირგაბმულობის კაბელების, თხევადი ტვირთების, ფიდერების, ავტოსაბამების დატაცება ჩვეულებრივ ამბად იქცა, აღარაფერს ვიტყვით მგზავრების გაქურდვაზე.

რკინიგზის წარმომადგენელთა ინფორმაციით, მხოლოდ ივლისის თვეში რკინიგზაზე დანაშაულის 24 ფაქტი მოხდა, რაც რკინიგზის და ზოგადად ქვეყნის, როგორც ტრანზიტული ქვეყნის, იმიჯზე აშკარა უარყოფით გავლენას ახდენს. ეს კი საქართველოს რკინიგზას ტვირთებს და პოტენციურ კლიენტებს აკარგვინებს.

რკინიგზაში ესმით, რომ 1,5 მილიონი ლარი, რაც სატრანსპორტო პოლიციის შენახვისთვის იხარჯებოდა ბიუჯეტიდან, არ არის მცირე თანხა, თუმცა, მეორე მხრივ, ქვეყნის ტრანზიტული ფუნქციის შესანარჩუნებლად, რაც, ხელისუფლების განცხადებებით, პრიორიტეტულია, მსგავსი ხარჯების გაღება აუცილებელი გახლავთ.

კითხვაზე - ხომ არ უნდა უზრუნველყოს რკინიგზის დაცვა თავად ამ საწარმომ საკუთარი სახსრებით, რკინიგზაში აცხადებენ, რომ ამისათვის უდავოდ მოსაძებნი იქნება ფორმა, რადგან რკინიგზის დაცვას საკმაო რესურსები სჭირდება არა მხოლოდ ფინანსური, არამედ ადამიანური თვალსაზრისითაც, და საეჭვოა, რომ რკინიგზას საკუთარი პოლიციის შექმნის უფლება მისცენ.

ამიტომ, ამ ეტაპზე რკინიგზის წარმომადგენლები ხელისუფლებას მიმართავენ და მოლაპარაკებას სთავაზობენ.

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების
კავკასიის ინსტიტუტი
საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია
ქვემო ქართლის რეგიონალური ასოციაცია "ხიდები"

**"ცეცხლსასროლი იარაღი და მსუბუქი შეიარაღების ბრუნვა და მისი ზეგავლენა ქვემო ქართლის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე"** პროექტის ფარგლებში **გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების** ფინანსური მხარდაჭერით სათანამშრომლოდ იწვევს საქართველოში მოქმედი მედია საშუალებების წარმომადგენლებს.

ეს პროგრამა გათვალისწინებულია იმ ჟურნალისტებისთვის, რომლებიც აქტიურად არიან დაინტერესებულნი საქართველოს ტერიტორიაზე, კერძოდ, ქვემო ქართლში ცეცხლსასროლი იარაღისა და მსუბუქი შეიარაღების არალეგალური ბრუნვის შემცირებითა და პრობლემის შესახებ საზოგადოების ინფორმირებით.

პროგრამა გულისხმობს შემდეგი სახის მხარდაჭერას:

ტექნიკური საშუალებების შეძენა;

- ტრანსპორტირება და სამივლინებო ხარჯების დაფარვას.

დაფინანსების მისაღებად ჟურნალისტი წარმოადგენს რედაქციის თანხმობას მასალის მომზადების შემდეგ მისი გამოქვეყნების შესახებ.

პროგრამაში მონაწილე ჟურნალისტები შეირჩევიან კონკურსის წესით. მსურველებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ ა.წ. 6 აგვისტომდე შემდეგ მისამართზე: თბილისი, რუსთაველის 46, საქართველოს ევრო-ატლანტიკური პარტნიორობის ასოციაცია

დამატებითი ინფორმაციისთვის მოგვმართეთ:

ტელ: 919318, 899561154 E-mail: lvepkhvadze@imedi.ge




**ს.ს. "თელასის" განცხადება:**

**ქ. თბილისის ელექტროგამანაწილებელ ქსელში პროფილაქტიკური სარემონტო სამუშაოების მიმდინარეობის გამო ელექტროენერგიის მიწოდება დროებით შეუწყდებათ:**

**2 აგვისტოს, 10.00-დან 18.00-სთ-მდე:**

**ვაჟა-ფშაველას III, IV, V, VI და VII კვარტლების, ნუცუბიძის პლატოს I მიკრორაიონის, ნუცუბიძის(ნაწილობრივ), ყაზბეგის გამზირის(ნაწილობრივ), ქავთარაძის, შავგულიძის, შავიშვილის, ბედიას, ეულის ქუჩების მაცხოვრებლებს.**

# რევოლუციიდან პროსტიტუციისაკენ

ლევან გელაშვილი

*კომუნიზმის ერთ-ერთი უკანასკნელი ბასტიონი კუბა საუცხოო ადგილია დედამიწაზე. მით უმეტეს, იმ ხალხისთვის, ვისაც კომუნისტური წყობის ნოსტალგია ან, სულაც, ბავშვობაში დაბრუნების სურვილი აქვს. ზღვის ულამაზეს სანაპიროსა და ცეცხლოვან მუსიკასთან ერთად, რევოლუციურ კუნძულზე სხვა გასართობიც ბევრი ყოფილა. როგორც ჩანს, ეთიკური ნორმების ერთგულ კომუნისტებს, გაჭირვების გამო, უძველესი პროფესიის გახსენებაც დასჭირვებიათ. ამ პროფესიის ადამიანები ყველა დროსა და ყველა რეჟიმში არსებობდნენ, თუმცა კომანდანტეს "დაუძინებელი" მტრის, ჯორჯ ბუშ უმცროსის განცხადებით, კუბაზე პროსტიტუცია სახელმწიფოს მფარველობის ქვეშაა.*



*ფიდელ კასტროს აზრით, ჯორჯ ბუში გაუნათლებელი ლოთია. ალკოჰოლიზმისგან განკურნება კი მხოლოდ რელიგიური ფუნდამენტალიზმის დამსახურებით მოახერხა, რომელსაც ის საკუთარი თავდაცვის ინსტრუმენტად იყენებს.*

აშშ-ს თითქმის ყველა საარჩევნო კამპანიის დროს, კუბის მიმართ ამერიკის პოლიტიკას თავისი განსაკუთრებული ადგილი ეჭირა. გამონაკლისს არც წლევანდელი საპრეზიდენტო არჩევნები წარმოადგენს. ჯორჯ ბუშმა ჰავანა სექს-ტურიზმის მხარდაჭერაში დაადანაშაულა. "დიადი ბელადი" ამ განცხადებამ აღაშფოთა. თუმცა, როგორც ირკვევა, ამგვარი ბრალდება მთლიანად საფუძველს მოკლებული არ არის.

ფიდელ კასტრო აშშ-ს მისამართით მკვეთრი განცხადებების გაკეთებას არასოდეს ერიდებოდა. ამჯერად კი, მან თავისი მძვინვარება ვეღარ დამალა. აღნიშნულმა ბრალდებებმა კუბის ლიდერის "უმწიკვლო" ღირსება საფუძვლიანად შელახა. ორი დღის წინ მან, რბილად რომ ვთქვათ, სასტიკად შეამკო ბუში. "ეს ენით აუწერელი და უხეში ცილისწამებაა", - განაცხადა კასტრომ. მისი თქმით, ჯორჯ ბუში გაუნათლებელი ლოთია. ალკოჰოლიზმისგან განკურნება კი მხოლოდ რელიგიური ფუნდამენტალიზმის დამსახურებით მოახერხა, რომელსაც ის საკუთარი თავდაცვის ინსტრუმენტად იყენებს.

ის, რაც დღეს აშშ-სა და კუბას შორის ხდება, რამდენიმე ათწლეულის მანძილზე დამკვიდრებულ რიტუალს წარმოადგენს. ფიდელ კასტრომ, თავისი მმართველობის 45 წლის მანძილზე, 10 ამერიკელი პრეზიდენტი "გადაიტანა". თითოეული მათგანი კუბელი კომუნისტის მუქ ფერებში დახატვას და ამ გზით, არასასურველი რეჟიმის საკუთარი კონტროლისათვის დაქვემდებარებას ცდილობდა. თუმცა, ვერც ერთმა ამერიკელმა პრეზიდენტმა უკიდურესად ჯიუტი და "აულებელი" დიქტატორის ფაქტორის დაძლევა ვერ მოახერხა.

რესპუბლიკელებში დამკვიდრებული პრაქტიკით, ჯორჯ ბუშმა თავისი წინასაარჩევნო კამპანია კონსერვატიულად განწყობილი და კასტროს მოძულე კუბელი ემიგრანტების გადაბირებით დაიწყო, რომლებიც უმეტესწილად ფლორიდაში ცხოვრობენ. ამგვარმა ტაქტიკამ, წინა არჩევნების დროს, ბუშს კუბელთა 81 პროცენტის მხარდაჭერა მოუტანა. მადლიერების ნიშნად, პრეზიდენტმა კუბის წინააღმდეგ სანქციები გაამკაცრა:

აშშ-ში მცხოვრებ კუბელებს თავიანთი ნათესავების მონახულება სამშობლოში 3 წელიწადში ერთხელ შეუძლიათ; ადრე კი წელიწადში ერთხელ შეეძლოთ. დღიურ ხარჯებად მათ 50 დოლარის გატანის უფლება აქვთ; ადრე კი დღიურად 167 დოლარის წაღების უფლება ჰქონდათ. ყოველთვიური გადარიცხვები, ახალი სანქციების თანახმად, 75 დოლარს არ უნდა აღემატებოდეს, წინა წლების 100 დოლარისაგან განსხვავებით. ამგვარი ქმედებების მიზეზი ერთია – ბუშს გადაწყვეტილი აქვს, კუბაზე ვალუტის შედინება მნიშვნელოვნად შეამციროს, რაც, საბოლოო ჯამში, კასტროს რეჟიმის კრახით დასრულებას შეუწყობს ხელს.

გაერო-ს მონაცემებით, კუბელი ემიგრანტები სამშობლოში თავიანთ ნათესავებს ყოველწლიურად 1 მილიარდ დოლარამდე უგზავნიან. ისინი, ვისაც საზღვარგარეთ ნათესავები არ ჰყავს, საკმაოდ გაუსაძლის პირობებში ცხოვრობენ. ამიტომ, ამერიკული დოლარების შოვნის ერთადერთი საშუალება კუბელთა უმრავლესობისათვის ტურიზმი გახლავთ. ყოველწლიურად კუნძულს 1,7 მილიონი ტურისტი სტუმრობს, რომელთა უმრავლესობა იქ სექსის გულისთვის ჩადის.

სასტუმროებსა და რესტორნებში მუშაობა უდიდესი მოთხოვნილებით სარგებლობს. კუბელთა ნაწილი ოთახებს აქირავებს, ნაწილმა კი ცოტა ხნის წინ ნებადართული მინი-რესტორნები გახსნა, სადაც მაგიდების რაოდენობა სამს არ უნდა აღემატებოდეს. ზოგიც სამსახურის შემდეგ საკუთარი ავტომობილებით ტურისტებს ასეირნებს. უკიდურესი სიღატაკე ქალების უმრავლესობას პროსტიტუციისაკენ უბიძგებს.

ის, რომ კუბა სექს-ტურისტების ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ სამიზნედ იქცა, ფაქტია. ინტერნეტის შესაბამის საიტებზე მამაკაცები ამ თუ იმ ქვეყნის უპირატესობების შესახებ ერთმანეთს მოსაზრებებს უცვლიან. როგორც კათოლიკური მისიონერული ფონდის, "მისიოს" წარმომადგენელი იორგ ნოვაკი იუწყება, მამაკაცები კუბის უპირატესობად დაბალ ფასებს მიიჩნევენ. სექს-ტურიზმის მასშტაბების ზუსტ დეტალებს "მისიო" არ ფლობს, რადგან ჰუმანიტარული ორგანიზაციები და სამართალდამცავები ამ სფეროში საკმაოდ არასასურველ სტუმრებს წარმოადგენენ.

ბუშის მიერ გავრცელებული ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ მთავრობა აქტიურად უჭერს მხარს პროსტიტუციას, ამ ორგანიზაციას არ გააჩნია. არსებობს მხოლოდ მოსაზრება, რომ ამერიკული დოლარების ამ ფორმით შოვნაზე ხელისუფლება ხშირად თვალს ხუჭავს და პროსტიტუციის წინააღმდეგ არანაირ ზომებს არ მიმართავს. ხუთი წლის წინ, პროკურატურის გამოძიების შედეგად, კუბის ტურიზმის სამინისტროს ხუთი ხელმძღვანელი პირი სამსახურიდან მოხსნეს, რომლებსაც სექს-ტურიზმის მფარველობაში დასდეს ბრალი.

რამდენად მართალი თუ სიმართლეს მოკლებულიც არ უნდა იყოს ბუშის ბრალდებები, ეს თემა თავისთავად პიკანტურია. პირადად დიქტატორმა ბატისტამ, რომელსაც ვაშინგტონი უჭერდა მხარს და კუბურმა მაფიამ, თავის დროზე, კარიბის ზღვის ეს მარგალიტი ნამდვილ საროსკიპოდ და აშშ-ს გასართობ პროვინციად აქციეს. ამ განუკითხაობას მხოლოდ 1959 წლის, კასტროს რევოლუციის შემდეგ მოეღო ბოლო. თუმცა, 45 წლის შემდეგ, როგორც ჩანს, კუბა კვლავ იგივე პრობლემის წინაშე დადგა, რომელიც ოდესღაც სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად იქცა.

# ალთქმულ მიწაზე დაბრუნებულ ემიგრანტებს წითელი ხალიჩით ხვდებიან



*არიელ შარონი ბენ გურიონის აეროპორტში წარმოთქმულ სიტყვაში საფრანგეთთან გამწვავებული ურთიერთობების შერბილებას შეეცადა.*

ხათუნა გაბიევი

საფრანგეთში უკანასკნელ ხანს დაფიქსირებულმა ანტისემიტურმა ფაქტებმა, საფრანგეთსა და ისრაელს შორის ურთიერთობების გართულება გამოიწვია. დაძაბულობამ პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც ჟაკ შირაკმა არიელ შარონისგან 18 ივლისის გამოსვლის ახსნა-განმარტება მოითხოვა. საფრანგეთის პრეზიდენტის განცხადებით, თუ არიელ შარონი არ განმარტავდა განცხადების რეალურ მიზეზებს, მისი საფრანგეთში ჩასვლა არასასურველი იქნებოდა.

როგორც ცნობილია, 18 ივლისს ისრაელის პრემიერ-მინისტრმა საფრანგეთში მცხოვრებ ებრაელებს ისრაელში დაბრუნებისკენ მოუწოდა, რადგან მუსლიმებისგან, რომლებიც საფრანგეთის მოსახლეობის 10 პროცენტს შეადგენენ, ანტისემიტური განწყობის ტენდენცია უკვე რეალურ საფრთხედ გარდაიქმნება. თუმცა, საინტერესოა, რამდენად მართებული შეიძლება იყოს ეს ბრალდება? საფრანგეთში მცხოვრები მუსლიმების წინააღმდეგ ასეთი განცხადების გაკეთება უფრო მსოფლიო ისლამური სამყაროსკენ მიმართულ გამოწვევად შეიძლება ჩაითვალოს. ანტისემიტიზმის საფრთხის მოშველიება კი მხოლოდ და მხოლოდ შირმაა შარონისთვის, რომელიც აწ უკვე პოზიციებშესუსტებულ არაფატთან ანგარიშსწორებას ირიბად აპირებს, საფრანგეთზე შეტევა და ებრაელების მიმართ სიძულვილში მისი დადანაშაულება კი მხოლოდ კარგად შერჩეული სტრატეგიაა. ამას ისიც ემატება, რომ საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მიშელ ბარნიეს გადაწყვეტილებამ, ახლო აღმოსავლეთში ვიზიტი პირველად არაფატთან შეხვედრით დაეწყო, ისრაელის პრემიერ-მინისტრის გაღიზიანება გამოიწვია.

თუმცა, ისრაელსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობების გამწვავებამ მაინც აიძულა შარონი, უკან დაეხია და თელ ავივთან ახლოს ბენ გურიონის საერთაშორისო აეროპორტში საფრანგეთიდან ემიგრირებულ 200 ებრაელთან შეხვედრის დროს თავის გამოსვლაში საფრანგეთთან დიპლომატიური კონფლიქტის შერბილებას შეეცადა. მისი თქმით, ანტისემიტიზმის ტალღა მთელ დასავლურ სამყაროში მძლავრობს, რომლის ფონზეც საფრანგეთის ხელისუფლების ბრძოლა ამ სენის წინააღმდეგ მხოლოდ მისასალმებელია. **"ასეთი პომპეზური დახვედრა შირაკისა თუ, ზოგადად, საფრანგეთის წინააღმდეგ მიმართული ჟესტი არ არის, ეს, უბრალოდ, ისრაელში დაბრუნებულ ებრაელთა პატივსაცემად ორგანიზებული ღონისძიებაა. ებრაელები ისრაელში სხვა ქვეყნებიდან შიშის გამო კი არ უნდა დაბრუნდნენ, არამედ იმიტომ, რომ ეს მათი ისტორიული სამშობლოა,"** - აღნიშნა მან.

უკვე ორი კვირაა, რაც აეროპორტში იმიგრანტებისთვის წითელი ხალიჩაა დაფენილი. "ეს მნიშვნელოვანი ღონისძიებაა, რადგან იმიგრანტებს უნდა გაუჩნდეთ გრძნობა, რომ მათ ელოდნენ", - აღნიშნა ებრაული სააგენტოს პრეზიდენტმა სალაი მერიდორმა. ინტეგრაციის მინისტრის, ციპი ლივნის თქით, კი "საფრანგეთიდან ისრაელში იმიგრირებული ებრაელებისთვის უცხო არ იქნება მათთვის კარგად ნაცნობი თავისუფლების, თანასწორობისა და ძმობის პრინციპი". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა ქვეყნიდან ისრაელში იმიგრირებულთა რიცხვი შესამჩნევად შემცირდა. თუ 2000 წლისთვის მათი რაოდენობა 60 000 იყო, 2003 წლისთვის მან 24 000 შეადგინა. ებრაული სააგენტოს მონაცემებით, 2004 წლისთვის საფრანგეთიდან იმიგრირებულთა რაოდენობამ უკვე 2 800 კაცს მიაღწია.

# რუსეთის საპრივატიზაციო სიაში „აეროფლოტიც" მოხვდა




*"აეროფლოტი", შესაძლოა, კერძო საკუთრებაში გადავიდეს.*

რუსეთის მთავრობამ ავიაკომპანია "აეროფლოტის" აქციათა საკონტროლო პაკეტის გაყიდვის გეგმა მოიწონა, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილებას ამ საკითხზე შემოდგომაზე მიიღებენ. იმავდროულად, რუსეთი მომავალ წელს კიდევ რამდენიმე სახელმწიფო კომპანიის გაყიდვას აპირებს. გასაყიდი კომპანიების რიცხვში შედიან "სვიაზინვესტი", "როსსპირტპრომი", სამი სავაჭრო პორტი და მაგნიტოგორსკის მეტალურგიული კომბინატი.

მთავრობის პროგნოზებით, 2005 წელს განსახორციელებელი პრივატიზაციის შედეგად ქვეყნის შემოსავლები 40 მილიარდი რუბლით (1,3 მილიარდი აშშ დოლარი) გაიზრდება, თუმცა ეს ციფრი "აეროფლოტის" გაყიდვით შემოსულ თანხას არ ითვალისწინებს.

ხუთშაბათს, რუსეთის ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა, გერმან გრეფმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში გასაყიდი სტრატეგიული მნიშვნელობის საწარმოების უფრო ფართო სია მომზადდება.

ეს განცხადებები გაკეთდა მას შემდეგ, რაც ერთი დღით ადრე, მასმედიამ და ანალიტიკოსებმა ხელისუფლების მხრიდან ეკონომიკის რადიკალურად გასახელმწიფოებრიობის გეგმებზე დაიწყეს საუბარი. ამგვარი პროგნოზების საფუძველს, სახელმწიფო კომპანია "როსნეფტის" ხელმძღვანელის თანამდებობაზე პრეზიდენტ პუტინის უახლოესი თანამებრძოლის, იგორ სეჩინის დანიშვნა იძლეოდა. "როსნეფტი", რუსი ანალიტიკოსების აზრით, რუსული სანავთობო კომპანია "იუკოსის" აქტივების შესყიდვის ერთ-ერთ ყველაზე რეალურ პრეტენდენტად მოიაზრება.

პრივატიზაციის გეგმები მხოლოდ წინმსწრები ხასიათისაა. საბოლოო გადაწყვეტილება, კონკრეტულ კომპანიებთან დაკავშირებით, ჯერ არ მიუღიათ. "აეროფლოტის" გაყიდვის საკითხს მთავრობა ამა წლის 1 ოქტომბერს განიხილავს. "ჩვენ, ამ ავიაგადამზიდის პრივატიზაციის საკითხების მოსაგვარებლად მუშაობა უკვე დავიწყეთ. აქ მხოლოდ ისეთი მტკივნეული საკითხის მოგვარების პრობლემა არსებობს, როგორიცაა "აეროფლოტის" ტრანსციმბირული გადაზიდვები", - განაცხადა გრეფმა. მან იქვე დაამატა, რომ 51,2 პროცენტის მოცულობის აქციათა პაკეტის გაყიდვის მექანიზმები 2005 წელს შემუშავდება.

რაც შეეხება თავად "აეროფლოტის" ხელმძღვანელობის აზრს მისი სავარაუდო პრივატიზაციის შესახებ, ავიაკომპანიის ოფიციალური წარმომადგენელი ირინა დანენბერგი მიიჩნევს, რომ ისინი პრივატიზაციისათვის ჯერ მზად არ არიან. "ავიაკომპანია არასათანადოდაა შეფასებული – თუ პრივატიზაცია ახლა მოხდება, მისი ღირებულება მხოლოდ 300 მილიონ დოლარს შეადგენს", - განაცხადა მან.

დანენბერგის აზრით, მოცემულ ეტაპზე "აეროფლოტი", ფაქტობრივად, რუსეთის ნაციონალური ავიაგადამზიდი გახლავთ. სახელმწიფო პაკეტის პრივატიზების შემთხვევაში კი, იგი მყისვე უცხოელი კონკურენტების ხელში მოხვდება და ქვეყანამ, შესაძლოა, თავისი ნაციონალური ავიაგადამზიდი დაკარგოს. "თუკი ავიაგადაზიდვების მსოფლიო ბაზარს ავიღებთ, უნდა ითქვას, რომ "ფინეირის" 91 პროცენტი და "ფრანსეარის" 50 პროცენტი, შესაბამისად, ფინეთისა და საფრანგეთის სახელმწიფო კონტროლს ექვემდებარება", - დააზუსტა დანენბერგმა. იგი მიიჩნევს, რომ პრივატიზაცია ავიაკომპანიისათვის ბუნებრივი პროცესია, თუმცა ამ ეტაპზე შესაბამისი საკანონმდებლო და სამართლებრივი ბაზის დეტალურად შემუშავებაა საჭირო.

ამასთან დაკავშირებით, ეკონომიკური განვითარებისა და ვაჭრობის მინისტრმა ასეთი კომენტარი გააკეთა: "მგზავრების საჰაერო ტრანსპორტით გადაყვანა სახელმწიფოს ამოცანა არ გახლავთ. სახელმწიფომ გადაზიდვები და მათი უსაფრთხოება შესაბამისად უნდა უზრუნველყოს. ამავე დროს, "აეროფლოტის" საქმიანობაში სახელმწიფოს მონაწილეობა საჰაერო გადაზიდვების სფეროში კონკურენციას აფერხებს. "აეროფლოტის" საბაზრო პირობებში გადაყვანა აუცილებელია. ასეთ შემთხვევაში, კომპანიის მენეჯმენტის ეფექტურობა და კონკურენტუნარიანობა გაიზრდება." მინისტრის აზრით, მათ საბოლოო მიზანს, საჰაერო ტრანსპორტით სარგებლობისას, ქვეყნის ეკონომიკისა და მგზავრების დანახარჯების შემცირება წარმოადგენს, რაც მხოლოდ და მხოლოდ კონკურენტული ბაზრის პირობებში შეიძლება განხორციელდეს.

კომპანია "აეროფლოტი" 103 მიმართულებით 54 ქვეყანაში დაფრინავს. მაისში კომპანიამ ალიანს Skyteam-ში გაერთიანების სურვილი გამოთქვა, რომელშიც რამდენიმე ნაციონალური ავიახაზები შედის, მათ შორის Air France და Delta Airlines. "აეროფლოტის" აქციათა თითქმის მეოთხედი ალექსანდრ ლებედევის ნაციონალური რეზერვების ბანკის მფლობელობაშია. ბანკი ასევე შერემეტევოს აეროპორტზე კონტროლისთვისაც იბრძოდა, თუმცა ლებედევი "ალფა" ჯგუფთან ჭიდილში დამარცხდა. ავიაკომპანიის სახელმწიფო პაკეტზე პოტენციურ პრეტენდენტად სწორედ აღნიშნული ორ სტრუქტურა მოიაზრება.

რაც შეეხება "სვიაზინვესტს", მთავრობა მის გაყიდვას 2005 წელს აპირებს, თუმცა, რა მოცულობის პაკეტი იქნება სავაჭროდ გამოტანილი – 25, 50 თუ 75-პროცენტიანი – ჯერჯერობით, გადაწყვეტილი არ არის. ამ საკითხის თაობაზე გადაწყვეტილება აგვისტოში იქნება გამოტანილი.

პრივატიზაციის დანარჩენი კანდიდატების რიცხვში ავიაკომპანიები "კრასნოდარის ავიახაზები" და "დომოდედოვოს ავიახაზები", სანკტ-პეტერბურგის, ნოვოროსიისკისა და ტუაპსეს საზღვაო პორტებიც შედიან. თუმცა, მათი შესყიდვის თაობაზე ინდივიდუალურ გადაწყვეტილებებს მიიღებენ, რამეთუ ისინი სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ობიექტების სიაში შედიან, რომელთა პრივატიზებაც აკრძალულია.

## ორი სიტყვით

**ისრაელი-ბელორუსი.** აგვისტოში ბელორუსში ისრაელის საელჩო ხელახლა გაიხსნება, ელჩად კი ზეევ ბენ არის დანიშვნას მოელიან. ისრაელის საელჩო მინსკში გასული წლის აგვისტოში დაიხურა, საბიუჯეტო ზეწოლისა და დაფინანსების შეკვეცის გამო. მინსკმა ანალოგიური ნაბიჯები გადადგა, ისრაელიდან თავისი ელჩი გამოიწვია და საკონსულო გააუქმა. ბელორუსის საელჩოს წარმომადგენლის ალექსანდრ პონომაროვის განცხადებით, მართალია, ბელორუსში ისრაელის ელჩის თანამდებობაზე წარმოდგენილი კანდიდატურა ჯერ დამტკიცებული არ არის, საელჩოს გახსნა სრულყოფილი დიპლომატიური ურთიერთობების აღდგენას უკვე ხელს შეუწყობს. ბელორუსში ჩამოსვლის მსურველ ისრაელის მოქალაქეებს საელჩოს დახურვის შემდეგ ადგილზე, გასული ზაფხულიდან ვიზის მიღების საშუალება არ ჰქონდათ. საავიაციო რეისები ორ ქვეყანას შორის კვირაში სამჯერ სრულდებოდა, მგზავრებს კი ვიზის მოთხოვნა აეროპორტებში უხდებოდათ. **ჰაარეცი**

■ ■ ■

**ცენტრალური აზია.** ყაზახეთის, თურქეთის, აზერბაიჯანისა და ყირგიზეთის სპეცსამსახურებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომელიც ერთობლივ ანტიტერორისტულ ოპერაციებს ითვალისწინებს. საინფორმაციო სააგენტო "ინტერფაქსის" თანახმად, დოკუმენტს ხელი თურქულენოვანი სახელმწიფოების რიგით მეშვიდე სესიაზე მოეწერა. "ჩვენ შევთანხმდით, ტერორიზმის წინააღმდეგ კონკრეტული ოპერაციების განსახორციელებლად ინფორმაცია გავცვალოთ", - განაცხადა ყაზახეთის ეროვნული უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელმა, გენერალ-ლეიტენანტმა ნართაი დუთბაევმა ჟურნალისტებთან საუბარში. **ინტერ-ფაქსი**

■ ■ ■

**მოლდოვა.** როგორც დნესტრისპირეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვალერი ლიცკაიმ განაცხადა, რუსეთის ფედერაციაში შესვლის საკითხზე თვითგამოცხადებულმა რესპუბლიკამ, შესაძლოა, რეფერენდუმი ჩაატაროს. მისივე თქმით, რადგან დნესტრისპირეთში მოსახლეობა მრავალეთნიკურია და რუსების, უკრაინელებისა და მოლდოველებისაგან შედგება, მოვლენების განვითარების რამდენიმე სცენარზე შეიძლება საუბარი. თითოეული ეთნიკური ჯგუფი თვითგამოცხადებული რესპუბლიკის მათსავე ისტორიულ სამშობლოსთან ინტეგრაციას მოითხოვს. ვალერი ლიცკაის განცხადებით, "დნესტრისპირეთის სახელმწიფოს სუვერენულობა რეფერენდუმითაა დამტკიცებული. მიუხედავად იმისა, რომ კიშინიოვი ფედერალურ მოდელს აქტიურად განიხილავს, "კოზაკის მემორანდუმის" (ასიმეტრიული ფედერალიზმის შესახებ) ჩავარდნის მერე ფედერალური მოწყობა ნაკლებად სავარაუდოა. დაზუსტებით შეუძლებელია იმის თქმა, ტირასპოლი კიშინიოვთან ფედერაციას შექმნის თუ არა". რაც შეეხება რეფერენდუმის ჩატარების თარიღს, თვითგამოცხადებული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა აღნიშნა, რომ "ტექნიკური თვალსაზრისით, რეფერენდუმის ექვს თვეში ჩატარებისთვის ყველაფერი მზადაა. ჯერი მხოლოდ პოლიტიკურ ნებაზეა: თუ მოლდოვა მოლაპარაკებებს შეწყვეტს, რეფერენდუმი უეჭველად შემოდგომაზე ჩატარდება". დნესტრისპირეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკა ეცდება, აიძულოს მოლდოვა, აღიაროს მისი დამოუკიდებლობა. დნესტრისპირეთი მოლდოვას შემადგენლობაში საბჭოთა კავშირის დაშლამდე შედიოდა. მხარეები ამჯერად გაყინული კონფლიქტის მდგომარეობაში იმყოფებიან. ვითარების დარეგულირებისა და დნესტრისპირეთისთვის ლეგალური სტატუსის მინიჭების პროცესში მედიატორის როლს რუსეთი, უკრაინა და ეუთო ასრულებენ. კონფლიქტის ზონაში კი დისლოცირებულია მხოლოდ რუსეთის სამხედრო ძალები. **ინტერ-ფაქსი**

■ ■ ■

**იტალია.** გუშინ იტალიის პარლამენტმა საზაფხულო სესიის ბოლო სხდომაზე პროფესიონალური არმიის შექმნისა და სავალდებულო საჯარო სამსახურის გაუქმების შესახებ კანონი დაამტკიცა. იგი ძალაში 2005 წლის 1 იანვრიდან შევა. ახალი კანონის მიღებას მხარი დაუჭირა სულ 433 დეპუტატმა, რომელთაგან ნაწილი მმართველი კოალიციიდან, ნაწილი კი ოპოზიციიდან არის. წინააღმდეგი მხოლოდ 17 (კომუნისტები) აღმოჩნდა, ხოლო თავი შეიკავა 7-მა ("მწვანეები"). "ეს ისტორიული გადაწყვეტილებაა, რომელიც ახალგაზრდების საკეთილდღეოდ მივიღეთ. სავალდებულო საჯარო სამსახურის გამო ახალგაზრდობა გვიან იწყებდა მუშაობას. თანაც, უცხოეთში გაგზავნილი მისიები პროფესიონალებისგან უნდა იყოს დაკომპლექტებული და არა მათგან, ვისაც აუცილებლობის გამო უხდება ფორმის ტარება", - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა ანტონიო მარტინომ. 1997 წლიდან, იტალიის შეიარაღებულ ძალებში გაწვევით სავალდებულო საჯარო სამსახური 10-თვიანი იყო. სულ კი სამხედრო გაწვევის სისტემამ იტალიაში 143 წელი იარსება. **იტარ-ტასი**

# ორი პროგრამა და არჩევანი

*თბილისის საკრებულო უზედამხედველო ბავშვთა უფლებების დაცვის სფეროში საკანონმდებლო ლაფსუსის ამოვსებას ცდილობს და ამ ბავშვების დახმარების სადედაქალაქო პროგრამის შესამუშავებლად ექსპერტთა ჯგუფს ქმნის. ამასთან, აპირებს ამ პრობლემაზე მომუშავე ორგანიზაციებიდან ერთი მაკოორდინირებელი უწყების შერჩევას. იდეა მშვენერია, მაგრამ ...*

ნანა ქადაგიშვილი

დღეს განსაკუთრებულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვების (ქუჩის, ასოციალური ქცევის, შეზღუდური უნარის მქონე ბავშვები, არასრულწლოვანი დამნაშავეები) პრობლემაზე საქართველოში 20-მდე სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია მუშაობს. თბილისის ბიუჯეტი კი ბოლო წლებში ამ პრობლემის მოსაგვარებლად, საშუალოდ, ნახევარ მილიონ ლარს ხარჯავს. თუმცა, 1990-იან წლებთან შედარებით, უზედამხედველო ბავშვების მდგომარეობა მხოლოდ ოდნავ გაუმჯობესდა. ამისი ძირითადი მიზეზი კი ის არის, რომ ეს ორგანიზაციები ქაოსურად, შეუთანხმებლად მოქმედებენ; არ მოწმდება, სად მიდის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები და, რაც ყველაზე მთავარია, არ არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა და ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა. ამ პრობლემის მოგვარებას კი, უპირველესად, ბავშვთა დახმარების სადედაქალქო პროგრამის შექმნა სჭირდება. ქალაქის მთავრობამ ამ პროგრამაზე მუშაობა ჯერ კიდევ შარშან დაიწყო. პროგრამა, ერთი კი არა, ორიც შეიქმნა, მაგრამ ორივე ქაღალდზე დარჩა.

პროგრამაზე შარშან ორი ჯგუფი მუშაობდა. პირველ ჯგუფში 24 ექსპერტი, მათ შორის, ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის წარმომადგენლები შედიოდნენ. ეს ცენტრი, ქალაქის მთავრობის გადაწყვეტილებით, 1998 წელს დაარსდა. შარშან აღნიშნული პროგრამის შესამუშავებლად მას ბიუჯეტიდან 30 ათასი ლარი გამოეყო. ამავე წელს საკრებულოს ყოფილი დეპუტატის მიხეილ მინდაძის ხელმძღვანელობით, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურში ახალი, ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის პარალელური, ბავშვის უფლებათა კონვენციის უზრუნველყოფის ცენტრი შეიქმნა (დღეს ეს ცენტრი სამმართველოდ არის გადაკეთებული და მას თინათინ შელია ხელმძღვანელობს). ამ უწყებამ შეიმუშავა ბავშვთა დახმარების სადედაქალაქო პროგრამის მეორე ვარიანტი, რისთვისაც ბიუჯეტიდან, როგორც ჩვენთვის ცნობილია, 40 ათასი ლარი გამოიყო. თუმცა, საკრებულოს არც ერთი ვარიანტი განუხილავს და არც მეორე, რადგან პროგრამების ავტორთა შორის პირველობისათვის ბრძოლა დაიწყო. ამ გაწევ-გამოწევაში კი წელიწადი გავიდა.

წელს საკრებულოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომისიის განათლების ქვეკომისიის ხელმძღვანელმა გია მურღულიამ სადედაქალაქო პროგრამის შექმნის საკითხი ხელახლა დააყენა. **"ექსპერტთა ჯგუფმა 10 დღის ვადაში უნდა მოამზადოს პროგრამის თეორიულ-კონცეპტუალური ნაწილი. რაც შეეხება შარშან შექმნილ პროგრამებს, მათი შეჯერება გაჭირდება",** – აცხადებს მურღულია. ასე რომ, ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყოს და პროგრამის შემუშავებაზე თანხები ხელახლა დაიხარჯოს.

რაც შეეხება უზედამხედველო ბავშვთა პრობლემებზე მომუშავე ორგანიზაციების მაკოორდინირებელი უწყების შერჩევას, უმტკივნეულოდ არც ეს საკითხი გადაწყდება. პირველობა ზემოთ აღნიშნული ორი ცენტრიდან ერთ-ერთს უნდა დარჩეს. ბოლო სიტყვა თბილისის ხელმძღვანელობაზეა.

# ინატრეთ ასი წელი

ნინო ბერელიძე

*სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდში გამართულ საქველმოქმედო აქციაზე საუკუნეს გადაბიჯებულმა სამოცდაათმა ადამიანმა საჩუქრად 50 ლარი მიიღო. აქციის ორგანიზატორები იყვნენ ჟურნალ – "სახეები 2004"-ის ხელმძღვანელები და ქართველი დიზაინერები - თათა ვარდანაშვილი და ავთო ცქვიტინიძე.*

დღეს საქართველოში სამასამდე მოხუცებული ადამიანი ცხოვრობს, რომელთა ასაკი ას წელზე მეტია. ამ ადამიანებს საზოგადოებისაგან განსაკუთრებული სითბო და ყურადღება ესაჭიროებათ:

**"კარგი იქნებოდა, ყველა ღრმად მოხუცს დავხმარებოდით და გაგვეხარებინა, მაგრამ ამისათვის საჭირო სახსარი არ გაგვაჩნია. ეს თანხა, რომელსაც 70 ხანდაზმულს გადავცემთ, ქველმოქმედების გზით არის მოპოვებული. მაგალითად, გვყავს ქალბატონი ქარელის რაიონის მკვიდრი გულქან უსუფოღლი, რომელიც ამჟამად ას ოცდაერთი წლისაა; თბილისშიც გვყავს ხუთი უხუცესი, რომელთაგან უფროსი 104 წლისაა. ჩვენ ყველანი ერთად გადავცემთ ამ თანხას და საჩუქრებს. რაიონებში კი ჩვენი სამსახურის თანამშრომლებს გავატანთ. ამასთან ერთად, მინდა, ერთი საყურადღებო რამ გითხრათ - ყველა ღრმად მოხუცს უფასო სამედიცინო მომსახურება და გამოკვლევა ჩაუტარდება; და კიდევ, თვენახევრის განმავლობაში მათზე გაიცემა მთლიანად საპენსიო დავალიანება და სხვა სახის დახმარება",** – განაცხადა სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდის გენერალურმა დირექტორმა ზაზა სოფრომაძემ.



*აქციის ყველა მონაწილემ და მთელმა ეზომ თბილისელ ბარბარე გიორგობიანს ფული და საჩუქრები მიართვა.*

ზაზა ფაჩუაშვილის ფოტო

საგამომცემლო სახლის წარმომადგენლებმა სურვილი გამოთქვეს, აჭარაში, ქვემო ქართლში, ფოთსა და ცაგერში თვითონ ჩაუტანონ საჩუქარი მოხუცებულებს. იმედი აქვთ, რომ მომავალი წელი უფრო უხვი იქნება შემოწირულობებით და მეტ ხანდაზმულს დაეხმარებიან.

თათა ვარდანაშვილი: **"სიამოვნებით მივიღე მონაწილეობა ამ აქციაში და ხუთ თბილისელ ას წელს გადაბიჯებულ ადამიანს ვაჩუქებ ჩემს მიერ შეკერილ საზაფხულო ქოშებს. დიდი სურვილი მაქვს, რომ მათ ქართველი დიზაინერის მიერ შეკერილი ფეხსაცმელი ეცვათ. კიდევ ერთი რამ მინდა - რაც შეიძლება, ბევრი ასეთი მოხუცი იყოს საქართველოში. მომავალში თუ იქნება მსგავსი ღონისძიება სიამოვნებით მივიღებ მონაწილეობას".**

კოლეგის ენთუზიაზმს ავთო ცქვიტინიძეც ეხმაურება და თავის ნამუშევარზე საუბრობს:

**"მეც ხუთი კოსტიუმი შევქმენი თბილისელი მოხუცებისათვის. მათთვის დიზაინის შერჩევა არ გამჭირვებია, რადგან ამ კოსტუმებს სიამოვნებით ჩაიცვამენ მათი შვილებიც ან შვილიშვილებიც. მიმაჩნია, ესენი ის ადამიანები არიან, ვისაც ახლა, დიდი დაფასება ესაჭიროება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, უბრალოდ სასიამოვნოა, როდესაც ასეთ ადამიანს ხედავ. ყველა საქველმოქმედო აქციაში მივიღებ მონაწილეობას, რაც კი მოეწყობა და ამას რეკლამისათვის არ გავაკეთებ".**

დიდი სურვილის მიუხედავად, "ფონდში" მოხუცები ორი მიზეზის გამო ვერ მიიყვანეს. პირველი - სისუსტისა და ჯანმრთელობის პრობლემების გამო და მეორე - მოუცლელობის გამო. მაგალითად, ზუგდიდელმა ხანდაზმულს შემოუთვლია, - სად მცალია თბილისში სასიარულოდ, ყანა მაქვს გასათოხნიო.

აქციაზე თბილისელი ხანდაზმულების შვილიშვილები იყვნენ მოსულები. რეზო სისაური: **"მე თბილისელი ბაბო ფოთოლაშვილის შვილიშვილი ვარ. ბებიაჩემი ას ოთხი წლისაა და, მხედველობის გარდა, არაფერს უჩივის, მხოლოდ იმას წუხს, რომ ნემსში ძაფს ვერ უგებს. ჩემთვის მნიშვნელოვანია ეს აქცია და მინდა, მადლობა ვუთხრა თითოეულ მათგანს, რადგან ამ ღონისძიებამ დამანახა, თუ როგორ უნდა მოვექცეთ ასაკოვან ადამიანებს, რომ ჩვენც ვახსოვდეთ ვინმეს მოხუცებულობის დროს".**

# 12 სტუდენტი ცხინვალიდან და მთიანი აჭარიდან

*საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, ამ სასწავლო წლისთვის თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტის მოწმობას ცხინვალის რეგიონისა და მთიანი აჭარის 12 წარჩინებული ახალგაზრდა, ფაქტობრივად, უგამოცდოდ მიიღებს.*

თამარ ჭაჭანიძე

ოსეთის ახალგაზრდებისთვის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კარის უგამოცდოდ გაღების იდეა მიხეილ სააკაშვილს ეკუთვნის. ამ ბავშვების სწავლის ხაჯებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაიღებს. ექვსმა ბავშვმა ცხინვალის რეგიონიდან და ექვსმაც მთიანი აჭარიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ყველაზე პრესტიჟული ფაკულტეტები აირჩია. საბიუჯეტო სექტორზე ჩარიცხულ ახალგაზრდებს მხოლოდ წარჩინების ატესტატი დასჭირდათ. გამოცდებზე ფორმალურად გასულებისთვის დამაკმაყოფილებელი ქულებიც არ იყო საჭირო - კონკურსი მათ არ ეხებოდათ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, ბატონმა როინ მეტრეველმა პირადად მიულოცა ახალგაზრდებს სტუდენტობა და მომავალი წარმატებები უსურვა:

**"ამ გადაწყვეტილებას დიდი მნიშვნელობა აქვს. ამით ჩვენი ურთიერთობა ოსსეთთან კიდევ უფრო გამტკიცდება, ნდობის ფაქტორი ამაღლდება. ჩვენ ოსი ეროვნების ბევრი სტუდენტი გვყავს, მაგრამ ესენი მიზნობრივად არიან მიღებულნი. ჩვენ გარკვეული ურთიერთობები გვაქვს ცხინვალის უნივერსიტეტთან. კონსულტაციებზე ჩამოსულ კოლეგებს დიდი სიამოვნებით ვიღებთ ხოლმე. ახლა, როცა ოსი სტუდენტები ისწავლიან უნივერსიტეტში, ეს კავშირები კიდევ უფრო გაღრმავდება. რაც შეეხება აჭარას, ესეც მნიშვნელოვანი ნაბიჯია - ისინი მთიანი ზონიდან არიან ჩამოსულები. ეს ახალგაზრდები თბილისში მიიღებული ცოდნით და მაღალი კვალიფიკაციით კვლავ დაუბრუნდებიან თავიანთ კუთხეს".**

აჭარელი ბავშვები, ძირითადად, ხელვაჩაურის, შუახევისა და ქობულეთის რაიონებიდან არიან. ოსი ბავშვები კი ცხინვალისა და ზნაურის რაიონებიდან ჭარბობენ.

ვიქტორია ხინჩაკოვი ზნაურის რაიონის სოფელ ახალშენიდან არის. იგი მომავალი იურისტია. სამართალმცოდნეობაზე ჩაბარების სურვილი მას ბავშვობიდან გასჩენია. სამოღვაწეო სფეროდ კი სამოქალაქო სამართალი აქვს არჩეული. ვიქტორიას ახალშენის ქართული სკოლა აქვს დამთავრებული. სკოლაში იგი ყველაზე კარგ მოსწავლედ ითვლებოდა და, მისი თქმით, სწორედ ამიტომ გააკეთეს მასზე არჩევანი.

არჩილ მხეიძეს კი განთიადის საშუალო სკოლა აქვს დამთავრებული. იგი პრეზიდენტის სტიპენდიანტი იყო და უნივერსიტეტში ჩასარიცხად არც ერთი გამოცდა არ ჩაუბარებია. მისი ჩარიცხვა მარტივად, აჭარის სამინისტროში საბუთების შეტანითა და თბილისში ჩამოსვლით მოხდა. აჩიკოს დიპლომატია იზიდავს და იმედი აქვს, რომ უნივერსიტეტში სწავლით საერთაშორისო ურთიერთობების კარგი სპეციალისტი გამოვა.

ცხინვალის რეგიონიდან ჩამოსული ბავშვები ჟურნალისტებთან ურთიერთობას მაქსიმალურად ერიდებიან და უწყინარ კითხვებზეც კი არ სურთ პასუხის გაცემა. ცხინვალში არსებულ სიტუაციაზე ჩვენი ინტერესი მხლოდ ერთმა დააკმაყოფილა. იგი შერეული ოჯახიდანაა - მამით ქართველია, დედით კი ოსი; სპორტსმენია და უნდა, ტელერადიო ჟურნალისტიკაზე ისწავლოს, რათა სპორტული ჟურნალისტი გამოვიდეს.

ცხინვალში გამეფებული ქართველების სიძულვილი მას ძალიან აშფოთებს. **"მე რომ სასწავლებლად თბილისში არ წამოვსულიყავი, იარაღის აღება მომიწევდა ხელში. ჯარში გასაწვევი ასაკის ყველა ბიჭი ქალაქში იარაღით დადის. ახალგაზრდობის ნახევარზე მეტი ნარკომანია და კონტრაბანდაშია ჩართული. ქართველებს იქ ძალიან უჭირთ. სრულიად უმიზეზოდაც კი დიდი საფრთხე ემუქრებათ. ამიტომ, ქართველების უმრავლესობა საცხოვრებლად გორში გადადის",** - ამბობს ყმაწვილი. იგი თვლის, რომ ოსები ცდებიან, ქართველების სიძულვილს რომ ამჟღავნებენ. მისი აზრით, დიდი შეცდომა იყო, ასევე, დატყვევებული ჯარისკაცების შეურაცყოფაც.

თუ როგორ მოხდება მომავალ წელს აჭარელი და სამაჩაბლოს ტერიტორიაზე მცხოვრები ბავშვების თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩარიცხვა, ჯერჯერობით უცნობია, თუმცა, ალბათ, უყურადღებოდ მათ არავინ დატოვებს.

# ეპიდსიტუაციის პროგნოზი

*ზაფხულში, გარემოს ტემპერატურის მატების ფონზე, ხელსაყრელი პირობები იქმნება ბევრი ინფექციის გავრცელებისათვის. დაავადებათა კონტროლის ეროვნულ ცენტრში იმედოვნებენ, რომ წლევანდელი ზაფხული ეპიდაფეთქებებით ნაკლებად შეგვაწუხებს.*

ნანა ყაველაშვილი

ცენტრის უფროსის მოადგილის შოთა ცანავას თქმით, წელს, ინფექციის წყაროს არსებობის პირობებში, მოსალოდნელია მალარიის 400-მდე და ლეიშმანიოზის რამდენიმე ათეული შემთხვევა. მალარიით დაავადების რისკი განსაკუთრებით მაღალია ლაგოდეხის, სიღნაღის, დედოფლისწყაროს, გარდაბნის, მარნეულის რაიონებში, რუსთავში; ლეიშმანიოზისა – იგივე რაიონებსა და თბილისის ვაკის, მთაწმინდისა და ორთაჭალის მთისწინა, ტყესთან ახლო უბნებში. ლეიშმანიოზის გადამტანები არიან როგორც უპატრონო, მოხეტიალე, ისე პატრონიანი ავადმყოფი ძაღლები.

ივლის-აგვისტოში ტემპერატურის მატება, მოსახლეობის ხშირი გასვლა ბუნებაში, ბანაობის, პირადი ჰიგიენის, საჭმლის მომზადებისა და შენახვის წესების დაუცველობა იწვევს ნაწლავთა მწვავე ინფექციების – ბაქტერიული დიზენტერიის (შიგელოზი), სალმონელოზის, დიარეით მიმდინარე სხვადასხვა ეტიოლოგიის დაავადებების მატებას. წყალსადენისა და კანალიზაციის თანმხვედრი დაზიანებებისას, წყლის წყვეტილად მიწოდებისას არ არის გამორიცხული ეპიდაფეთქებებიც. ასეთი პრობლემების თავიდან ასაცილებლად აუცილებელია პირადი ჰიგიენის, საჭმლის მომზადებისა და შენახვის წესების ზედმიწევნით დაცვა.

ზაფხულში, ჩვეულებრივ, მატულობს ცხოველთა, განსაკუთრებით, ძაღლების მიერ ადამიანთა დაკბენა-დადორბვლის შემთხვევები. ცოფის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია საკუთარი და მიკედლებული ცხოველების აცრა. დაკბენა-დაკაწვრის შემთხვევაში, მაშინვე მიმართეთ ექიმ-რაბიოლოგს. აგვისტოში კი, ბალახის საფარველის გახმობის პერიოდში, მატულობს ცხოველების ჯილეხით დაავადების საფრთხე, შესაბამისად - დაავადებული ხორცით ადამიანთა დაინფიცირებისაც. რისკის განსაკუთრებული ზონებია: ქვემო ქართლი, გარე კახეთი, წყალტუბოს, სამტრედიისა და ზუგდიდის რაიონები.

საკვებითა და წყლით გადაცემადი ინფექციების პროფილაქტიკისათვის უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

სალათები მაიონეზით ან არაჟნით შეაზავეთ, უშუალოდ, სუფრასთან მიტანის წინ;

მწვანილი, ხილი და კენკროვნები ჯერ 10-15 წუთით ჩაალბეთ წყალში და მხოლოდ შემდეგ გარეცხეთ გამდინარე სუფთა წყლით;

მოხარშული ან შემწვარი პროდუქტების დამუშავებამდე ხელები დაიბანეთ;

ღია წყალსატევებში ბანაობისას ეცადეთ, წყალი არ გადაგეყლაპოთ;

ფაღარათის შემთხვევაში სასწრაფოდ მიმართეთ ექიმს. ავადმყოფი მოარიდეთ ბავშვებსა და ახლობლებს. ინფექციის გადაცემის გზების შეზღუდვისთვის აუცილებელია ავადმყოფის პირადი ნივთების რეცხვა და დეზინფექცია ქლორის, ლიზოლის ან სხვა სადეზინფექციო საშუალებით. ექიმის მოსვლამდე თავი შეიკავეთ კვებისა და ანტიბაქტერიული წამლების მიღებისაგან. ავადმყოფს დაალევინეთ რეჰიდრონი, ანადუღარი წყალი ან სუსტი ჩაი.

# სინათლე კავკასიაში მშვიდობის გარეშე ვერ იქნება

გუშინ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში გაიმართა ბრიფინგი თემაზე: მზადება კონფერენციისათვის "კავკასიის ენერგეტიკული პრობლემები". ბრიფინგში მონაწილეობა მიიღეს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა ალექსანდრე ლომაიამ, ჩრდილოეთ ოსეთის - ალანიის პრეზიდენტის მრჩეველმა, ენერგეტიკული კომისიის თავმჯდომარემ, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორმა იზმაილ ხუზმიევმა, საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვახტანგ თოფურიამ.

იზმაილ ხუზრიევი მისი მეგობრების - განათლების მინისტრის მოადგილის ალექსანდრე დიდებულიძისა და საქართველოს აგრარული უნივერსიტრეტის რექტორის არჩილ ვაშაკიძის მოწვევით ესტუმრა თბილისს, რათა ერთად მოამზადონ ნოემბერში დაგეგმილი კონფერენცია "კავკასიის ენერგეტიკული პრობლემები". "დადგა დრო, რომ კავკასიამ თავისი ენერგეტიკული პრობლემები ერთობლივად მოაგვაროს. ამისთვის რეზერვიც და რესურსიც ჭარბად არის, თუმცა უდავოა, რომ ინვესტიციები, რაც ამ სფეროს წყალივით ესაჭიროება, არასტაბილურ გარემოს ვერ ეგუება - განაცხადა იზმაილ ხუზმიევმა. მისი შეფასებით, მძლავრი ენერგეტიკული კავკასიური სისტემა კავკასიურ მშვიდობას მოითხოვს; ენერგეტიკა კი კავკასიის ნერვული სისტემაა, რომელმაც ეს ორგანიზმი უნდა აცოცხლოს. ბრიფინგს ესწრებოდნენ: ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი რამაზ ხუროძე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დიდებულიძე, ბრიფინგის შემდეგ ალექსანდრე ლომაია და იზმაილ ხუზმიევი საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ მიიღო. იზმაილ ხუზმიევს დიდი ხნის ურთიერთობა აქვს საქართველოს პატრიარქთან. "მისი ძმა ჩემი უახლოესი ადამიანი იყო", - განაცხადა ალანიის ენერგეტიკის მინისტრმა.

*24 საათი*

*გამოხმაურება*

# რამდენიმე განმარტება საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირებისგან

29 ივლისს "24 საათში" გამოქვეყნდა მასალა საქართველოს კურორტების შესახებ, სადაც არსწორი ინფორმაციაა გადმოცემული საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების საკურორტო ქონებისა და საქმიანობის ზოგიერთი ასპექტის შესახებ, რაც, ნაწილობრივ, თავად პროფკავშირების მიერ გაცემული არაზუსტი ინფორმაციის ბრალიცაა. ამსთან დაკავშირებით, საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირების ხელმძღვანელობა თავს ვალდებულად მიიჩნევს, საზოგადოებას მიაწოდოს რამდენიმე განმარტება.

რეალურად აჭარაში განთავსებულია 16 სანატორიუმი და დასასვენებელი სახლი. აქედან რეკონსტრუქციაზეა: სანატორიუმი "ქობულეთი", პანსიონატი "ბათუმი", პანსიონატი "ფიჭვნარი", ამავე დროს აღსანიშნავია, რომ დასასვენებელი სახლი "მაგნოლია" აჭარის ძველი ხელმძღვანელობის მიერ დანგრეულ იქნა ჩვენთან შეუთანხმებლად, ქობულეთი-ბათუმის გვირაბის მშენებლობის პროცესში. დასასვენებელი სახლი ბეშუმში აჭარის სოცდაზღვევის ფონდზეა გადაცემული იჯარით. დარჩენილ შვიდივე ობიექტში განთავსებულნი არიან ლტოლვილები და მათ შორის მხოლოდ ორი ობიექტი იღებს დამსვენებლებს, ისიც ნაწილობრივ: სს "სანატორიუმი აჭარა" და სს პანსიონატი "ცისარტყელა". დასასვენებელი სახლი "ციხისძირი", დასასვენებელი სახლი "ნიავი" და დასასვენებელი სახლი "შუქურა" მთლიანად იღებს დამსვენებელს, ხოლო სს "ჰორიზონტში" განთავსებულია სკოლა.

წყალტუბოს ტერიტორიაზე განთავსებულია თერთმეტი სანატორიუმი. ამასთან თერთმეტივე დატვირთულია ლტოლვილებით.

ბორჯომის რეგიონში ხუთი სანატორიუმი და პანსიონატია და დამსვენებლებს იღებს მხოლოდ სანატორიუმი "ფირუზა" და პანსიონატი "კეჩხობი". სანატორიუმი "ლიკანიდან" დამსვენებლებს იღებს მხოლოდ პირველი კორპუსის მე-2 სართული, დანარჩენში ლტოლვილებია განთავსებული.

რაც შეეხება დარჩენილ რეგიონებში განთავსებულ ობიექტებს - კურორტი "მენჯი" (სენაკი), სანატორიუმი "ცაიში" (ზუგდიდი), სანატორიუმი "ქართლი" (თბილისი) მთლიანად დაკავებულია ლტოლვილებით, ხოლო კურორტი "ახტალა" (გურჯაანი) და სანატორიუმი "ჩუმათელეთი" (სურამი) დატვირთულია ლტოლვილებით, თუმცა ამავე დროს მცირე რაოდენობით შენარჩუნებულია დამსვენებელთა მომსახურება. პანსიონატი "კვერეთი" (საჩხერე) მთლიანად განადგურებულია მიწისძვრის შედეგად.

გარდა ამისა, დამსვენებლებს იღებს კიდევ სამი ობიექტი შოვში, უწერასა და საირმეში. ჯავაში არსებულ ობიექტს, სამაჩაბლოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო, ვერ ვაკონტროლებთ.

როგორც ზ/ა ანალიზი გვიჩვენებს, საქართველოს პროფკავშირებს გააჩნია სულ 41 ობიექტი, აქედან 7 არ ფუნქციონირებს, 25 დატვირთულია ლტოლვილებით, აქედან 5 ნაწილობრივ იღებს დამსვენებლებს, ხოლო საერთოდ ლტოლვილები არ არის და იღებს დამსვენებლებს 9 ობიექტი.

ყოველივე ზ/ა გამომდინარე ცალსახა ხდება, რომ პროფკავშირების გაერთიანებას 30-მდე ობიექტი, რომელიც დამსვენებელს მიიღებდა, ფიზიკურად არ გააჩნია. ამავე დროს ჟურნალისტ ჯაიანს სათანადო სურვილის არსებობის შემთხვევაში დიდი სიამოვნებით მივაწვდიდით ინფორმაციას, თუ რამდენ დამსვენებელს ვიღებთ ყოველწლიურად.

ამავე დროს, მინდა საზოგადოებამ იცოდეს, რომ საქართველოს პროფკავშირებს არასოდეს უთქვამს უარი და არც ახლა ამბობს უარს თანამშრომლობაზე როგორც სახელმწიფოსთან, ისე ბიზნესწრეებთან. ჩვენ მზად ვართ, პარტნიორობისა და დიალოგის გზით განვიხილოთ და გადავწყვიტოთ ყველა საკითხი, მათ შორის ქონების გარკვეული ნაწილის სახელმწიფოსთვის გადაცემის, ერთობლივი რეალიზაციის, ერთობლივი პროექტების განხორციელების თუ სხვა საკითხები, მაგრამ ყოველივე ეს უნდა მიმდინარეობდეს ღიად და გამჭვირვალედ.

რაც შეეხება ფაქტს, "კურორტინვესტის" მიერ "გეოფინინვესტისათვის" სესხის მიცემის თაობაზე, განვმარტავ, რომ ეს გარიგებები დაკავშირებულია სს "ბორჯომმინწყლების" აქციების გასხვისებასთან და ფაქტობრივად წარმოადგენს განვადებით ნასყიდობას.

რაც შეეხება ირაკლი პეტრიაშვილსა და ემზარ ბეჟაშვილს, მათი მოქმედების მოტივაცია ჩვენთვის აბსოლუტურად ნათელია. ირაკლი პეტრიაშვილი არის პიროვნება, რომელიც ოთხი წელია გაერთიანების თავმჯდომარის მოადგილეა და მხოლოდ ახლა, პროფკავშირების გაერთიანების ყრილობის წინ აგორებს შავ პიარს პროფკავშირების ხელმძღვანელობის მიმართ, რათა ნებისმიერი გზით დაიკავოს პროფკავშირების თავმჯდომარის ადგილი ნებისმიერი დასაშვები თუ დაუშვებელი მეთოდის გამოყენებით. ირაკლი პეტრიაშვილმა კარგად უწყის, რომ ავრცელებს სიცრუეს, ვინაიდან თავად ესწრებოდა პროფკავშირების გაერთიანების საბჭოს იმ სხდომას, რომელმაც მოისმინა და დაამტკიცა ინფორმაცია გასხვისებული ობიექტების თაობაზე. ამავე დროს, იგივე ინფორმაცია მინდა მივაწოდო საზოგადოებასაც: 2000-2004 წლებში პროფკავშირების მიერ გასხვისებულ იქნა აქციები სს "ბორჯომმინწყლებში" საერთო თანხით, დაახლოებით 1 800 000 ლარად, იქნა წილი შპს "ნაბეღლავის მინერალურ წყლებში" დაახლოებით 350 000 ლარად, გარაჟი ბორჯომში 30 000 ლარად და დაუმთავრებელი მშენებლობა "აფრიკაში" 30 000 ლარად.

რაც შეეხება ემზარ ბეჟაშვილს, წლების განმავლობაში მიმდინარეობდა დავა მასსა და საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანებას შორის, სადაც მე წარმოვადგენდი პროფკავშირების გაერთიანების ინტერესებს, როგორც ადვოკატი. სასამართლო პროცესი ყველა ინსტანციაში დამთავრდა ჩვენს სასარგებლოდ, რითაც ერთხელ და სამუდამოდ გაირკვა, რომ ბეჟაშვილი არასწორად და უკანონოდ ედავებოდა საქართველოს პროფკავშირების გაერთიანებას. უბრალოდ არაკეთილსინდისიერია ბეჟაშვილის აპელირება ბატონ თეიმურაზ მოსაშვილზე, ვინაიდან ბატონი თეიმურაზ მოსაშვილი პროფკავშირების თავმჯდომარე იყო 1986 წლამდე და ამჟამად 11 წლის გარდაცვლილია. ამასთან, პროფკავშირებს 400-მდე შენობა-ნაგებობა არასოდეს ჰქონია. რაც შეეხება პროფკავშირების გაერთიანების ხელმძღვანელების და ჩემს წილებს სხვადასხვა მინერალურ წყლებში, ეს ბეჟაშვილის ფანტაზიის შედეგია და უკომენტაროდ ვტოვებ.

*პატივისცემით*
*ადვოკატი, შპს "პროფკურორტის" დირექტორი*
*ლაშა ჭიჭინაძე*

# გიორგი სანაიას მკვლელობის საქმეში უამრავი დეტალი კვლავ ბუნდოვანია

ხათუნა ჯანგირაშვილი

*გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულ გრიგოლ ხურცილავას განაჩენი გუშინ უკვე მეორედ გამოუტანეს. თუმცა საქმეში, რომელსაც გიორგი სანაიას მკვლელობა ჰქვია, კვლავ უამრავი დეტალი დარჩა ბუნდოვანი და უამრავი კითხვა – პასუხგაუცემელი. განაჩენი უცვლელია – გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებულს ორი ინსტანციის სასამართლომ 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა. თუმცა, თუკი გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს მოსამართლემ ეს განაჩენი ერთი წლის წინ, მკვლელობის მოტივის დაუდგენლად გამოიტანა, საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ გუშინ გამოტანილი განაჩენის მიხედვით, მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობა სახელდება. მისთვის დაწერილი მეორე განაჩენი მსჯავრდებულს სასამართლო დარბაზში არ მოუსმენია. მან წინა დღეს მოსამართლისგან სასამართლო პროცესზე დაუსწრებლობის ნებართვა მიიღო.*



*გიორგი სანაიას საქმე საოლქო სასამართლოდან უზენაეს სასამართლოში გადაინაცვლებს.*

გოგიტა ბუხაიძის ფოტო

საქმე ისაა, რომ წელიწადნახევრიანი გამოძიება გიორგი სანაიას მკვლელობის მოტივს ოფიციალურად არ ასახელებდა და სწორედ სასამართლოზე აკეთებდა აქცენტს. **"მოტივი უცნობია, ყველაფერს სასამართლო გამოძიება იტყვის,"** – ასეთი იყო მაშინ მაღალჩინოსანთა კომენტარები. პირველივე პროცესზე, პირველივე მოწმემ სწორედ წინასწარ გავრცელებული ვერსია განავითარა და მკვლელობის მოტივიც დაასახელა.

**"კატეგორიულად გამოვრიცხავთ სანაიას მკვლელობის პოლიტიკურ მოტივს და დაკვეთილი მკვლელობის ვერსიას,"** – ასეთია ორივე ინსტანციის სასამართლოს განმარტება.

საქმე ისაა, რომ პროცესის მსვლელობისას ბრალდების მხარე, თავად განსასჯელი და მისი ინტერესების დამცველი ერთსა და იმავე პოზიციაზე იყვნენ. მათი განმარტებებით, მკვლელობას არანაირი პოლიტიკური სარჩული არ გააჩნდა და ის საყოფაცხოვრებო ნიადაგზე მოხდა, თუმცა, გრიგოლ ხურცილავას ადვოკატი და ბრალდების მხარე ერთ საკითხში მაინც ვერ თანხმდებოდნენ. განსასჯელის ინტერესების დამცველის მტკიცებით, ხურცილავამ მკვლელობა სულიერი აფექტის, აღელვების მდგომარეობაში ჩაიდინა, რასაც კატეგორიულად არ ეთანხმებოდნენ პროკურორები. რამდენჯერმე ჩატარებულმა ფსიქოლოგიურმა ექსპერტიზამაც კატეგორიულად გამორიცხა მკვლელობის მომენტში გრიგოლ ხურცილავას ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობა. სწორედ ამ დასკვნების გამო ის ფსიქოლოგები, ექიმ-ფსიქიატრები, რომლებსაც ხურცილავასთან ჰქონდათ შეხება, ირწმუნებოდნენ, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში, ადვოკატის კრიტიკის საგნად იყვნენ ქცეულნი.

საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატამ დაზარალებულის საჩივრის არც ერთი პუნქტი არ დააკმაყოფილა და საჭიროდ არ ჩათვალა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის ხელახალ გამოძიებაში დაბრუნება. სამაგიეროდ, დააკმაყოფილა "გრიცკოს", მისი ადვოკატისა და პროკურატურის საჩივარი და მკვლელობის მოტივად სექსუალური ძალადობა დაასახელა. გუშინდელი განაჩენით, მკვლელობის მოტივის გამოცხადებით, ბრალდების მხარე უზომოდ კმაყოფილი დარჩა და სასამართლო კოლეგიის მისამართით საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

როგორ აღმოჩნდა სანაიების ბინაში ლუდისა და "ფანტის" ბოთლები, რომლებიც გამოძიების ვერსიითა და თავად ხურცილავას მტკიცებით, მკვლელობის ღამეს სახლისკენ მიმავალმა სანაიამ შეიძინა; რატომ მოხდა, რომ დარაჯმა, რომლის განცხადებით, მკვლელობის ღამეს ერთად ნახა ხურცილავა და სანაია, მოგვიანებით ხურცილავა ვერ ამოიცნო; რატომ არ გაირკვა, სად, როგორ და რა ვითარებაში დაკარგა გიორგი სანაიამ ბინის გასაღები; რანაირად დარჩა გრიგოლ ხურცილავას სანაიას ბინაში ლუდის ბოთლი, რომელზეც მისი ყველა თითის ანაბეჭდი იყო მაშინ, როცა მან მკვლელობის შემდეგ ყველანაირი კვალი და ნივთმტკიცება მოსპო (შემთხვევის ადგილიდან გასვლისას მან, მასრასთან ერთად, ის ზეწარიც წაიღო, რომლითაც გაასუფთავა ყველაფერი); როგორ აღმოაჩინა პოლიციამ მიწაში ჩაფლული მასრა და სანაიების ბინის გასაღები მიწის ზედაპირზე მაშინ, როდესაც აღნიშნულ ნივთებს ვერ მიაგნო ლითონმძებნმა მოწყობილობამ? – საოლქო სასამართლომ ამ და სხვა უამრავ საეჭვო კითხვაზე პასუხი გამოძიებისა და რაიონული სასამართლოს მხრიდან ამოწურულად და დასაბუთებულად ჩათვალა და გიორგი სანაიას მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიება უსაფუძვლოდ მიიჩნია. **"წინასწარი და სასამართლო გამოძიება სრულფასოვნად არის ჩატარებული,"** - ასეთია საოლქო სასამართლოს სააპელაციო პალატის განაჩენის არგუმენტაცია.

რაც შეეხება მსჯავრდებულს: მისი საჩივარი გუშინდელი განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილებულია, თუმცა, ხურცილავას ადვოკატი 13-წლიან პატიმრობას, ოფიციალურად დასახელებული მკვლელობის მოტივის ფონზე, ზედმეტად მიიჩნევს და საოლქო სასამართლოს განაჩენის გასაჩივრებას ზემდგომ ინსტანციაში – უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატაში აპირებს. უზენაეს სასამართლოს კანონით გათვალისწინებულ 14-დღიან ვადაში მიმართავს დაზარალებულიც.

**"ეს გადაწყვეტილება აბსურდული და უკანონოა. როგორ შეიძლება კანონიერი იყოს გადაწყვეტილება გამოუძიებელ საქმეზე. სასამართლოს აშკარად არ სურს სიმართლის გარკვევა. მე კიდევ ვიმეორებ: გიორგი სანაია შეკვეთილი მკვლელობის მსხვერპლი გახდა. ამ მკვლელობას პოლიტიკური მოტივი ჰქონდა. ფაქტობრივად, უკვე ორჯერ გამოიტანეს განაჩენი გამოუძიებელ საქმეზე. ვერანაირი სასამართლო ვერ შეავსებს იმ ხარვეზს, რაც გამოძიებას აქვს დაშვებული. მე ვითხოვ მკვლელობის ჭეშმარიტი მოტივის და ნამდვილი მკვლელის დადგენას, ეს კი შეუძლებელია საქმის დამატებით ძიებაში დაბრუნების გარეშე,** - განაცხადა ჩვენთან საუბრისას გიორგი სანაიას მეუღლემ ხათუნა ჩხაიძემ, რომელიც ახალი ხელისუფლების პირობებში საქმის ობიექტურად გამოძიებას ითხოვს.

# ზუგდიდში დაკავებული მამა-შვილის აფხაზ სეპარატისტებთან კავშირებსაც დაადგენენ

ზუგდიდის ცენტრში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ერთ-ერთ საცხოვრებელ ბინაში ზუგდიდი-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციამ ჩხრეკა ჩაატარა. ზუგდიდელი ჭითანავების ბინიდან ამოღებულია დიდი რაოდენობით, 20 სახეობის იარაღი და საბრძოლო მასალა.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის უფროსის მერაბ ბაღათურიას განცხადებით, თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრებ ომეხ ჭითანავას ბინიდან ამოღებულია "აკაემის" და "აკაესის" სისტემის სამი ავტომატი, 6 ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა, სამი რევოლვერი, სამი სანადირო თოფი, 6 ე.წ. სნაიპერის შაშხანა, საბრძოლო ვაზნები, ჯავშანჟილეტი, საბრძოლო დანები, ავტომატისა და ტყვიაფრქვევების საბრძოლო ვაზნა - დაახლოებით, 2000 ცალი და ავტომატის რამდენიმე მჭიდი.

პოლიციამ ჩატარებული ჩხრეკის შემდეგ დააკავა მამა-შვილი ომეხ და მალხაზ ჭითანავები. ამჟამად ისინი ზუგდიდის სასამართლოს წინასწარი დაკავების იზოლატორში იმყოფებიან და ეჭვმიტანილნი არიან იარაღისა და ფეთქებადი მასალის უკანონო შენახვაში. ჭითანავების სახლიდან ამოღებული იარაღი წარდგენილია ექსპერტიზაზე და უმოკლეს დროში დადგინდება, ჩადენილია თუ არა ამ იარაღის გამოყენებით წარსულში რაიმე დანაშაული.

სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მერაბ ბაღათურიას განცხადებით, პოლიციას გააჩნდა ოპერატიული ინფორმაცია, რომ ჭითანავების ოჯახში იარაღი უკანონოდ ინახებოდა. თავდაპირველად, პოლიციამ სახლის წინ, მალხაზ ჭითანავა დააკავა, რომელსაც პირადი ჩხრეკისას პისტოლეტი უპოვეს. სამხარეო პოლიციის უფროსის თქმით, ომეხ ჭითანავა წარსულში ზუგდიდის ჩაის ფაბრიკის დირექტორი იყო, ბოლო წლების განმავლობაში კი იგი ბიზნესის ბიზნესით იყო დაკავებული.

როგორც ბაღათურია აცხადებს, ჭითანავას კონტრაბანდული საწვავი საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებადი, აფხაზეთის ტერიტორიიდან გადმოჰქონდა, რის გამოც გაჩნდა სერიოზული ეჭვი, რომ ომეხ ჭითანავას და მის შვილს მალხაზ ჭითანავას, შესაძლოა კავშირი ჰქონდეთ აფხაზ სეპარატისტებთან. გარდა ამისა, **"დასადგენია მსგავსი რაოდენობის იარაღის შენახვის მიზეზებიც, თუმცა თავად დაკავებულები, ჯერჯერობით, არაფერს განმარტავენ,"** – ჩვენთან საუბრისას განაცხადა მერაბ ბაღათურიამ.

*24 საათი*

# პროკურატურა ექვმიტანილებისგან ფულს იღებს, მაგრამ არ ვაჭრობს

მაია მოსიაშვილი

*ქვემო ქართლის პროკურატურამ ბოლო ორ თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში სხვადსხვა თანამდებობის პირების მიერ გადახდილი 140 ათასი ლარი შეიტანა. მალე ბიუჯეტს "აზოტელი" თანამდებობის პირებიც გაამდიდრებენ.*

ოლქის პროკურორის გია ჯიქიას თქმით, ყველაზე დიდი თანხა რუსთავის მეტალურგიული კომბინატის ყოფილი ფინანსური დირექტორის, თამაზ შათირიშვილის ოჯახმა, კერძოდ კი მისმა ძმამ გადაიხადა - 69 ათასი ლარი. შათირიშვილს ბრალი ედება სამოხელეო დანაშაულში - სახელმწიფოსთვის კუთვნილი ქონების არაკანონიერად განკარგვა. პროკურატურამ მას ბრალი დაუსწრებლად წაუყენა და ძებნილად გამოაცხადა. მეტალურგიული კომბინატის ფინანსური დირექტორი, ჯერჯერობით, ერთადერთი თანამდებობის პირია ამ საწარმოში, რომლის საქმეც პროკურატურამ ბოლომდე, ანუ სასამართლომდე მიიყვანა. რუსთავის საქალაქო სასამართლოში პროცესი ორი დღის წინ დაიწყო და ორშაბათს გაგრძელდება.

**"სადავო თანხის გადახდა თამაზ შათირიშვილისთვის ბრალდების მოხსნას არ ნიშნავს. ის ძებნილია და მის მიმართ აღმკვეთი ღონისძიება ძალაში რჩება. თუ ის სასამართლოში გამოცხადდება, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში შეიძლება ბრალის ნაწილობრივ შემსუბუქებაზე საუბარი,"** - ამბობს ჯიქია. რაც შეეხება მეტალურგიული კომბინატის სხვა თანამდებობის პირების მიმართ დაწყებულ საქმეს, მისი მოკვლევა პროკურატურამ 5-6 თვის წინ დაიწყო და დაახლოებით ორი კვირის წინ დამამთავრებელ ეტაპზე გასული საქმე, კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილების გამო, ფინანსთა სამინისტროს საფინანსო პოლიციის საგამოძიებო ნაწილმა წაიღო.

"ისინი რას იზამენ, ჩვენ არ ვიცით," - ამბობენ ქვემო ქართლის პროკურატურაში. შეგახსენებთ, რომ ამ საქმის მიხედვით, სხვებთან ერთად, პარლამენტარ დავით ბეჟუაშვილის სიმამრის, ვახტანგ ჭეიშვილის პასუხისმგებლობის საკითხიც იდგა. ამის გამო, თავიდანვე გაჩნდა საზოგადოებრივი აზრი, რომ სამართალდამცველები მას ბოლომდე ვერ მიიყვანდნენ.

პროკურატურის "რჩევით" საკმაოდ სოლიდური თანხა გადაიხადეს ბიუჯეტში ქვემო ქართლის რამდენიმე სოფლის საკრებულოს თავმჯდომარეებმა და, პატიმრობის ნაცვლად, პირობითი სასჯელები მიიღეს.

ასეთ დათმობაზე არ წავიდა პროკურატურა ლევან მამალაძის ყოფილ მოდგილესთან დაკავშირებით, რომელიც ოთხი დღის წინ დააკავეს. გუშინ რუსთავის სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და მარნეულის ყოფილ გამგებელს გოჩა ლორიას სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. მიუხედავად იმისა, რომ ლორიას ჯანმრთელობის მდგომარეობა საკმაოდ მძიმეა, მას ციხეში მაინც გადაიყვანენ. არ გამართლდა ვარაუდი, რომ სადავო თანხის გადახდის შემთხვევაში ავადმყოფი ეჭვმიტანილი წინასწარ პატიმრობას გადაურჩებოდა. ამის შესახებ გია ჯიქია მოკლე კომეტარს აკეთებს: **"ვაჭრობის საშუალებას არავის მივცემ."** მისი თქმით, გოჩა ლორიას ადვოკატი მას ესაუბრა და თანხის გადახდის შემთხვევაში საქმის შეწყვეტა სთხოვა, რაზეც პროკურორისგან უარი მიიღო.

ქვემო ქართლის პროკურატურის მიერ დღემდე მოპოვებული 140 ათასი ლარი არაფერია იმასთან შედარებით, რა თანხებსაც იქ ახლა ელოდებიან. საუბარია სააქციო საზოგადოება "აზოტზე" და მის ყოფილ (შესაძლებელია ამჟამინდელ) თანამდებობის პირებზე. პროკურატურის მიწვევით კონტროლის პალატის რევიზორები დაახლოებით სამი თვის მანძილზე სწავლობდნენ "აზოტის" დოკუმენტაციას. ისინი, სავარაუდოდ, მომავალ კვირაში პროკურატურას საბოლოო დასკვნას წარუდგენენ.

წინასწარი, არაოფიციალური ინფორმაციით, ძირითადი აქცენტი იმ პერიოდზე კეთდება, როცა ქარხნის გენერალური დირექტორი ბიზნესმენი გოგი გოგოლაძე იყო. გოგოლაძე "იტერას" საწარმოში შესვლის ერთ-ერთი ლობისტი იყო. იმავე "იტერამ" ის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობიდან გადააყენა და ქარხნიდან გაუშვა. კიდევ რომელ აზოტელ თანამდებობის პირს მოუწევს პროკურატურასთან ურთიერთობა, არ კონკრეტდება. ოლქის პროკურორი, ჯერჯერობით, რევიზიის ოფიციალურ დასკვნას ელოდება და არავის გვარს არ ასახელებს, თუმცა აცხადებს, რომ ამოღებული თანხები საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება.

# მტყუან-მართალს ხალხი განსჯის

*"ნანას და პოლიციელ დათოს ერთმანეთი უყვარდათ. მაგრამ ბოლო პერიოდში ნანამ, წარსული ცხოვრების გამო, რამდენჯერმე სცადა თვითმკვლელობა. "თუ მოკვდები, ჩემი ხელით მოკვდები," - უთხრა ერთ დღეს დათომ. რამდენიმე დღის შემდეგ დათომ გადაწყვიტა, ნანა ცოლად შეერთო და საცხოვრებლად სხვა ქალაქში წასულიყვნენ. ნანა არ დათანხმდა. დათომ "მაკაროვის" სისტემის იარაღიდან ორჯერ ისროლა და ნანა მოკლა. ამ ფაქტს ორი მოწმე შეესწრო," - ეს ის გადმოქართულებული ამერიკული "სცენარია", რომელიც გუშინ უზენაეს სასამართლოში "გათამაშდა" და რომლის მიზანიც ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებისათვის ხელის შეწყობა გახლდათ.*

თამარ კაციტაძე

2004 წლის 6 თებერვლის საკონსტიტუციო ცვლილებით, ქართულ მართლმსაჯულებაში ახალი ეტაპი დაიწყო, რომელიც სახელმწიფო სამართალწარმოებაში საზოგადოებრივი მონაწილეობის ახალ, ცივილიზებულ სამყაროში კარგად აპრობირებულ, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებას გულისხმობს.

**"ამ ინსტიტუტის ეფექტურად ამოქმედების აუცილებელი პირობა მასში ყველა მოქალაქის არაფორმალური მონაწილეობა და იმ პასუხისმგებლობის სრულად გააზრებაა, რომელსაც მას ცივილიზებული სასამართლო აკისრებს. ამდენად, საზოგადოების ფართო ფენებისთვის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის არსისა და მნიშვნელობის სწორი განმარტება და ამ იდეის პოპულარიზაცია და მხარდაჭერა ჩვენი ამოცანაა,"** - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმა, რომელიც უზენაეს სასამართლოსთან და "თავისუფლების ინსტიტუტთან" ერთად, იმიტირებული სასამართლო სხდომის ორგანიზატორი იყო.

გუშინდელ საჩვენებელ სასამართლო სხდომას უზენაესი სასამართლოს მოსამართლე თამარ ლალიაშვილი წარმართავდა. იქვე იყვნენ პროცესის მხარეები – ადვოკატები, პროკურორები, ბრალდებული და მოწმეები, ყველაფერი ისე ხდებოდა, როგორც რეალურ სასამართლო პროცესზე. ერთი განსხვავებით, სასამართლო დარბაზში იყო 12 ნაფიცი მსაჯული, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები არიან და რომლებსაც, ადვოკატ ეკა ბესელიას თუ არ ჩავთვლით, იურისპრუდენციასთან არსებითი შეხება, ფაქტობრივად, არ ჰქონიათ. ესენი იყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციის და ხელოვნების წარმომადგენლები, დეპუტატები და ჟურნალისტები.

გუშინ 12 მსაჯულს განზრახ მკვლელობაში ბრალდებული ადამიანის ბედი უნდა გადაეწყვიტა. სასამართლო პროცესის სრულად მოსმენის შემდეგ, ნაფიც მსაჯულთა შორის რამდენიმესაათიანი მსჯელობა და კამათი გაიმართა და საბოლოოდ გადაწყდა, რომ მკვლელობა გაუფრთხილებლობით მოხდა.

**"როგორც მოგვიანებით შევიტყვეთ, მოცემული მაგალითის შემთხვევაში, ობიექტური განხილვისას საქმე განზრახ მკვლელობასთან გვქონდა. თავიდან მეც ასე ვფიქრობდი, თუმცა ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო იმისათვის, რომ განზრახ მკვლელობისთვის დამეჭირა მხარი. სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი დღევანდელი გამოძიების ნაკლიც. ხშირად, ზუსტად ვიცით, რომ პიროვნება დამაშავეა, მაგრამ მტკიცებულებები ან შეკერილია ან საკმარისი არ არის. ასეთ შემთხვევაში კი, გადაწყვეტილება ბრალდებულის სასარგებლოდ უნდა იყოს მიჩნეული,"** - განაცხადა სხდომის დასრულების შემდეგ "მსაჯულმა", თავისუფლების ინსტიტუტის წევრმა თამარ კინწურაშვილმა, რომელიც საქართველოში ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებას წინ გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევს.

**"ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი ქართული სინამდვილისთვის უცხო არ არის. ეს არის ხალხის მსაჯულება და მისი შემოღება აუცილებელიც არის, რადგან ხალხის ნდობა ქართული მართლმსაჯულებისადმი ძალიან დაბალია. მართალია, ნამდვილი ნაფიცი მსაჯულები სპეციალურ მომზადებას გაივლიან, მაგრამ იურიდიული განათლება, ჩემი აზრით, საჭირო არ არის, რადგან ხალხი ყველაზე ობიექტური მსაჯულია და თუ მას კონკრეტულ ფაქტებს დაუდებენ, ისინი მტყუან-მართლის გარჩევას თავად შეძლებენ,"** - ამბობს თამარ კინწურაშვილი.

გუშინდელი, პირველი იმიტირებული სასამართლო სხდომა, შეიძლება ითქვას, რომ წარმატებით დასრულდა. თუმცა, წინ არის ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის რეალური გამოცდა.

**"ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტს დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ, რადგან ამით გარკვეულწილად მოისპობა ის გაუცხოება, რომელიც საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის საბჭოთა პერიოდში დამკვიდრდა. ამასთან, აღნიშნული ინსტიტუტის დანერგვით, ერთი მხრივ, თვითონ მოქალაქეების პასუხისმგებლობას ვზრდით და მეორეც, იზრდება სასამართლოებისადმი ნდობაც. არავისთვის დასამალი არ არის, რომ მიუხედავად სასამართლო და ხელისუფლების სხვა ორგანოებში დაწყებული რეფორმისა, საზოგადოების ნდობა მათდამი საკამოდ დაბალია,"** - აღნიშნა იუსტიციის მინისტრმა, რომელიც უზენაესი სასამართლოს თავჯდომარესთან ერთად იმიტირებულ სასამართლო სხდომას ესწრებოდა.

იუსტიციის სამინისტრო კი ის ორგანოა, სადაც დღეს სისხლის სამართლის ახალი კოდექსი მზადდება, რომლის ერთი ნაწილიც სწორედ ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის დამკვიდრებას ეხება.

**"ალბათ, ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როცა კანონის მიღებამდე მისი მოსახლეობაში აპრობირება ხდება. ერთი მხრივ, თუ საშუალება გვეძლევა, რომ მოხდეს მოსახლეობის ამ კუთხით განთლება, მეორე მხრივ, შესაძლებელია მოვისმინოთ მათი მოსაზრებები და წინადადებები, რაც კანონპროექტზე მუშაობის პროცესს გაგვიადვილებს,"** - აღნიშნავს გიორგი პაპუაშვილი და გვპირდება, რომ კანონპროექტი ორ თვეში პარლამენტში გადაიგზავნება განსახილველად.

## ორი სიტყვით

**თბილისი.** სამართალდამცავებმა ამხილეს "საქართველოს ბანკის" ცენტრალური ფილიალის დირექტორი, თბილისელი, 32 წლის ივანე ნიკოლეიშვილი, რომელმაც 2003 წლის 11 სექტემბერს, სამეწარმეო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, სს "საქართველოს ბანკის" გენერალური დირექტორის მოადგილესთან დავით ფანჯავიძესთან და "საქართველოს საავტომობილო ფედერაციის" პრეზიდენტთან ვიქტორ თოდაძესთან წინასწარი შეთანხმებით, თაღლითური გზით მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა დიდი ოდენობის, სახელმწიფო ბიუჯეტის თანხა - 2.300.000 ლარი, რითაც სახელმწიფო ინტერესებს მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს. ნიკოლეიშვილი პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ იმყოფება. თანხა - 5 მლნ ლარი მან უკვე დაფარა. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**ოზურგეთი.** ოზურგეთში ლანჩხუთის პოლიციის უფროსის, ირაკლი თავდიშვილის საცხოვრებელი სახლი გაქურდეს. როგორც ოზურგეთის პოლიციის უფროსი გოგი კუკულაძე აცხადებს, მისთვის ამ საქმის გახსნა პრესტიჟის საქმეა. ირაკლი თავდიშვილი ლანჩხუთის პოლიციის უფროსის მოვალეობის შესრულებას ორი დღის წინ შეუდგა. კუკულაძის მტკიცებით, თავდიშვილის სახლის გაქურდვა მის ამ თანამდებობაზე დანიშნვას არ უკავშირდება და ბოლო დროს ოზურგეთში გახშირებული ქურდობების სერიიდან ერთ-ერთი უმნიშვნელო ეპიზოდია. ორი დღის წინ, ასევე გვიან ღამით, ოზურგეთში, დუმბაძის ქუჩაზე ოზურგეთის პოლიციის კიდევ ერთი თანამშრომლის სოსო ურუშაძის საცხოვრებელი სახლი გაიქურდა. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** ნარკოტიკების შენახვა-რეალიზაციისათვის პანკისის ხეობის სოფელ ზემო ხალაწანში 47 წლის ძარო ცაციაშვილი დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, თბილისში, ქეთევან წამებულის გამზირზე მცხოვრებმა ერთ-ერთმა მოქალაქემ წარმოადგინა 0,2 გრამი ჰეროინი და განმარტა, რომ აღნიშნული ნარკოტიკული საშუალება პანკისში მცხოვრები ძარო ცაციაშვილისაგან შეიძინა 50 აშშ დოლარად. ცაციაშვილის დაკავებისას მისი საცხოვრებელი ბინიდან სამართალდამცავებმა 1,8 გრამი ჰეროინი ამოიღეს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ზუგდიდის პოლიციის თანამშრომლებმა სასჯელის მოხდის ადგილიდან გაქცევისათვის ძებნილი, 19 წლის ლაშა ღვინჯილია დააკავეს. როგორც შს სამინისტროში აცხადებენ, ღვინჯილიამ მიმდინარე წლის 3 მაისს, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, საგარეჯოს მესამე მკაცრი რეჟიმის დაწესებულებიდან გაქცევა მოახერხა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის თანამშრომლებმა რუსეთის საელჩოს მიმდებარე ტერიტორიაზე საზღვრის უკანონო გადმოკვეთისათვის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, ყარაჩაევო-ჩერქეზეთის ოლქის მკვიდრი, 49 წლის ვლადიმერ ვიქტორენკო დააკავეს. შს სამინისტროს ინფორმაციით დადგინდა, რომ ვიქტორენკომ მიმდინარე წლის 27 ივლისს უკანონოდ გადმოკვეთა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ცხინვალის რეგიონში. ვიქტორენკოს საქართველოში არალეგალურად შემოსვლის მიზეზების დადგენის მიზნით გამოძიებას პროკურატურა აწარმოებს. **პრაიმ-ნიუსი**

# საქართველოს პრეზიდენტი იერუსალიმში


არიელ შარონი და მიხეილ სააკაშვილი.


ასეთი დაცვით პრეზიდენტების უსაფრთხოება გარანტირებულია.


შეხვედრა შიმონ პერესთან


ქართულ სათვისტომოსთან შეხვედრაზე.



გამოსვლა შოთა რუსთაველის სახელობის ქუჩის გახსნაზე.


ვიზიტი იერუსალიმის პატრიარქთან.


თანამედროვე იერუსალიმი.


შოთა რუსთაველის ფრესკასთან.


გოდების კედელთან.


მაცხოვრის საფლავზე.




მიხეილ სააკაშვილი ისრაელის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსით დაინტერესდა.


ბადრი ვადაჭკორიას ფოტოები

## სადამ ჰუსეინი წერას აუტანია



სადამ ჰუსეინის ახალი ლიტერატურული ქმნილება ჯორჯ ბუშს ეძღვნება

B2

## ნილი ნაყარია: სლავია - დინამო, ლეგია - თბილისი



B4

## მშვენიერი და ძლიერი სქესი



B7

იუბილე

# გრიგოლ აბაშიძე - დღეს

ბესიკ ხარანაული

კაცობრიობა მეორედ უკვე ველარასოდეს შევა იმ მდინარეში, რომელსაც XX საუკუნე ერქვა. ჩვენს წინ ახლა წლები კი არა, საუკუნეებია ზურგშექცეული და პასუხს ელიან მარადიულ კითხვაზე "რაზე ვიფიქროთ?" პასუხს ელის არა მხოლოდ ხალხი და საზოგადოება, არამედ ის მაღალი უცნობი, თუ მაღალი აბსტრაქცია, რომელსაც დრო ჰქვია. დიახ, პასუხს ელის დრო! განსაკუთრებით, ჩვენგან, ქართველებისგან, ვინც დღემდის დროის მხოლოდ ლირიკულ ორეულს ვეთაყვანებით.

შესაძლოა, იფიქრო დროზე ისე, რომ თვალწინ გედგას ერთი პიროვნება, და შესაძლოა, იფიქრო პიროვნებაზე, როგორც დროზე. პიროვნებაგამოვლილი დრო უფრო მნიშვნელოვანია. ბატონმა გრიგოლმა რთული დრო განვლო, მეოცე საუკუნის მთელმა საბჭოურმა პერიოდმა გამჭოლი ქარივით განვლო მისი გული და გონება. ეს ის ქარი იყო, რომელიც ძირიანად გლეჯდა ადამიანის ტრადიციულ ცნობიერებას, სპობდა და ანადგურებდა ეროვნულ ფასეულობებს, აკნინებდა ენას, სახეს უკარგავდა ადამიანს... ამიტომაც, ბატონი გრიგოლ აბაშიძე ჩემთვის, დიდი ხანია ულისეს მსგავსად გადარჩენილი ადამიანის მხატვრული სახეა და შესანიშნავი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა განიცადოს პოეტმა დრო, რომ იყოს არა მისი რიგითი მემატიანე, არამედ ბიბლიური ტექსტების ავტორთა მემკვიდრე.

ბოლო წიგნის, "არყოფნისაკენ" გარეკანზე ბატონი გრიგოლის პორტრეტია - სკულპტურული ნიღბის მსგავსი... ვის წააგავს ამ პორტრეტით ბატონი გრიგოლი? იქნებ რომაელ პოეტსა და ფილოსოფოსს, რომელიც გამოაწრთო და დახვეწა, ტანჯა და აქეთ-იქით ახალა აღმოსავლეთმა და დასავლეთმა, კეისრის კარმა და დევნილობამ, წიგნმა და ცხოვრებამ და, რომელიც ცხოვრების მიწურულს საყვარელი და ერთგული მეუღლის ჩრდილქვეშაც ვერ პოვებს ადამიანისათვის სანატრელ სიმშვიდეს, რადგანაც მისი უპირველესი სატრფო - სამშობლო, კატასტროფულ ვნებებს დაუპყრია:

**ვაი, ქალაქის ძვლებო ბებრებო,**
**ვაი, დაშლილო ხანძრით ქვითკირო!**
**რომელი ერთის ფერფლს მოვეფერო,**
**რომელი ერთი ძმა დავიტირო?!**
*(ნახანძრალი თბილისი, 1992)*

**გადაიარე, შავო ღრუბელო,**
**მოთქმავ მიყუჩდი, ცამდის ასულო!**
**ვაი დალო და ვაი ჭუბერო**
**ვაი გოლგოთის გზავ, უსასრულო!**
**ბალღებს რა უნდათ ამ ბნელ ღამეში,**
**როგორ დაძლევენ ამ გრძელ მანძილებს?**
**მე მათი კვნესა ახლაც ჩამესმის,**
**რა დამაძინებს, რა დამაძინებს!**
*(რა დამაძინებს, 1994)*

საქართველოს ისტორია ბატონი გრიგოლისთვის იყო დიდი, ულევი წყარო შთაგონებისა და ფიქრისა, სიყვარულისა და ტკივილისა, რომლის ფურცლებზე იგი, როგორც სარკეში, ზუსტად არჩევდა ქართველთა ბედსა და უბედობას, ზნესა და უზნეობას, კანონზომიერებასა და ფატალიზმს... ამიტომაც ასე დაბნეულად გამოიყურებოდა თავისი ცხოვრების ბოლოჟამს, ყოველთა ქართველთა ზნეთა ვერდამალვის ჟამს, როცა ჩრდილოეთის ქარი აქეთ-იქით აქანებდა საქართველოს, როგორც გეზდაკარგულ ნავს:

**სიბნელევ, საქართველოს ცაზე და ძრულო,**
**მაკმარე, ნუ მისევ ავსულებს,**
**ნუ ცდილობ, სამშობლო შემაძულო,**
**ვერ შემაძულებ!**
*(ვერ შემაძულებ, 1994)*

"არყოფნისაკენ" გრიგოლ აბაშიძის დიდი პოეტური ნიჭის ბოლო გაელვება და მისი ლირიკის მეცხრე ტალღაა. მან დაამსხვრია პოეტის სხეული, მაგრამ ფერფლის ადგილას დარჩა უკვდავი ლეგენდა - მკაცრი, დაუნდობელი, სისპეტაკით და სიყვარულით გამსჭვალული ლექსების კონა, ტანჯვის ყვავილები, რომლითაც პოეტი, არათუ წუთისოფელს, სათაყვანებელ პოეზიასაც კი გამოეთხოვა:

**ცა და ქვეყანა თავზე გვექცევა**
**და სინანული მეც მეუფლება...**
**რა მელექსება! რა მელექსება!**
**ღმერთმა შემინდოს ეს ჩვეულება!**
*(ღმერთმა შემინდოს, 1992)*

სამშობლოს უბედობით შეძრული პოეტი უფრო დიდ სასჯელს საკუთარ თავს ვერ მოუფიქრებს, რადგან საუკუნო სულისმოთქმამდე ყველა პოეტი უძღები შვილია პოეზიისა, ყველა პოეტი სიკვდილის წინაც პოეზიის კარს უკაკუნებს...

გრიგოლ აბაშიძე ისეთ დროს გამოვიდა სამწერლო ასპარეზზე, როცა ძველი მნათობები ჯერ კიდევ არ იყვნენ ისტორიას შეფარებულნი, როცა მთელი ძალით ქუხდნენ გალაკტიონი, ცისფერყანწელები, გიორგი ლეონიძე... დიდი პოეტების ისეთი სიმჭიდროვე იყო, რომ ახალი სახელისთვის თითქმის არავის ეცალა. მაგრამ დრო და პოეზია ერთ ადგილზე არ ჩერდება, განახლება და წინსვლაა მათი უპირველესი სტიქია. გრიგოლ აბაშიძემ ისე შემოდგა პოეზიაში ფეხი, რომ მის ლექსებს არ დასტყობია არავითარი კვალი გავლენისა, შეგირდის გულუბრყვილობას რომ ეფარება. პირიქით, მის ადრეულ ლექსებში სწორედ ხაზგასმით ჩანს დიდი პოეტური სკოლა და ტრადიციების ზედმიწევნით ცოდნა. ახლებური იყო ის ემოციური საწყისიც, რითაც ახალგაზრდა შემოქმედი საზრდოობდა. გრიგოლ აბაშიძის პოეზია დიდ პოეტურ ოსტატობას ემყარებოდა... ეს ოსტატობა ყოველთვის იმდენად სრულყოფილი იყო, რომ პოეტისთვის კმაროდა შთაგონების უმცირესი იმპულსიც კი. გრიგოლ აბაშიძის შემოქმედების ეს მხარე ყოველთვის იქნება მისაბაძი ახალგაზრდა პოეტებისთვის.

ბატონ გრიგოლს შვხვდი 1954 წელს. მაშინდელი გრიგოლ აბაშიძე იყო მხიარული და თვალისმომჭრელი, როგორც ახალგაზრდა მოცარტი... მას შემდეგ მრავალმა წელმა გაიარა, ის დღე კი ჩემთვის წარუშლელია... სხვათა შორის, ამავე წელს გამოვიდა ბატონი გრიგოლის "ერთტომეულიც", რომელიც, არა მარტო მე, არამედ ჩემი თაობის პოეზიის მოყვარულებმა და პოეტობაზე მეოცნებეებმა ზეპირად ვიცოდით: "ნუ დაიჯერებ ზღაპრად მოთხრობილს", "ქვეყანას გასწვდი, თუმცა დიდია", "ხოშკაკალა", "დედასთან", "ჯიქთა ხათუნი", "ოცნება უფლისწულისა", "...ის ყელზე მოხვეულ მელას", "სევდა სანაპიროსი", "ზღვა და მერცხალი", "მითხრეს, სიწითლემ გადამკრა წუთით", "საყურე"... ხოლო პოემები - "ზარზმის ზმანება" და "გიორგი მეექვსე" ჩვენთვის სრულყოფილი პოეტური ხელოვნების ნიმუშებს წარმოადგენდა... ზეპირად ვიცოდით მის მიერ ქართველ პოეტად ქცეული შანდორ პეტეფი.

თავს ნებას მივცემ სრულად მოვიყვანო "შვიდი მეციხოვნე" - ერთ-ერთი საუკეთესო სონეტი ქართულ პოეზიაში:

**მთებში გადავხიზნეთ ქონება და ჩვილი ბავშვები,**
**დასეტყვილივით მივატოვეთ ქართლის ბაღები**
**და როცა ქართლში შემოვიდნენ ყიზილბაშები,**
**კაცი არ დახვდათ მორჩილი და კარის გამღები.**
**გარს გვერტყა ალყა, მტრების ურდოს რა მოუვლიდა,**
**კაცი არ იყო ტყვია-წამლის და წყლის მომტანი,**
**და რომ არ ეგრძნო მტერს, თუ ციხეს შევრჩით ცოტანი,**
**რიგით ვისროდით შვიდნი, შვიდ-შვიდ სათოფურიდან.**
**შიმშილს და წყურვილს გავუძელით, ბინდი გვეხურა,**
**როდესაც ტყვია გაგვითავდა, უჩინარ ბილიკს**
**ჩუმად ჩავყევით და ვეკვეთეთ ურდოს ვეფხვურად.**
**ბევრის სურვილი არ დაგვცალდა მცირერიცხოვნებს,**
**ჩვენც მტკვარი გვერგო სასაფლაოდ, შვიდ მეციხოვნეს**
**და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი.**

ეს სონეტი დიდი პოეტური ოსტატობის ნიმუშია. დავაკვირდეთ, როგორი ტევადობაა, თითქოს ვრცელ მოთხრობაში მოსაყოლი, მაგრამ ნამდვილი პოეზია ხომ მთავრის თქმაა და რა რთულია იმ "მთავრის" თქმაც! იმ მთავარი მომენტების შერჩევა, რომლებიც პოეზიის ენით დაგვიხატავს ამბავს. აქ დაუშვებელია რიტორიკა. ადგილი არ რჩება ზედმეტი სიტყვისათვის - საქმე სონეტთან გვაქვს - 14 სტრიქონთან! პოეტს კი უამრავი რამ აქვს სათქმელი: როგორ დაგვეცა მტრის რიცხვით დიდი ლაშქარი, როგორ გახიზნეს დამცველებმა ბავშვები და ქალები, როგორ გამაგრდნენ ციხე-სიმაგრეში და ჩაებნენ თავიდანვე მარცხისთვის განწირულ უთნასწორო ბრძოლაში... დაბოლოს, როგორ დარჩნენ მარტოდენ შვიდნი. ლექსში უნაკლოდაა განაწილებული სიმძიმეები, ყოველი სტრიქონი ტევადია. პირველ რვა სტრიქონში იმხელა გუნდაა აგორებული, ისეთი დრამატული სურათია დახატული, რომ შიში გიპყრობს დარჩენილი ექვსი სტრიქონის გამო, მით უმეტეს, რომ ამ ექვსი სტრიქონიდან სამი, ამჯერად მეციხოვნეების პორტრეტების დაკონკრეტებას ესაჭიროება. სამი სტრიქონიღა რჩება, სამად სამი... ამ სტრიქონებში უნდა ითქვას ისეთი რამ, რაც მთელ ამ ამბავს - თავისთავად დიდებულად მოყოლილს - პოეზიის შუქით გაანათებს.

**ბევრის სიკვდილი არ დაგვცალდა მცირერიცხოვნებს,**
**ჩვენც მტკვარი გვერგო სასაფლაოდ, შვიდ მეციხოვნეს...**

ეს სტრიქონები ერთსადაიმავე დროს ამბის თაღსაც კრავენ და რაღაც საზეიმო მოლოდინშიც ირინდებიან... ახლა ერთადერთმა სტრიქონმა უნდა გადაწყვიტოს მთელი სონეტის ბედი...

**და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი!**

განა სადმე ეტყობა ლექსს, რომ ამ სტრიქონისკენ მიისწრაფვოდა, რომ მისი წარმოთქმის მოლოდინში ცახცახებდა სუნთქვაშეკრული? რა გვითხრა პოეტმა? ის, რომ სამშობლოსთვის სიკვდილი ტკბილი და დედის რძესავით შესარგოა! მაგრამ, როგორ გვითხრა ეს? აქ ვერსად შევხვდებით პათეტიკას, ბუნებრივად რომ იჩენს ხოლმე თავს პატრიოტულ ლირიკაში. ყოველივე სადაა, საქმიანია და ლექსის ბედის გადაწყვეტაც იმას ევალება, რასაც ყოველთვის ევალებოდა - პოეზიას!

**და იყო მტკვარი საახალწლო თოვლივით თბილი!**

ხშირად პოეტზე ერთი ლექსით მსჯელობენ ხოლმე და ამაში არაფერია გასაკვირი: სიზუსტე, რითაც "შვიდი მეციხოვნეა" აღბეჭდილი, გრიგოლ აბაშიძის მთელი შემოქმედებისთვისაა ნიშანდობლივი. ნიშანდობლივია იმ თვალსაზრისითაც, რომ ისტორიის მძაფრი განცდა, რამაც შემდგომ გახმაურებული რომანები "ლაშარელა", "დიდ ღამე" და "ცოტნე" დააწერინა, იმავე ლირიკაში ილებს სათავეს. სწორედ ლირიკაში, რადგან პოეზია ყველაზე წმინდა და შეურეველი ნაკადია ყველა შემოქმედის მემკვიდრეობისა, როგორიც გინდა დიდი და მრავალმხრივი იყოს იგი და, გრიგოლ აბაშიძეც, ჩემი რწმენით, თავის ყველაზე სანუკვარ, სათუთ და წმინდა ზრახვებს პოეზიას გაანდობდა.

ბატონი გრიგოლი თავისი ცხოვრების ყველა გამოვლინებაში პოეტი იყო: უჭირდა თუ ულხინდა, ხუმრობდა თუ მთელი სერიოზულობით საუბრობდა... იგი იყო... პოეტი, რომელიც სიყვარულის ენერგიას გულში არ ინახავდა და მოახერხა გამოემზეურებინა კიდეც შემოქმედებითი და ადამიანური მოღვაწეობის მთელ გზაზე.

პოეტი არაადეკვატურია ცხოვრებასთან, ცხოვრების მოვლენებთან, ცხოვრების ტვირთთან. პოეტს უწევს ცხოვრება მეშჩანურ გარემოში. საზოგადოება, ცხოვრების ამაოება, ყოველივე ეს შორსაა ხელოვნებისაგან და ვინც შემოქმედს დაეხმარება, ეს ტვირთი ააწევინოს, ადგილი მოუცალოს და მოუსუფთაოს, ის არის მახარობელი შემოქმედის წინაშე. ხოლო თუ შემოქმედს ეღირსა, რომ მის გვერდით ხორცშესხმულად არსებობდეს მისივე პოეტური შთაგონების საგანი - ბედნიერია ასეთი შემოქმედი. გრიგოლ აბაშიძეს წილად ხვდა ბედნიერება, რომ მრავალი წლის მანძილზე ეცხოვრა თავისი გაუნელებელი სიყვარულისა და პოეტური შთაგონების საგანთან, უმშვენიერეს ლამარა აბაშიძესთან ერთად და მისი სიბრძნის, მზრუნველობის, თავდადების და სინაზის წყალობით მშვენიერებასთან წილნაყარს ევლო უკანასკნელ ამოსუნთქამდე. ბედნიერებაა, როცა შენთვის უსაყვარლეს ადამიანს ძალუძს ვეფხვივით შემართულიც იყოს და დედასავით მზრუნველიც და, ამავე დროს, როგორც სიყვარულის ნამდვილი ნიაღვარი, შენს ნერვებს, შენს შემოქმედებით ენერგიას არ აძლევდეს სიმშვიდისა და დაცხრომის საშუალებას.

გრიგოლ აბაშიძე იყო კულტურული მოვლენა, კულტურით საზრდოობდა და კულტურით ცხოვრობდა. ეს იყო ადამიანი, რომელსაც ყველაფერი არ შეეძლო - არ შეეძლო, სახელდობრ, პატიოსნების გამო კი არა, სახელდობრ, წესიერების გამო კი არა, სახელდობრ, ცოდნის გამო კი არა, სახელდობრ, განათლების გამო კი არა, სახელდობრ, პოეტობის გამო კი არა, არამედ იმ მიზეზთა მიზეზის გამო, რაშიც ყველა ეს ღირსება ერთიანდება - კულტურის გამო. ის, რაც არ შეესაბამებოდა კულტურას, რაც არ იყო ლამაზი, რაც არ იყო მართალი, რაც არ იყო გონებამახვილური, გრიგოლ აბაშიძისთვის საერთოდ არ იყო პატივისცემისა და განწყობის საგანი. განსაკუთრებული იყო მისი თვისება ნიჭის პატივისცემისა. აბსოლუტურად გრძნობდა ნიჭს და აბსოლუტურად პატივს სცემდა. ნიჭიერი ადამიანისთვის ყველაფერს გააკეთებდა. ნიჭიერ ადამიანს, შეიძლება ადამიანური ან საზოგადოებრივი ნაკლი ჰქონდა, მაგრამ, რაკი ის ნიჭიერი იყო, გრიგოლ აბაშიძის კეთილგანწყობას იწვევდა. სილამაზე ნიჭია, ყველამ ვიცით, მაგრამ ყველას როდი შეუძლია სილამაზეს დაუმორჩილოს ცხოვრება. კულტურა სილამაზის პირმშოა. არაფერი შეაკრთობდა და შეაწუხებდა ბატონ გრიგოლს, ოღონდ ნუ იქნებოდა უხამსობა, უკულტურობა, უნიჭობა... საოცარ დროში ილვაწა. თანაც, როგორც ყველამ ვიცით, არ იყო ცხოვრებისაგან გარიდებული კაცი, მაგრამ მხოლოდ და მხოლოდ ამ ღირსებებით და ასეთნაირმა განვლო მაღალი საზოგადოებრივი საფეხურები და, უნდა ითქვას, მისი მოღვაწეობა ძალზე მნიშვნელოვანი იყო ქართული მწერლობისათვის. გაირკვა, რომ ჩვენს მწერლობაში ბევრია ისეთი, ვისთვისაც ბატონი გრიგოლი მნიშვნელოვანი იყო, როგორც დამხმარე და შემწე. ამით იგი თავისადმი განწყობილთა და მიმხრობილთა გუნდს კი არ ქმნიდა, არამედ ეს მისთვის ჩვეულებრივი ცხოვრების წესი იყო.

დარწმუნებული ვარ, დღეს გრიგოლ აბაშიძე საზეიმოდ შემართული იქნებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ საქართველო დღეს ის აღარ არის, როგორიც მისი სიცოცხლის ბოლო ჟამს...

**გვიან მივხვდი: ყოველი**
**ცუდიც, კარგიც მოაქვს დროს**
**ჩემს ბედს ვგმობდი, რომელმაც**
**შენს დაცემას მომასწრო!**
**ახლა სინანულსა მგვრის**
**ნაღვლიანი ფიქრები:**
**შენ რომ აღორძინდები,**
**მე ხომ აღარ ვიქნები.**
**მე მივდივარ, შენ გტოვებ,**
**თითქოს სასომიხდილად**
**შენ აღდგები, მაგრამ მე...**
**მე შენ ვეღარ გიხილავ!**
*(ორგვარი სინანული, 1994)*

XXI საუკუნეში მოხდება ქართული ლიტერატურის გადაფასება, მაგრამ გადაფასება გატრიალება როდია, დაიწერება ქართული ლიტერატურის ახალი ისტორია და ამ ისტორიაში ყველაფერი, რაც კი კარგი შექმნილა, ჩადუღაბდება ახალ, დროთაგან შეუბედავ კედელში... გამომზეურდება, განათდება, აღარაფერი დაიმალება და გამოჩნდება, რომ ქართული ლიტერატურის საგანძურში გრიგოლ აბაშიძემ უამრავი შედევრი დადო - დატოვა ლექსი, პოემა, რომანი, თარგმანი... მომავლის თვალი ახლებურად აღიქვამს მას, მომავლის გამომცემელი ლიტერატურის ვერც ერთ ჟანრში ვერ შეადგენს ანთოლოგიას ამ დიდებული სახელის გარეშე.

საინტერესოა, რას გვეტყოდა იგი დღეს, როცა აღარ არის ჩვენს შორის, ცოცხალთა შორის, როცა ასეთი სასტიკი ბრძოლით გამოეთხოვა წუთისოფელს ამ ათი წლის წინ! საინტერესოა, რას იტყოდა იგი ყველაფერ იმაზე, რაც ახლა იქმნება?! მან ხომ ისეთ დროს მიატოვა ცხოვრება, როდესაც კულმინაციას მიაღწა ყოველნაირმა ნერვმა ცხოვრებისა, როცა ყველაფერი პულსირებდა, როცა არც ერთ წყლულს არ ეძინა, როცა ყოველი თავის ეგო-ხმას უმაღლეს ნოტზე გამოსცემდა...

გრიგოლ აბაშიძე პოეზიამ კი არა, საქართველოს ტკივილმა შეიწირა. მისი ბედი სამშობლოს ტკივილმა გადაიყოლა, როცა ამ ათი წლის წინ კვლავაც სასწორზე დადგა ღვთისგან მომადლებული თავისუფლება, კვლავაც ბეწვზე დაეკიდა მისი ცხოვრების უპირველესი ოცნება:

**როცა სამშობლო გვქონდა სვიანი,**
**როცა სამშობლო გვქონდა მთლიანი,**
**ჩვენს დროშას ერქვა გორგასლიანი,**
**ჩვენს დროშას ერქვა დავითიანი!**

ამ სტრიქონებში პოეტის ოცნება კი არა არის გამოხატული, არამედ მის მიერ ნანატრი და განჭვრეტილი სინამდვილეა. სინამდვილე, რომელიც დღეს ხორცს ისხამს და პატივს მიაგებს დიდი პოეტის წინასწარმეტყველურ ზეშთაგონებას.



*მეოცე საუკუნის მთელმა საბჭოურმა პერიოდმა გამჭოლი ქარივით განვლო გრიგოლ აბაშიძის გული და გონება.*



*მარცხნიდან მეორე - ჟან პოლ სარტრი, მისი მეუღლე სიმონა დე ბოვუარი და გრიგოლ აბაშიძე.*



*გრიგოლ აბაშიძე, ნოდარ დუმბაძე და კონსტანტინე სიმონოვი.*



# აფიშა

## თეატრები

**თავისუფალი თეატრი**
სეზონის დახურვა
დათო ტურაშვილი
"ჯინსების თაობა"
რეჟისორი: დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ.

## კინოთეატრები

**"რუსთაველი"**
"სპარტანელი"
დას: 14:30; 19:30; 22:00 სთ.

"ადამიანი ობობა 2"
დას: 17:00 სთ.

**"ამირანი"**
"მომხიბვლელობის კანონი"
დას: 16:00; 18:00 სთ.

"სპილო"
დას: 20:00; 22:00 სთ.

## გამოფენები

**TMS**
გოგი ჩაგელიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

**"ძველი გალერეა"**
ალი ასლანიშვილის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა, გრაფიკა)

**"ბაიას გალერეა"**
ჟურნალ არტ-მარკეტის" საპრეზენტაციო გამოფენა

**"ქარვასლა"**
მამუკა ცეცხლაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა

**"ჰობი"**
გამოფენა "კალეიდოსკოპი"

**სურათების ეროვნული გალერეა**
ირინა რაზმაძის ნამუშევართა პერსონალური გამოფენა (ფერწერა)

*დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ შეგიძლიათ მოგვაწოდოთ ინფორმაცია ელექტრონულ მისამართზე:* ***culture@24hours.ge***

# პროფესიონალთა რჩევები და ვანდალიზმის გამოვლენის ეფექტური საშუალება

თეონა ჯაფარიძე

*ხელოვნების მრავალ ძეგლზე ფაშისტთა ნატყვიარები დღემდეა შემონახული. ესეც ხომ ისტორიაა, ოღონდ ვანდალიზმის ისტორია.*

ისე მარტივად და ჰოლივუდური "ჰეპი ენდით" დასრულდა რუსთაველის ფრესკასთან დაკავშირებული ვანდალური ისტორია, რომ ვისაც ოდესმე ოდნავი შეხება მაინც ჰქონია სარესტავრაციო საქმიანობასთან, ტელეეკრანებიდან ახალი, "გაპრიალებული" რუსთაველის პორტრეტის გამოჩენამ, და მისმა ე.წ. "სწრაფმა აღდგენამ" ბევრში (პროფესიონალებს ვგულისხმობ) ეჭვის (და არა მარტო ეჭვის) გრძნობა გამოიწვია...

ცხადია, იერუსალიმში გამართული საერთო სახალხო სიხარულის გულწრფელობაში ეჭვი არავის შეჰპარვია. და ამ ზეიმის ფონზე სასწრაფოდ "აღდგენილ" ფრესკას უფრო ქართველებისადმი მადლიერების გამომხატავი **საჩუქრის** დატვირთვა რომ მიეცა, ესეც ფაქტია, რაზეც საქართველოს პრეზიდენტმა თავაზიანი მადლობა გადაუხადა ებრაელ ხალხსა და ისრაელის მთავრობას. თუმცა, მისი განცხადებიდან ისიც იგრძნობოდა, რომ მას უკვე ჰქონდა ინფორმაცია ფრესკის სასწრაფო რესტავრაციის "ხარისხის" თაობაზე, რაზეც მან საკმაოდ ტაქტიანად დასძინა, რომ მომავლისათვის დაგეგმილია ამ საქმეში "საერთაშორისო ექსპერტებისა და ქართველი პროფესიონალების ჩართვა."

ვინ აღადგინა ფრესკა, არის თუ არა დაგვიანებული პროფესიონალების ჩარევა, და საერთოდ, რას გვირჩევენ ისინი? ამ კითხვებით **ფერწერის დარგში ძეგლთა დაცვის დეპარტამენტის მთავარ ექსპერტს, ნანა კუპრაშვილს** მივმართეთ.

"არავითარი აღდგენა, მხოლოდ კონსერვაცია. უნდა გაკეთდეს ფრესკის ასლი, რომელიც დაზიანებულის გვერდით გამოიფინება. კულტურის ძეგლებზე **ფაშისტების ნატყვიარებს არ აღადგენდნენ, რომ შენახულიყო ინფორმაცია ვანდალიზმის შესახებაც**." - ასეთი რეცეპტი შემოგვთავაზა პროფესიონალმა, მაგრამ ცოტა



ბადრი ვადაჭკორიას ფოტო

*საქართველოს დელეგაცია აღდგენილ ფრესკასთან*

უფრო ვრცლად დავასაბუთოთ ეს მოსაზრება, რომელსაც პროფესიონლთა წრეებში ბევრი ავტორიტეტი უჭერს მხარს:

თავდაპირველად იმის შესახებ, თუ ვინ აღადგინა ფრესკა. ნანა კუპრაშვილის ცნობით, ის **უცნობი ებრაელი რესტავრატორია**, რომელმაც ბერძენი ბერების დაკვეთითა და ცხადია, შესაბამისი თანხის საფუძველზე, სასწრაფოდ (ისრაელში საქართველოს პრეზიდენტის ვიზიტისათვის) ხელახლა დახატა რუსთაველის პორტრეტი. "როგორც გადმომცეს, თვალისა და თმის ფრაგმენტიც კი, რომელიც ვანდალურ აქტს შემთხვევით გადაურჩა, დაქირავებულმა რესტავრატორმა დანარჩენი გადაფხეკილი ნაწილის მსგავსად გადაფხიკა, რომ უფრო მოხერხებულად შეესრულებინა დავალება. იმედს ვიტოვებ, რომ ეს მცდარი ინფორმაციაა და ფრაგმენტები რესტავრატორმა ხელუხლებელი დატოვა იმიტომ რომ, ჩვენთვის ყოველ დეტალს უდიდესი მნიშვნელობა აქვს." - მიხსნის ნანა კუპრაშვილი.

რა განსხვავებაა აღდგენასა და კონსერვაციას შორის? - პრაქტიკულიცა და მორალურიც და აი, რატომ: "აღდგენა - ეს ცუდად გაკეთებული ასლია. წარმოიდგინეთ პირვანდელი სახით შემორჩენილი მსოფლიო შედევრების ყველა ფრაგმენტი რომ აღადგინონ, ანუ ხელახალი სახით რომ შემოგვთავაზონ - ფაქტობრივად, ხომ ქრება მათი ორიგინალურობა?! მერე მეორეც, ყველა საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია მოითხოვს იმას, რომ როცა ძეგლს რესტავრაციის მიზნით ეხები, დემონსტრაციულად უნდა ჩანდეს, თუ რა გააკეთე, ანუ რაში ჩაერიე. მესამე მიზეზი, რისთვისაც კატეგორიული წინააღმდეგები ვართ აღდგენისა, ის გახლავთ, რომ **აღდგენით ფაქტობრივად, უნებლიეთ ვმალავთ ვანდალიზმის ფაქტს.** რაც შეეხება კონსერვაციას: კონსერვაცია დღეს მთელ ცივილიზებულ მსოფლიოში მიღებული ფორმაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფრესკა უნდა შენარჩუნდეს იმ სახით, როგორითაც მან ჩვენამდე მოაღწია და აუცილებლად უნდა ჩატარდეს კვლევითი სამუშაოები. უნდა შევისწავლოთ ქვედა ფენები. რუსთაველის ფრესკის შემთხვევაში ქვედა ფენების შესწავლა განსაკუთრებით აუცილებელია, რადგანაც უკანასკნელი სამი წლის წინანდელმა ქართულმა სამეცნიერო ექსპედიციამ საბოლოოდ დაადგინა ფრესკის თარიღი - **ეს მე-16-ე საუკუნეა. ცხადია, თუ ქვედა ფენებს გამოვიკვლევთ, შესაძლოა, იქ რუსთაველის უფრო ადრეულ და ფასეულ პორტრეტსაც წავაწყდეთ.**" - ამბობს ნანა კუპრაშვილი.

საბოლოოდ კი, პროფესიონალები გვირჩევენ: საერთაშორისო ექსპერტებთან ერთად, რომლებიც მოწვეულნი იქნებიან იუნესკოდან, "იკრომიდან", "იკომისიდან" და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, უნდა შემუშავდეს მეთოდოლოგია. უნდა ჩატარდეს ყველა ტიპის კვლევა. სასწრაფოდ უნდა ჩამოიხსნას ახლად "მოხატული" ფრესკა, ძეგლი უნდა დაკონსერვდეს დაზიანებული სახით და მის გვერდით იერუსალიმის ჯვრის მონასტერში უნდა გამოიფინოს ფრესკის ასლი.

**P.S.** ვანდალიზმის ქართული ვარიანტების შესახებ კი, ისეთს, როგორიცაა კაზრეთის მონასტრისა თუ გორში კათოლიკური ეკლესიის გადაღებვის ისტორია, ჩვენი გაზეთის საშუალებით ახლო მომავალში შემოგთავაზებთ.

# გვენ სტეფანი თავს იფასებს



ჯგუფ No Doubt-ის წევრი, მომღერალი გვენ სტეფანი თავის იმიჯს ძალიან უფრთხილდება. როცა მსახიობებთან, კეიტ ბლანშეტთან და კეიტ ბეკინსეილთან ერთად ქალთა ჟურნალის, "მარი კლერის" გარეკანისთვის სურათის გადაღება შესთავაზეს, 34 წლის როკერმა უარი განაცხადა. მომღერალი ამ ორ ქალბატონთან ერთად ფილმ "მფრინავში" ჰოლივუდის ვარსკვლავ ჯინ ჰარლოუს როლს ასრულებს.

თურმე, სტეფანი შიშობს, რომ ფოტოპორტრეტი "მაგარი" როკერი გოგოს სახეს არ შეეფერება. ის თავისი ექსცენტრული გამოსვლებითაა ცნობილი - თუნდაც ის რად ღირს, რომ საკუთარ ქორწილშიც კი ერთი საათით დაიგვიანა.

# სადამ ჰუსეინი წერას აუტანია

*სადამ ჰუსეინმა გადაწყვიტა, რომ კვლავ ლიტერატურას უნდა მიუძღვნას თავი. მისი ახალი ქმნილება ჯორჯ ბუშს ეძღვნება.*

სადამი თავის სიდიადეში მუდამ დარწმუნებული იყო. მას ხელმწიფესავით დგომა მოსწონდა, თავი ახალ ალადინად მოჰქონდა, ტრადიციულ არაბულ სამოსში გამოწყობილი და ცხენზე შემჯდარი მარადისობას აპყრობდა მზერას. მას სურდა, სწორედ ასეთად შესულიყო ისტორიაში, მაგრამ, ვაგლახ, ისტორიამ სხვაგვარად განსაჯა.

ძალაუფლების ავადმყოფურად მოყვარული დიქტატორის ფანტაზიები მის პირველ რომანში იყო ხორცშესხმული. წიგნი, რომელსაც ზღაპრული სათაური აქვს - "საბიბა და ხელმწიფე", - ოთხი წლის წინათ გამოქვეყნდა. რომანში ბაბილონის ხანის უფლისწულის ამბავია მოთხრობილი. მას არაბი ჰქვია, ალაჰისა სწამს და იმედი აქვს, რომ გადატრიალების შედეგად დაკარგულ ძალაუფლებას დაიბრუნებს. ცენტრალურ სადაზვერვო სამსახურში ეს წიგნი ერაყის ექსპერტებმა ლამის ზეპირად ისწავლეს, მაგრამ ამას დიდი ხეირი არ მოუტანია.

რასაკვირველია, დიქტატორის რომანმა მთელ მსოფლიოში დიდი ინტერესი გამოიწვია. წარმატებით ფრთაშესხმული სადამი კვლავ წერას განაგრძობდა და 2001 და 2002



*სადამ ჰუსეინის ახალი ლიტერატურული ქმნილება ჯორჯ ბუშს ეძღვნება*

წლებში წიგნის მაღაზიების დახლებზე მისი კიდევ ორი, ამჯერად პოლიტიკური ხასიათის რომანი გამოჩნდა: "აუღებელი ციხე-სიმაგრე" და "მამაკაცები და ქალაქი". ამ წიგნებში ზრაპრული გმირების ნაცვლად ერაყელი პატრიოტების ამბებია მოყოლილი. "მამაკაცებისა და ქალაქის" მთავარ გმირს სულაც სალეჰ ჰუსეინ ალ მადშიდი ჰქვია - მისი და ავტორის სრული სახელი მხოლოდ უმნიშვნელოდ განსხვავდება - "სადამი" "სალეჰმა" შეცვალა. რომანის მოქმედება ჩვენს დროში ვითარდება.

ამერიკასთან ომის შემდეგ სადამის ლიტერატურულ შემოქმედებაზე აღარაფერი თქმულა - საამისოდ არავის ეცალა. და აი, სულ ცოტა ხნის წინათ, დამხობილი მმართველის ბოლო ნაწარმოები გამოჩნდა. ის გაზეთ "ალ შარგ ალ-ავსატში" გაგრძელებებით იბეჭდება. ამბობენ, რომ ხელნაწერი რედაქციას სადამის ექიმმა, ალა ბასირმა მიაწოდა.

ეს რომანი, პათეტიკური სახელწოდებით "გამოდი, წყეულო!" გასული წლის მარტში იყო დასრულებული. მისი ძირითადი ქარგა არაბებისა და მუსლიმების წინააღმდეგ სიონისტურ-ქრისტიანული შეთქმულებაა. ცხადია, ამ ნაწარმოების მთავარი პერსონაჟიც მუსულმანია, ამჯერად მას მაჰმუდი ჰქვია. მას მუდმივი კონფლიქტი აქვს თავის სიძეებთან: ვერცხლთმოყვარე ებრაელ იეზეკილთან და ქრისტიან იუსუფთან, რომელთაც მაჰმუდის წინააღმდეგ პირი აქვთ შეკრული. ლამის ბიბლიური ისტორიაა, ომის შემდეგ სამი ობოლის ამშვილებელ პაპასაც კი აბრაჰამი ჰქვია.

არაბული სამყაროსა და ლიტერატურის მცოდნეები ვარაუდობენ, რომ უზარმაზარი ჯარი, რომლის მთავარსარდალიც მაჰმუდი ხდება, სულ მალე მტრის მიწასაც შეუტევს. როგორც ჩანს, 2003 წელს, ამერიკის ჯარების ერაყში შეჭრამდე სადამ ჰუსეინს საომარი მოქმედებების განვითარება სულ სხვაგვარად წარმოედგინა.

რომანში მისი ლაშქარი მოწინააღმდეგის ყველაზე მაღალსა და მნიშვნელოვან ციხე-კოშკებს ამხობს. 11 სექტემბერდან პარალელი აშკარად თვალშისაცემია. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, რომელიც ამაოდ ეძებს სადამისეულ მასობრივი განადგურების იარაღს და კავშირებს ალ-ქაიდასთან, დიდად ნასიამოვნებია: როგორც იქნა, ექსპერტებს იმის თქმა მაინც შეუძლიათ, რომ სადამი ტერორისტებს ფიზიკურად თუ არა, აზრით მაინც ედგა მხარში.

# მოკითხვა წარსულიდან

1967 წელს გერმანიაში ფერადი ტელევიზორის ერა დაიწყო; ბოლივიაში ჩე გევარა დახვრიტეს; სამხრეთ აფრიკაში პირველი წარმატებული გულის გადანერგვის ოპერაცია ჩატარდა; შეერთებულ შტატებში სამი ასტრონავტი "აპოლოში" ავიდა - და ყველაფერ ამასთან ერთად, ერთი უცნაური ბედის მქონე საფოსტო ბარათი იყო გაგზავნილი.

ვინმე დოროთი ორსი ძალიან გაოცდა, როცა სულ რამდენიმე დღის წინათ თავის საფოსტო ყუთში ღია ბარათი აღმოაჩინა: მისი ქალიშვილი ჯენეტი ნიუ ჯერსის სანაპიროზე, პარკში მეუღლესთან ერთად ისვენებდა და იქიდან უთვლიდა დედას მოკითხვას. საქმე ისაა, რომ წყვილი იქ კარგა ხნის წინათ, უფრო სწორად, 37 წლის წინ იყო - ბარათზე ბეჭედი 1967 წელსაა დარტყმული.

ორსმა ქალიშვილს დაურეკა და მოკითხვისთვის მადლობა მოახსენა. ქალიშვილიც, შესაბამისად, გაოცებული დარჩა. მან გაიხსენა, რომ მაშინ სანაპიროზე ქორწინების ხუთი წლისთავის აღსანიშნავად იყო გამგზავრებული.

გაირკვა, რომ ნიუ იორკში, ბრუკლინის საფოსტო განყოფილებაში, ღია ბარათი რაღაც უშველებელი დანადგარის უკან ჩავარდნილა, რომელიც მხოლოდ ახლა დაუძრავთ ადგილიდან. თანამშრომელმა, რომელმაც ძველ ქაღალდს მიაგნო, მას ახალი, 23-ცენტიანი მარკა დააკრა (1967 წელს ეს სიამოვნება მხოლოდ ოთხი ცენტი ღირდა) და წერილი სათანადო მისამართზე გაგზავნა.



*ერიკ კლაპტონი*

# გიტარისტის ლამაზი სახე

გიტარაზე დაკვრის ხელოვნების ერთ-ერთი საიდუმლო ისაა, რომ შემსრულებელს სახის სათანადო გამომეტყველების მიღებაც უნდა შეეძლოს. ამერიკული სატელევიზიო შოუ საუკეთესო "გიტარის სახეს" ეძებს. მთავარია, გიტარისტის გამომეტყველება შთამბეჭდავი, იყოს და როგორი იქნება - ტკივილისგან დამანჭული, ნებიერი თუ დებილური - ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მართლაც, რა სახსენებელია ის როკ-გიტარისტი, რომელსაც თავისი ვნებების სწორად ჩვენება არ შეუძლია? თუნდაც ენგუს იანგი, სტივი რეი ვოენი, ედი ვან ჰალენი და ერიკ კლაპტონი გაიხსენეთ. "გიტარის სახისთვის" ისინი მარადიული ხატები არიან.

შესაბამისად, მსგავსი რამეები ჰევი მეტალის, ბლუზისა და როკის მოყვარულ შემსრულებლებსაც კარგად გამოსდით. ამიტომ ერთმა მუსიკალურმა გადაცემამ, რომელიც შეერთებულ შტატებში საკაბელო ტელევიზიით გადაიცემა, მთელ მსოფლიოს მოუწოდა: გამოგვიგზავნეთ ყველაზე "ლამაზი" სახეები! ამ საქმეში მონაწილეობა ჩვენც შეგვიძლია - ინტერნეტ-მისამართია g. განა ქართველი გიტარისტები ვინმეზე ნაკლებად იჯღანებიან?



*კით რიჩარდსი*

# „გავიგე, სახლებს ღებავთ"...

## ანუ ვინ მოკლა ჯიმი ჰოფა

მელორ სტურუა
საქ. კორ. აშშ

ფრენკ შირენმა, მეტსახელად "ირლანდიელმა", თავბრუდამხვევი კარიერა გაიკეთა. მან წვრილი ჯიბის ქურდობით დაიწყო, კარნავალებსა და ბაზრობებზე საქმიანობდა. შემდეგ სატვირთო მანქანების გატაცებაზე გადავიდა. შემდეგ პროფკავშირების დიდი მოღვაწე გახდა, და ბოლოს, პროფესიულ მკვლელობას მიჰყო ხელი. სწორედ ამ სახით წარუდგინეს ის სატვირთო ტრანსპორტის მძღოლთა პროფკავშირის ყოვლისშემძლე მეთაურს, ჯიმი ჰოფას. პირველი სიტყვები, რომლებიც ჰოფამ "ირლანდიელს" უთხრა, ეს იყო: "მსმენია, რომ სახლებს ღებავთ". ფრენკი, ცხადია, მღებავი არ ყოფილა. მაფიოზურ არგოზე "სახლების ღებვა" მოკვლას ნიშნავს ("ეტიმოლოგია": მსხვერპლის სისხლი, რომელიც დანაშაულის ადგილზე კედლებსა და იატაკს სვრის).

"მსმენია, რომ სახლებს ღებავთ" - ეს ახლახანს გამოსული წიგნის სათაურია, რომელიც შირენის ადვოკატმა, ჩარლზ ბრანდტმა გამოაქვეყნა. წიგნს უფრო გავრცობილი ქვესათაურიც აქვს: "ფრენკ "ირლანდიელი" შირენი, მაფიის ისტორიის ხედვა, ტრანსპორტელები და ჯიმი ჰოფას უკანასკნელი მგზავრობა". წიგნი ასეულობით საათის მომცველი აუდიოჩანაწერის საფუძველზეა დაწერილი - ფრენკი თავის ადვოკატს აღსარებას აბარებდა. ფრენკმა ცოდვები სიკვდილამდე ერთი წლით ადრე მოინანია. ის 83 წლის ასაკში, გასული წლის დეკემბერში გარდაიცვალა. მისი ქალიშვილის, დოლორეს მილერის თქმით, ოჯახი ცდილობდა, მისთვის აღსარების თქმა გადაეთქმევინებინა, მაგრამ მოხუცმა თავისი გაიტანა. "როგორც ჩანს, მამას წარსულთან განშორება და მშვიდად გარდაცვალება უნდოდა," - ამბობს დოლორესი.

ბრანდტის წიგნი ნათელს ჰფენს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას - 1975 წლის ივლისში ჯიმი ჰოფას "გაუჩინარებას", - მის ცხედარს დღემდე ვერ მიაგნეს. ჰოფას მკვლელობასთან დაკავშირებით მრავალი ვერსია არსებობს, იმის ჩათვლით, რომ ის რობერტ კენედის ხალხის მიერ იყო მოკლული. მაგრამ აი, გარდაცვალების წინ ფრენკი ამტკიცებს, რომ ჰოფა მან მოკლა. მაშასადამე, პროფკავშირების ხელმძღვანელმა "სახლის შესაღებად" საკუთარი მკვლელი დაიქირავა.

დოლორეს მილერი "უცნაურ დამთხვევას" იხსენებს: მამამისი დეტროიტში ვიღაცის ქორწილში სწორედ იმ კვირის ბოლოს გაემგზავრა, როცა ჰოფა დეტროიტის ერთ-ერთი რესტორნიდან "გაქრა". სამუდამოდ. "ეჭვი მქონდა, რომ მამამ იცოდა, ეს როგორ მოხდა. მაგრამ არასოდეს მიმიცია მისთვის ხელში რევოლვერი." განგსტერის ქალიშვილმაც იცის მაფიოზური ჟარგონი. ფრაზის მეორე ნაწილი ნიშნავს, რომ ის მამას ჰოფას მკვლელობაში არ ადანაშაულებდა. რევოლვერი თავად ფრენკმა აიღო ხელში, როგორც პირდაპირი, ისე გადატანითი მნიშვნელობით.

ტრანსპორტელების ბოსმა, რომელმაც მოიხადა სასჯელი და გარეთ გამოვიდა, გადაწყვიტა კვლავ გამხდარიყო პროფკავშირის პრეზიდენტი. ეს პროფკავშირი ერთ-ერთი ყველაზე თაღლითური ორგანიზაცია გახლდათ ქვეყანაში და მჭიდროდ იყო დაკავშირებული დამნაშავეთა სამყაროსთან. ამ მიზნით ის დასმენით ემუქრებოდა მაფიას. როგორც ჩანს, იმედი ჰქონდა, რომ ხელისუფლება მადლიერი დარჩებოდა და მას პრეზიდენტის პოსტის დაკავებაში დაეხმარებოდა. ამგვარად ჰოფა მაფიისთვის "ვირთხად" იქცა, ანუ ჩამშვებად. ჰოდა, "ვირთხის" მოკვლა გადაწყვიტეს. ჰოფას მოკვლა ფრენკს დაევალა, რადგანაც ის პროფკავშირისა და მაფიის ნდობით სარგებლობდა. "როდესაც ასეთი თხოვნით მოგმართავს პენსილვანიის მაფიის ნათლიმამა რასელ ბუფალინო, უარის თქმა არ შეიძლება," - თავი იმართლა ფრენკმა. უარის თქმა მართლაც შეუძლებელი გახლდათ. არჩევანი შეზღუდული იყო: ან ჰოფას მოკვლა, ან საკუთარი ტყავის გაწირვა.

ფრენკი სასწრაფოდ დეტროიტში ჩაფრინდა და ჰოფა შეხვედრაზე დაპატიჟა. ეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო ბივერლენდ სტრიტზე №17841-ში. ჰოფა, რომელიც მთლიანად ენდობოდა "ირლანდიელს", რანდევუზე მივიდა. "მე მას ახლოდან ვესროლე და ორი ტყვია ჩავაჭედე მარჯვენა ყურის ქვეშ," - ამბობს ფრენკი. და სენტიმენტალურად დასძენს: "ჩემს მეგობარს არ უწვალია, სიკვდილი მაშინვე ეწვია." ფრენკმა არ იცის, სად წავიდა გვამი. "კვალის გაწმენდა" სხვებს ევალებოდათ (შრომის განაწილება ეფექტიანობის საწინდარია!). თუმცა შენიშნავს, "დარწმუნებული ვარ, რომ ფრენკის ცხედარი სტადიონის შუაგულში არ დაუგდიათო".

№17841 სახლის კედლები შეღებეს. წიგნის გამოსვლის შემდეგ დეტროიტის პოლიციამ გადაწყვიტა ამ "სავირთხის" კედლებსა და იატაკზე დარჩენილი ნაკვალევის ანალიზი ჩაეტარებინა. თუმცა ფრენკი ამტკიცებდა, რომ ჰოფა "ვირთხა" არ ყოფილა. მაგრამ ბრძანება ბრძანებაა. ადგილობრივი პროკურორი აპირებს ხელახლა დაკითხოს მოწმეები მანამ, სანამ გახსნის ჰოფას ძველ საქმეს და მას დიდ ჟიურის გადასცემს. "გადაწყვეტილი მაქვს ან დავამტკიცო, ან გავაბათილო ფრენკ შირენის ისტორია," - ამბობს იგი.

კვალის დაფარვის მიზნით დაბრუნდი ადგილზე." შენ უნდა გაგეკეთებინა ის, რაც უნდა გაგეკეთებინა." "საქმეები" კი "ირლანდიელს" ბევრი ჰქონდა. მოდით, ისევ მას მოვუსმინოთ, მის ბეზრულ, ბუღალტერივით საქმიან ხმას: "ეს დღე კარგად მახსოვს. ჰოფასთან ერთად პუერტო-რიკოში გავფრინდი და ორი საქმე გავაკეთე. მერე ჩიკაგოში ჩავედი და იქ კიდევ ერთი საქმე მოვაგვარე. იქიდან სან ფრანცისკოში გავფრინდი, ჯიმის შევხვდი და ანგარიში ჩავაბარე." გამგმირავი პროზაა, რას იტყვით? მაგრამ ფრენკს საკუთარი წარმოდგენა ჰქონდა სტილსა და ხელწერასთან დაკავშირებით. ის ამბობს: "მე და ჩემი მეგობრები მართლაც ვხოცავდით ადამიანებს, მაგრამ ამას მაგრა ვაკეთებდით."

და მართლაც, მათ ვერც კი შეადარებთ "სოპრანოს კლანის" მოუხერხებელ "ოსტატებს". სულ სხვა საქმეა ფრენკის ბოსი რასელ ბუფალინო, პენსილვანიის მაფიის "ნათლიმამა", რომელსაც ფრენკი ასე მოიხსენიებს: "ერთ-ერთი დი-



ბრანდტის წიგნი ნათელს ჰფენს ამერიკის შეერთებული შტატების ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე საიდუმლოებით მოცულ მკვლელობას - 1975 წლის ივლისში ჯიმი ჰოფას "გაუჩინარებას".

ფრენკმა სალვატორე ბრიგუჯიოც ჩამოიშორა. სალვატორე დაბალი რანგის მაფიოზი იყო, მან ჰოფა სახლამდე მიაცილა, სწორედ იმ სახლთან, სადაც ჰოფას სიკვდილი დახვდა. ფრენკი და მისი მძღოლი ჯონ ფრენსისი სალვატორესთან მივიდნენ ნიუ იორკის იტალიურ კვარტალში - "პატარა იტალიაში". შემდეგ ასეთი რამ მოხდა. "მე მას მივუახლოვდი და ვუთხარი: გამარჯობა, სალ! მან მიპასუხა: სალამი, ირლანდიელო!" სალიმ ჯონს შეხედა, ის ჯონს არ იცნობდა. სანამ ის ელოდა, რომ ჯონს გავაცნობდი, ამ უკანასკნელმა ორი ტყვია დაახალა. სალი უსულოდ დაეცა ტროტუარზე. მოკლედ და კონკრეტულად!"

წიგნის ავტორი არ არის პროფესიონალი მწერალი, ის ადვოკატია. ის არც ცდილობს მარიო პიუზოდ წარმოგვიდგინოს საკუთარი თავი, არც ბრძენის პოზიცია უკავია. სიტყვას გადასცემს თავის გმირს, და წიგნიც გვიყვება ამბავს "ძველის სკოლის" ამ მაფიოზის ხმით. ავტორი მხოლოდ დროდადრო გვერთვება და ამა თუ იმ ფაქტს კომენტარს უკეთებს. მაგალითად, საკუთარ აზრს გამოთქვამს ჰოფას საქმესთან დაკავშირებით. ფრენკი თხრობის დროს დეტალებით არ გვანებივრებს, როგორც ამას აკეთებს ჰენრი ჰილი, რომლის მემუარების საფუძველზეც მარტინ სკორსეზემ თავისი ცნობილი ფილმი შექმნა. "ირლანდიელის" თხრობაში არც პათოსი იგრძნობა. ამ პროფესიონალი მკვლელის სტილი უზრალოა, ისევე როგორც ტყვიის ნასროლი, და ამავე ტყვიის ნასროლის მსგავსად, ზუსტია და საქმიანი. ბოლოსდაბოლოს მისი პროფესია მკვლელობა იყო, ეს პროფესია მან ჯერ კიდევ ჯარში ყოფნისას შეითვისა, მაშინ მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა. აი, მაგალითებიც, რაც მისი სტილის სიმარტივეს მოწმობს:

მსხვერპლის გაქრობის პირველი დავალება ფრენკმა ფილადელფიელი მაფიის მამისგან - ანჯელო ბრუნოსგან მიიღო.ეს დავალება ასე ჟღერდა: "შენ უნდა გააკეთო ის, რაც უნდა გააკეთო." ფრენკის კომენტარი ასეთია: "არავითარი აუცილებლობა არ არსებობს იმისა, რომ ქუჩაზე დაეშვა და პენსილვანიის უნივერსიტეტის კარზე მიაკაკუნო იმისათვის, რომ გაიგო, რას გულისხმობდა ანჟელო. ეს ისევე გავიგე, როგორც ჩემი ოფიცრის ბრძანება ომში, როცა ის მეუბნებოდა: წაიყვანე ეს გერმანელი ტყვეები და სასწრაფოდ

დი ადამიანი იმ ორ დიდ ადამიანს შორის, რომელსაც კი ჩემს ცხოვრებაში შევხვედრივარ." დიახ, რასელ ბუფალინო ტონი სოპრანო არ გახლავთ. ესენი გოლიათები არ არიან. თავად მოისმინეთ: ჰოფას მკვლელობიდან რამდენიმე საათის შემდეგ ფრენკი ოჰაიოს შტატში ჩაფრინდა "ნათლიმამას" სანახავად. ბოსს ეძინა. როცა გაიღვიძა, დეტალების გამოკითხვა არ დაუწყია, ფრენკს მხოლოდ ეს სიტყვები უთხრა: "ნებისმიერ შემთხვევაში სასიამოვნო მოგზაურობა გქონდა, ჩემო ირლანდიელო მეგობარო." "იმედი მაქვს, კარგად გეძინათ," - უპასუხა ფრენკმა.

წიგნში - "მსმენია, რომ სახლებს ღებავთ" ბევრი საყურადღებო ფაქტია თავმოყრილი, თუმცა ბევრი მათგანი შემდგომ დამტკიცებას მოითხოვს. შირენი ამტკიცებს, რომ წორედ მან მოკლა 1972 წელს მაფიის ერთ-ერთი ბოსი ჯოზეფ გალი. შირენი იმასაც გვიყვება, თუ როგორ აძლევდა ქრთამს იუსტიციის მინისტრს ჯონ მიტჩელს (ნიქსონის მმართველობის დროს), რათა ჰოფას პრეზიდენტის წყალობა ჰქონოდა. წიგნში გაკვრით ისიცაა მინიშნებული, რომ ჰოფა და მაფია იყო გარეული კენედის მკვლელობაში...

ჰოფა კენედის ოჯახს ვერ იტანდა. წიგნის - "მსმენია, რომ სახლებს ღებავთ" გამოსვლის შემდეგ გარდაიცვალა ვინმე ჯონ ჩისტი. რა კავშირია? - იკითხავთ. თითქოს არაფერი. ჩისტი 90 წლის ასაკში გარდაიცვალა, მშვიდად, საკუთარ სახლში. გულმა უმტყუნა. მაგრამ მისი ცხოვრება სუფთა არასოდეს ყოფილა. ეს იყო საკმაოდ კოლორიტული ფიგურა. კარიერა 30-იან წლებში დაიწყო, ხაზინის აგენტად. მან იურიდიული განათლება მიიღო და იმით გამოიჩინა თავი, რომ საგადასახადო მარწუხებში მოაქცია ინოკ ჯონსონი, რესპუბლიკური პარტიის მანქანის ბოსი ატლანტიკ სიტის სათამასო ბიზნესში. მეორე მსოფლიო ომის დროს ჩისტი ფლოტში მსახურობდა. ის იყო ფილიპინებზე სამხედრო ბაზის მეთაური.

ომის შემდეგ ჩისტი მშობლიურ ბრუკლინში დაბრუნდა და კერძო იურიდიული ფირმა გახსნა. ის ადვოკატობდა ისეთ ცნობილ ნიუ იორკელ მაფიოზებს, როგორებიც იყვნენ ჯონ ბონანო და "მერდერ ინკორპორეიშენის" მეთაური ალბერ ანასტასია. ჩისტი დაუმეგობრდა ადვოკატ ფიშბახს. სწორედ ფიშბახმა უთხრა მას, რომ ერთ-ერთ მის კლიენტს უნდოდა, თავისი კაცი ჰყოლოდა სენატის დანაშაულთან ბრძოლის კომისიაში და კომისიის საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა. "მე ვკითხე: ვინ არის თქვენი კლიენტი? მან თავისი სატელეფონო წიგნაკი გადაშალა და წაიკითხა - ჯიმი ჰოფა, მერე ორი ტელეფონის ნომერი მომცა. მე დავუსტვინე და ვთქვი: ოჰო, თავად მისტერ დიდი! (Mr. Big)" ეს გახლავთ ციტატა ჩისტის შემდგომი ჩვენებებიდან. ის ფიშბახის წინადადებას დათანხმდა და დეტროიტში ჩაფრინდა ჰოფასთან შესახვედრად. მერე ჩისტიმ რობერტ კენედის დაურეკა, რომელიც იმ დროს სენატის კომისიის მთავარი კონსულტანტი იყო და მისი დახმარებით შეძვრა კომისიაში.

შემდეგ მოვლენები კინემატოგრაფიული სისწრაფით ვითარდება. ეიფას ჩისტის მეშვეობით კენედის უზარმაზარი ქრთამი შესთავაზა. ეს ქრთამი მან მომავალი პრეზიდენტის უმცროს ძმას მიუტანა ნაღდი ფულით. მოგვიანებით კენედი იხსენებდა, ჰოფას და ჩისტის სურდათ, რომ ქვეყნისთვის მელალატაო. კენედის ქრთამი არ აუღია. სამართალდამცავმა ორგანოებმა კი ჰოფა აიყვანეს ჩისტისთან საიდუმლო შეხვედრის დროს, ვაშინგტონის ერთ-ერთ სასტუმროში. თუმცა, ჰოფამ გამოძრომა მოახერხა. ნაფიც მსაჯულთა ფედერალურმა სასამართლომ ის გაამართლა. ასე დაიწყო მრავალწლიანი მტრობა ჰოფასა და კენედის კლანს შორის.

რობერტს იმედი ჰქონდა, რომ ჩისტის ჩვენება და ფარული კამერით გადაღებული ფილმი, რომელშიც ნაჩვენებია, თუ როგორ იღებს ჰოფა სენატის საიდუმლო დოკუმენტების პაკეტს, დაეხმარებოდა პროფკავშირის ბოსის დაპატიმრებაში. მან დაიფიცა კიდეც, ამ საქმეში რომ წავაგო, კაპიტოლიუმიდან თავით გადმოვეშვებიო. მაგრამ სრულიად გაუთვალისწინებელი რამ მოხდა. ერთ მშვენიერ დღეს, როცა ჰოფა სასამართლოში ჩვენებებს იძლეოდა, სასამართლო დარბაზში შემოვიდა ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი, ლეგენდარული მოკრივე ჯო ლუისი. მან ჰოფას მხარზე ხელი დაუტყაპუნა და დარბაზს მიმართა: "მე იმისათვის მოვედი, რომ მენახა, თუ რას უშვრებით ჩემს მეგობარს ჯიმი ჰოფასო." უოტერ შერიდანის წიგნში - "ჯიმი ჰოფას ამაღლება და დაცემა" ნათქვამია, რომ პორტსმენის გამოჩენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, განსაკუთრებით შავკანიანებზე." თორმეტწევრიან კოლეგიაში კი რვა შავკანიანი იყო. მართალია, მოგვიანებით მსაჯულები ამტკიცებდნენ, რომ ლუისის მოულოდნელ გამოჩენას მათ გადაწყვეტილებაზე ზემოქმედება არ მოუხდენია. "საქმე იმაში კი არ არის, რომ ჩვენზე ლუსისის გამოჩენამ იმოქმედა, საქმე იმაშია, რომ ჩვენზე ჩისტის ჩვენებებს არანაირი ზემოქმედება არ მოუხდენიათ," - ამბობდნენ ისინი.

სასამართლო პროცესის შემდეგ ფედერალური ძიების ბიუროს აგენტები ერთი წლის განმავლობაში უთვალთვალებდნენ ჩისტის სახლს. სახლის პატრონს, ანუ ჩისტის, მათი ტერმინოლოგიით, ერქვა Cat, ანუ კატა. კატა ხაფანგში აღმოჩნდა. ერთი მხრივ, ის ფედერალური ძიების ბიუროს კლანჭებში იყო, მეორე მხრივ, კი მაფიისა. თუმცა, მაფიის ტყვიისგან ყოფილმა კლიენტმა იხსნა. 60-იან წლებში ჩისტიმ მხედრით სვლა გააკეთა, ჯონ კენედის საარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაება. ძნელი სათქმელია - რატომ. შესაძლოა, ძველ ცოდვებს მალავდა, შესაძლოა, კვლავ კენედის კლანის ნდობის მოპოვებას ცდილობდა. ამავდროულად "კატა" ადვოკატის პრაქტიკასაც გადიოდა - ჯერ ვაშინგტონში, შემდეგ კი ნიუ იორკში. 1994 წელს 87 წლის ასაკში ჩისტი, როგორც იქნა, "დამსახურებულ შესვენებაზე" გავიდა. სიკვდილამდე რამდენიმე ხნით ადრე ახლობლებს გაუმხილა, რომ 60-70-იან წლებში ცენტრალური დაზვერვის სააგენტოში მუშაობდა. აი, ვინ იყო "კატა" - ცენტრალური დაზვერვის სააგენტოს აგენტი, რომელსაც ფედერალური ძიების ბიურო უთვალთვალებდა მაფიასა და ჰოფასთან კავშირის გამო.

ჩარლზ ბრანდტის წიგნის გამოქვეყნებამ და ჯონ ჩისტის სიკვდილმა გაგვახსენა ის წლები, როცა მაფია "ღებავდა სახლებს" ამერიკაში. სხვათა შორის, ამგვარი "სამღებრო სამუშაოები" აქ ახლაც გრძელდება, თუმცა მათ დანაშაულებრივი სამყაროს სქელი ნისლი დააწვა.

თქვენ გოლიათები არ ხართ! - ეუბნებიან თავიანთ უღირს მემკვიდრეებს მაფიოზური ოლიმპის მკვიდრნი.

## ათეულები

### კვირის ბესტსელერები მაღაზია "პარნასის" მონაცემებით

| ავტორი | წიგნი | გამომცემლობა | რეიტინგი |
|---|---|---|---|
| ალენ კარი | მოწევის თავის დანებების მარტივი გზა | რუსთავი 2 პრინტი | 5,6 |
| Pen მარათონი 2004 | მე მინდა სახლი | დიოგენე | 3,2 |
| გურამ მანჯგალაძე | სარანგი | თბილისელები | 2,0 |
| გურამ მანჯგალაძე | მელები | თბილისელები | 2,0 |
| პაულო კოელიო | ვერონიკამ სიკვდილი გადაწყვიტა | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2,0 |
| აკა მორჩილაძე | მოგზაურობა ყარაბაღში | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2,0 |
| პაულო კოელიო | ალქიმიკოსი | ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა | 2,0 |
| [illegible] | მე შემიძლია ცხოვრების [illegible] | გია ქარჩხაძის გამომცემლობა | 1,6 |
| გურამ მანჯგალაძე | მორიელი | თბილისელები | 1,6 |
| გურამ [illegible] | ბუთქუნა და მეგობრები | [illegible] | 1,6 |

### კვირის საუკეთესო სიმღერების ათეული ჟურნალ "ბილბორდის" მიხედვით




| შემსრულებელი | სიმღერის სახელწოდება | გასული კვირის პოზიცია | უმაღლესი პოზიცია |
|---|---|---|---|
| "ფაივ ფორ ფაითინგ" | 100 Years | 1 | 1 |
| მარტინა მაკბრაიდი | This One's For The Girls | 2 | 1 |
| დაიდო | White Flag | 3 | 2 |
| "სილი" | Love's Divine | 4 | 3 |
| მაიკლ მაკდონალდი | Ain't No Mountain High Enough | 7 | 5 |
| შერილ კროუ | The First Cut Is The Deepest | 5 | 1 |
| ლაიონელ რიჩი | Just For You | 6 | 6 |
| ანქლ კრეკერი და დობი გრეი | Drift Away | 9 | 1 |
| ჯოშ გრობანი | You Raise Me Up | 10 | 1 |
| Maroon 5 | This Love | 11 | 10 |




### წლის ყველაზე შემოსავლიანი ფილმების ათეული ამერიკული კინო-თეატრების მონაცემებით

| ფილმი | რეჟისორი | მსახიობი | რამდენი ხანი გადის ეკრანზე | საერთო შემოსავალი მილიონ $-ში |
|---|---|---|---|---|
| "შრეკი 2" | ენდრიუ ადამსონი | მაიკ მაიერსი, ედი მერფი, კამერონ დიასი, ანტონიო ბანდერასი, რუპერტ ევერეტი | 9 კვირა და 3 დღე | 429,4 |
| "ბეჭდების მბრძანებელი: მეფის დაბრუნება" | პიტერ ჯექსონი | ელაიჯა ვუდი, შონ ასტინი, იან მაკკელენი, ვიგო მორტენსენი, ჯონ რის-დევისი | 23 კვირა და 6 დღე | 377,0 |
| "ქრისტეს ვნებანი" | მელ გიბსონი | ჯეიმს კევიზელი, მონიკა ბელუჩი, როზალინდა ჩელენტანო, სერჯიო რუბინი | 21 კვირა და 5 დღე | 370,0 |
| "ადამიანი-ობობა 2" | სემ რაიმი | ტობი მაგუაირი, ქირსტენ დანსტი, ალფრედ მოლინა | 3 კვირა და 5 დღე | 328,5 |
| "ჰარი პოტერი / აზკაბანის ტყვე" | ალფონსო კუარონი | დანიელ რედკლიფი, ემა უოტსონი, რუპერტ გრინტი, გარი ოლდმენი, დევიდ თიულისი | 7 კვირა და 3 დღე | 241,8 |
| "დღე ხვალის შემდეგ" | როლანდ ემერიხი | დენის ქუეიდი, ჯეიკ ჯილენჰოლი, ემი როსუმი, იან ჰოლმი, დეშ მიჰოკი | 8 კვირა და 3 დღე | 184,1 |
| "ელფი" | ჯონ ფავრო | [illegible] | 16 კვირა და 3 დღე | 173,4 |
| "მატრიცა: რევოლუცია" | ენდი და ლარი უაჩოვსკები | კიანუ რივზი, ლორენს ფიშბერნი, ჰიუგო უივინგი, ჯადა პინკეტ-სმითი | 15 კვირა და 5 დღე | 139,3 |
| Cheaper By The Dozen | შონ ლევი | სტივ მარტინი, ბონი ჰანტი, [illegible] | 23 კვირა და 4 დღე | 138,6 |
| "ტროა" | ვოლფგანგ პეტერსენი | ბრედ პიტი, ერიკ ბანა, ორლანდო ბლუმი, პიტერ ო'ტული, დაიან კრუგერი | 10 კვირა და 3 დღე | 132,7 |

ფეხბურთი

# წილი ნაყარია: სლავია - დინამო, ლეგია - თბილისი

მიხეილ აბაიშვილი

გუშინ შვეიცარიაში, ქალაქ ნიონში, უეფას შტაბ-ბინაში გაიმართა ჩემპიონთა ლიგის მესამე და უეფას თასის მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა. გამოვლინდნენ თბილისის გუნდების, "დინამოსა" და "თბილისის" მეტოქეები. ორივეს უძნელესი გამოცდა ელის: "თბილისი" პოლონეთის ვიცე-ჩემპიონს, ვარშავის "ლეგიას" შეხვდება, ხოლო "დინამო" - პრაღის "სლავიას".

ვარშავის "ლეგია" არა მხოლოდ პოლონური, საშუალოევროპული საზომებითაც ანგარიშგასაწევ ძალად ითვლება. ეს გუნდი სისტემატურად მონაწილეობს ევროტურნირებში, უთამაშია ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში, შიდა ჩემპიონატში კი ყოველთვის ჩემპიონობის მთავარ პრეტენდენტად ითვლება. შარშანდელ სეზონში "ლეგია" კარგა ხანს ინარჩუნებდა ჩემპიონობის შანსს, მაგრამ უშუალო კონკურენტთან, "ვიტ ჯორჯიას" შემარცხვენელ "ვისლასთან" პირად შეხვედრებში წარუმატებლად თამაშის გამო საბოლოოდ ვერცხლის მედლებს დასჯერდა. "ვისლამ" ჩემპიონატის ფინიშზე 7 ქულით გადაასწრო "ლეგიას". გთავაზობთ "თბილისის" მთავარი მწვრთნელის გიორგი დევდარიანის პირველ კომენტარს წილისყრის შედეგებზე.

"მეორე ეტაპზე რომ აზერბაიჯანის "შამქირთან" შედარებით ძლიერი გუნდი შეგვხვდებოდა, კარგად იყო ცნობილი. ასე რომ, ეს გუნდი სანკტ-პეტერბურგის "ზენიტი" იქნებოდა, პრაღის "სლავია" თუ ვარშავის "ლეგია", პრინციპში, სულერთი იყო. ჩვენი სავარაუდო მეტოქეები ბევრით არაფრით განსხვავდებოდნენ ერთმანეთისგან - სპორტული ოსტატობის თვალსაზრისით დაახლოებით თანაბარი ძალის გუნდებია. ამიტომაც, რომ ვთქვა, "ლეგიასთან" დაწყვილება ჩემთვის უსიამოვნო სიურპრიზია-მეთქი, მართალი არ ვიქნები.

წილისყრიდან ნახევარი საათიც არ გასულა და ამ წუთში "ლეგიას" შესაძლებლობებზე ბევრს ვერაფერს ვიტყვი. ჩვენ შევაგროვებთ ამ გუნდზე ინფორმაციას, ვნახავთ მატჩების ვიდეოჩანაწერებს მისი მონაწილეობით და უფრო კონკრეტულად მერე შემეძლება საუბარი. თუმცა, დღესვე შეიძლება ითქვას, რომ გუნდი, რომელიც რამდენიმე დღის წინ თბილისში ჩამოსულ "ვისლას" ჩემპიონატში სრულფასოვან კონკურენციას უწევდა, საშუალოევროპული დონისაა. ჩვენს წყვილში ფავორიტის სტატუსი "ლეგიას" ეკუთვნის. "ვიტ ჯორჯია"-"ვისლას" თამაშმა დაგვანახა, თუ რამდენად ჩამოვრჩებით პოლონურ საკლუბო ფეხბურთს. ისე არ გამიგოთ, რომ "თბილისი" ამ ეტაპის დაძლევას არ შეეცდება. "ლეგიას" უეფას თასის გათამაშებიდან გამოთიშვა ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ არა შეუძლებელი. სხვაობა არც ისე დიდია, როგორც ეს "ვიტ ჯორჯიას" მაგალითზე შეიძლება აზრად გაივლოთ. ყოველ შემთხვევაში, გპირდებით, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთის პრესტიჟს ლაფში არ ამოვსვრით, პირიქით, შევეცდებით, რევანში ავიღოთ", - განუცხადა "24 საათს" გიორგი დევდარიანმა.


ლევან ხერხეულიძის ფოტო

დევდარიანის არ იყოს, დინამოს მწვრთნელ გეგუჩაძესაც (მარჯვნივ) ბევრი საფიქრალი გაუჩნდა.

რაც შეეხება "სლავიას", ეს გუნდიც საკმაოდ ცნობილია მთელ ევროპაში. მისი მთავარი მწვრთნელი იოზეფ ჩეპლერი კარგად არის ნაცნობი თბილისის "დინამოსთვის". ორი წლის წინ, როდესაც "დინამო" ჩეხეთის "ლიბერეცს" შეხვდა, ამ გუნდს სწორედ ჩეპლერი ედგა სათავეში. ახალ კლუბში ჩეპლერმა გადაიყვანა "დინამოსთვის" ნაცნობი ჰოლენაკი, რომელმაც იმ თბილისურ მატჩში მიიღო მონაწილეობა. "სლავიაში" თამაშობს ჩეხური ფეხბურთის ორი გამორჩეული ვარსკვლავი - პაველ კუკა და რადეკ ბეიბლი, თუმცა, ისინი უკვე ვეტერანებად ითვლებიან. და მაინც, ბეიბლსაც და კუკასაც საფეხბურთო ოსტატობა და გამოცდილება დღემდე არ დაეწუნებათ და "დინამოს" ბევრ თავსატეხს გაუჩენენ.

გია გეგუჩაძე ("დინამოს" მთავარი მწვრთნელი): ძალიან ძლიერი მეტოქე შეგვხვდა. ალბათ, ყველაზე ძლიერი იმ ექვს გუნდს შორის, რომელთაგან წილისყრას ჩვენი მეტოქე უნდა გაერკვია. "სლავია" ჩეხური საკლუბო ფეხბურთის გრანდია და მაღალი კლასის ფეხბურთელებითაა დაკომპლექტებული. თუმცა, მიმაჩნია, რომ თუ კარგად მოვემზადებით, მომდევნო ეტაპზე გასვლა შესაძლებელია."

სხვათა შორის, ჩეპლერიც საკმაოდ უფრთხის "დინამოს". კომენტარში, რომელიც "სლავიას" ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა, ჩეხი მწვრთნელი ქართულ კლუბს მაღალ შეფასებას აძლევს.

"შესაძლოა, ექვსეულიდან ყველაზე რთული მეტოქე შეგვხვდა. თბილისის "დინამოს" კარგად ვიცნობ, ამ გუნდთან უშუალო შეხება მქონდა "ლიბერეცში" მუშაობისას. მართალია, მაშინ "დინამოს" ბარიერი გადავლახეთ, მაგრამ ძალიან გაგვიჭირდა. ქართველები საკმაოდ მაღალტექნიკურები, სწრაფები არიან და მათთან ყურადღების სრული კონცენტრაცია და საქმისადმი სერიოზული მიდგომა გვმართებს", - განაცხადა წილისყრის შემდეგ ჩეპლერმა.

აქვე გეტყვით, რომ ჩეხეთის ჩემპიონატი 15 აგვისტოს დაიწყება. "სლავია" ამხანაგურ მატჩებს მართავს. უკანასკნელად ავსტრიის "პაშინგს" შეხვდა და ფრედ, 1:1 ითამაშა.

თბილისის "დინამო" და "თბილისი" მეორე საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ შეხვედრას სტუმრად, 12 აგვისტოს გამართავენ. განმეორებითი მატჩები 26 აგვისტოს შედგება.

**ჩემპიონთა ლიგა. მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| გრაცერი (ავსტრია) | - | ლივერპული (ინგლისი) |
| იუვენტუსი (იტალია) | - | იურგორდენი/ჟალგირისი |
| ტირანა/ფერენცვაროში | - | აპოელი/სპარტა |
| რუსენბორგი/შერიფი | - | მაკაბი ჰ. (ისრაელი) |
| ლევერკუზენი (გერმანია) | - | ბანიკი (ჩეხეთი) |
| ნეფთჩი/ცსკა | - | რეინჯერსი (შოტლანდია) |
| პიუნიკი/შახტარი | - | ბრიუგე/ლოკომოტივი |
| დინამო (უკრაინა) | - | სკონტო/ტრაბზონი |
| იანგ ბოიზი/ცრვენა ზვეზდა | - | პსვ (ჰოლანდია) |
| ჟილინა/ბუქარესტი | - | მანჩესტერ იუნაიტედი (ინგლისი) |
| ბაზელი (შვეიცარია) | - | ინტერი (იტალია) |
| ბენფიკა (პორტუგალია) | - | ანდერლეხტი (ბელგია) |
| დეპორტივო (ესპანეთი) | - | ჰაიდუკი/შელბურნი |
| პაოკი (საბერძნეთი) | - | ჰიკი/მაკაბი თ. |
| გორიცა/კოპენჰაგენი | - | მონაკო (საფრანგეთი) |
| ვიტ ჯორჯია/ვისლა | - | რეალი (ესპანეთი) |

**უეფას თასი. მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | | |
|---|---|---|
| სლავია (ჩეხეთი) | - | დინამო (საქართველო) |
| ლეგია (პოლონეთი) | - | თბილისი (საქართველო) |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) | - | ელფსბორგი (შვედეთი) |
| ბევერენი (ბელგია) | - | ვადუცი (ლიხტენშტაინი) |
| ოდ გრენლანდი (ნორვეგია) | - | ეკრანასი (ლიტვა) |
| ვენტსპილსი (ლატვია) | - | ბრონდბიუ (დანია) |
| აკრანესი (ისლანდია) | - | ჰამარბი (შვედეთი) |
| სტაბეკი (ნორვეგია) | - | ჰაკა (ფინეთი) |
| ბოდო გლიმტი (ნორვეგია) | - | ლევადია (ესტონეთი) |
| ჰაფნარფიორდური (ისლანდია) | - | დანფერმლაინი (შოტლანდია) |
| ჟალგირისი (ლიტვა) | - | ოლბორგი (დანია) |
| ესტერსი (შვედეთი) | - | მეტალურგსი (ლატვია) |
| ტერეკი (რუსეთი) | - | ლეხი (პოლონეთი) |
| რუბინი (რუსეთი) | - | რაპიდი (ავსტრია) |
| ილიჩევეცი (უკრაინა) | - | აუსტრია (ავსტრია) |
| დუკლა (სლოვაკეთი) | - | ვილი (შვეიცარია) |
| ნისტრუ (მოლდოვა) | - | სიგმა (ჩეხეთი) |
| პეტრჟალკა (სლოვაკეთი) | - | დნიპრო (უკრაინა) |
| პაშინგი (ავსტრია) | - | ზენიტი (რუსეთი) |
| სერვეტი (შვეიცარია) | - | უიპეშტი (უნგრეთი) |
| მეტალურგი (უკრაინა) | - | ტირასპოლი (მოლდოვა) |
| ამიცა (პოლონეთი) | - | ჰონვედი (უნგრეთი) |
| გენჩლერი (თურქეთი) | - | რიეკა (ხორვატია) |
| ლევსკი (ბულგარეთი) | - | მოდრიცა (ბოსნია) |
| ჰაპოელი ბ-ს (ისრაელი) | - | პარტიზანი (ალბანეთი) |
| ჟელეზნიკი (სერბეთი) | - | სტიაუა (რუმინეთი) |
| ბუდუჩნოსტი (სერბეთი) | - | მარიბორი (სლოვენია) |
| ჟელეზნიჩარი (ბოსნია) | - | ლიტექსი (ბულგარეთი) |
| დინამო ზ. (ხორვატია) | - | პრიმორიე (სლოვენია) |
| ომონია (კვიპროსი) | - | ცსკა (ბულგარეთი) |
| პარტიზანი (სერბეთი) | - | ოცელული (რუმინეთი) |
| აეკი (კვიპროსი) | - | მაკაბი ფ-თ (ისრაელი) |

# „მწვრთნელი ნაპოვნია, ახლა თანაშემწეს ვეძებთ"

## კლინსმანმა და ოსიეკმა ერთმანეთს ვერ გაუგეს

აკა ტონია

გერმანიის ნაკრები უმწვრთნელოდ აღარ არის, თუმცა სამწვრთნელო შტაბი ჯერაც შეუვსებელია. სულ რაღაც ორი კვირის წინათ გადაწყდა, რომ ბუნდესნაკრებს იურგენ კლინსმანი ჩაუდგებოდა სათავეში. გერმანელებმა თავიანთი ნაკრებისთვის ახალი პოსტიც გამოიგონეს. გერმანიის ეროვნულ გუნდს ამიერიდან მენეჯერიც ეყოლება და ეს მენეჯერი ოლივერ ბირჰოფი იქნება.

მიუხედავად იმისა, რომ კლინსმანი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობს გერმანიის საფეხბურთო წრეებში, იქაურ ფეხბურთის ფედერაციაში მაინც კარგად აქვთ გააზრებული, რომ სამწვრთნელო საქმეში კლინსმანი სრულიად გამოუცდელია. მწვრთნელის დიპლომი მან სულ ოთხიოდე წლის წინათ აიღო, თუმცა, ამ ხნის განმავლობაში მწვრთნელად საერთოდ არ უმუშავია.

კლინსმანის გამოუცდელობის გამო გერმანიის ფეხბურთის ფედერაციამ გადაწყვიტა, მისთვის გამოცდილი თანაშემწე მოეძებნათ და ამ პოსტის დასაკავებლად ჰოლგერ ოსიეკი შეარჩია. ოსიეკი თვით ფრანც ბეკენბაუერის ასისტენტი იყო 80-იანი წლების მიწურულს, როდესაც კაიზერ ფრანცი გერმანიის ნაკრებს წვრთნიდა.

ასე შედგა ტრიო, რომელსაც გერმანიის ნაკრებისთვის უნდა ეხელმძღვანელა. უფრო სწორად, არ შედგა...

გასულ სამშაბათს იურგენ კლინსმანი და ჰოლგერ ოსიეკი შეხვდნენ. მხარეებმა საკუთარი მოსაზრებები გააცნეს ერთმანეთს და მალე მიხვდნენ, რომ მათ თანამშრომლობას მომავალი არ ჰქონდა. გამოცდილი ოსიეკისთვის გამოუცდელი კლინსმანი ზედმეტად ამბიციური აღმოჩნდა.

შედეგად, ოსიეკმა კლინსმანთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა, გერმანიის ფეხბურთის ფედერაცია კი კვლავ თანაშემწეს ეძებს. ამ თანამდებობაზე ახლა სამ კანდიდატურას განიხილავენ: ვენის "ავსტრიის" ყოფილ მწვრთნელს იოახიმ ლოვს, ამჟამად ისლანდიის ნაკრების თავკაცს ასგერ სიგურვისნოის და "ჰანოვერის" აწ უკვე ყოფილ დამრიგებელს რალფ რანგნიკს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რალფ რანგნიკმა უკვე დააფიქსირა თავისი პოზიცია და თქვა, რომ მეორე მწვრთნელობა მისი საქმე არ არის: "მე არასოდეს ვყოფილვარ მეორე მწვრთნელი და არც ახლა ვაპირებ". სიგურვისნოის თქმით კი, ამ საკითხთან დაკავშირებით მას ჯერ არავინ დაკავშირებია.

და, ალბათ, აღარც დაუკავშირდება, რადგან თავად იურგენ კლინსმანის ფავორიტი იოახიმ ლოვია. მწვრთნელი, რომელიც 90-იანი წლების მიწურულს "შტუტგარტს" წვრთნიდა, კლინსმანის დიდი მეგობარია და მის თანაშემწეობაზე, წესით და რიგით, უნდა დათანხმდეს.



ოსიეკმა კლინსმანს ვერ გაუგო.

უკანასკნელი ინფორმაციით, კლინსმანსა და ლოვს შორის გასულ ოთხშაბათს იტალიის ქალაქ კომოში უკვე გაიმართა შეხვედრა. მოლაპარაკების დეტალები უცნობია, მაგრამ, სავარაუდოდ, ლოვი თანახმაა. რატომაც არა? - ლოვი ხომ უმუშევარია...

**- რატომ განაცხადეთ უარი იურგენ კლინსმანის თანაშემწის პოსტის დაკავებაზე?**

- ერთმანეთთან შეხვედრისა და გასაუბრების საშუალება მე და კლინსმანს სამშაბათს მოგვეცა. საუბრისას იმ დასკვნამდე მივედით, რომ ჩვენს თანამშრომლობას აზრი არა აქვს.

**- რა გახდა ამის მიზეზი?**

- საუბრის დეტალებზე არ ვისაუბრებ, ამაზე შევთანხმდით. მაგრამ გეტყვით, რომ ჩვენი თანამშრომლობის შესაძლებლობა ორივემ გამოვრიცხეთ.

**- თქვენს უკანასკნელ ინტერვიუში აშკარად იგრძნობოდა, რომ ახალ სამსახურს დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდით, ახლა კი მოულოდნელად უარს აცხადებთ. ფეხბურთის ფედერაციასთან და კლინსმანთან მანამდე არაფერზე შეთანხმებულხართ?**

- მე და იურგენ კლინსმანმა ტელეფონით ვისაუბრეთ, თუმცა, ამ საუბრისას მხოლოდ ჩვენს მომავალ შეხვედრას შევეხეთ. ამის გარდა, არავისთან არაფერზე მისაუბრია.

**- კლინსმანთან შეხვედრისას ფინანსურ საკითხებზე არ ილაპარაკებდით. აზრთა სხვადასხვაობა, ალბათ, მოვალეობების განაწილებასთან დაკავშირებით წარმოიშვა.**

- მართალია, ფული არ ყოფილა ჩვენი საუბრის თემა. საქმე პასუხისმგებლობისა და სამუშაოს განაწილებას ეხებოდა.

**- წინა ინტერვიუში განაცხადეთ, რომ თავს მწვრთნელის ამპლუაში ხედავდით.**

- დიახ, მე მწვრთნელი ვარ და არა ადმინისტრატორი.

**- ხოლო კლინსმანი საკუთარ თავს ხედავს მწვრთნელის როლში.**

- მეც ასე ვფიქრობ.

**- გული გწყდებათ, რომ ეს ამბავი ჩაიშალა?**

- მე პროფესიონალი ვარ და საკითხს ემოციურად არ ვუდგები. რეალისტიც ვარ. თუ საქმე არ გამოდის, მას თავი უნდა დაანებო. საკითხს პრაგმატულად ვუყურებ.

**- მაგრამ არ გხიბლავდათ მსოფლიო ჩემპიონატი საკუთარ ქვეყანაში?**

- ცხადია. მე უდიდეს პატივად მივიჩნევ, რომ ასეთი მნიშვნელოვანი ამოცანის წინაშე დადგომის შანსი მქონდა. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატი უდიდესი გამოწვევა იქნებოდა ჩემთვის.

**- და, ყველაფრის მიუხედავად, უარს ამბობთ?**

- დიახ, რადგან პირობები არ იყო დამაკმაყოფილებელი.

**- რას გულისხმობთ?**

- მოდი, ყველაფერი ისე დავტოვოთ, როგორც არის! საკუთარი თავი არ მიმაჩნია იმდენად მნიშვნელოვნად, რომ ამ თემაზე ამდენი ვილაპარაკოთ. ეროვნულ ნაკრებს ყოველივე საუკეთესოს ვუსურვებ 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე.

**- არის იმის ალბათობა, რომ ეს გადაწყვეტილება შეცვალოთ?**

- არა, გადაწყვეტილება საბოლოოა. ჩვენ უკვე შევთანხმდით, რომ თანამშრომლობა არ შედგება და ამას ვეღარაფერი შეცვლის.

# კეჟმანმა გაიტანა და იჩხუბა



"ჩელსიში" გადასვლის დღიდან მატეა კეჟმანმა სამ თამაშში ოთხი გოლი გაიტანა.

ამერიკაში მიმდინარეობს Champions World Series-ის ტურნირი ფეხბურთში. ტურნირზე მეორე მატჩი გამართა განახლებულმა ლონდონის "ჩელსიმ" და იტალიის "რომა გაანადგურა - 3:0. აღსანიშნავია, რომ ორი გოლი რომან აბრამოვიჩის ახალწვეულებმა მატეა კეჟმანმა და დიდიე დროგბამ გაიტანეს. თუმცა, ეს შთაბეჭდილება ერთგვარად წაახდინა ჩხუბმა, რომელიც სერბ მატეა კეჟმანსა და "რომას" ფრანგ ლეგიონერ ოლივიე დაკურს შორის მოხდა. BBC-ის ცნობით, ამის გამო მსაჯმა ორივე ფეხბურთელი მინდვრიდან გააძევა.

ლონდონელებმა მატჩი აქტიურად დაიწყეს. მე-11 წუთზე ინგლისის ნაკრების ნახევარმცველმა ჯო კოულმა ანგარიში გახსნა - 1:0. პირველ ტაიმში, ორივე გუნდის მხრიდან დიდი მცდელობის მიუხედავად, ანგარიში არ შეცვლილა. შესვენებაზე "ჩელსის" პორტუგალიელმა მწვრთნელმა ჟოზე მოურინიომ ერთბაშად ექვსი ფეხბურთელი შეცვალა. მინდორზე პირველად გამოჩნდა "ჩელსის" ყველაზე ძვირად ღირებული შენაძენი და ინგლისის პრემიერლიგის ყველაზე ძვირფასი ფორვარდი დიდიე დროგბა. ის მარსელის "ოლიმპიკიდან" 45 მილიონ დოლარად გადმოიყვანეს. კლოდ მაკელელე კი მოედნის ცენტრში ალექსეი სმერტინმა შეცვალა.

დროგბას შეეძლო ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა. სამაგიეროდ ზუსტი იყო სერბი მატეა კეჟმანი, რომელმაც ლონდონში გადასვლის დღიდან სამ მატჩში მეოთხე გოლი გაიტანა. ჰოლანდიელი არიენ რობენი მარცხენა ფრთაზე გაიჭრა და კეჟმანს ზუსტად გადააწოდა ბურთი. სერბმა ფორვარდმა ხუთი მეტრიდან კარს არ ააცდინა - 2:0.

თუმცა, კეჟმანის სიხარული დიდხანს არ გაგრძელებულა. რამდენიმე წუთში ის მსაჯმა მინდვრიდან გააძევა. ოლივიე დაკური უხეშად ეთამაშა არიენ რობენს. კეჟმანი ძველ მეგობარს (ისინი "პსვ ეინდჰოვენშიც" ერთად თამაშობდნენ) გამოესარჩლა და დაკურთან ძიძგილაობა დაიწყო. შედეგად, მსაჯმა ორივე ფეხბურთელი მინდვრიდან მიაბრძანა. თუ პრემიერლიგის ხელმძღვანელობა კეჟმანის მიერ მიღებულ წითელ ბარათს ძალაში დატოვებს, მაშინ სერბ ფორვარდს ინგლისის ჩემპიონატის სასტარტო მატჩის გამოტოვება მოუწევს.

ჩხუბის დასრულებისთანავე "ჩელსიმ" მესამე გოლი გაუტანა "რომას". ახლო მანძილიდან ზუსტი დარტყმით დიდიე დროგბამ გამოიჩინა თავი და ამით "ჩელსიში" გოლების საკუთარი ანგარიში გახსნა.

Champions World Series-ის ტურნირის ფარგლებში, სადაც რამდენიმე ევროპულმა კლუბმა მოიყარა თავი, ლონდონის "ჩელსის" ერთი მატჩი დარჩა ჩასატარებელი. 2 აგვისტოს ლონდონელები კახა კალაძის "მილანს" გაეჯიბრებიან. შეგახსენებთ, რომ 24 ივლისს "ჩელსიმ" ტურნირის პირველ შეხვედრაში შოტლანდიის "სელტიკი" - 4:2 დაამარცხა. ინგლისური პრემიერლიგის ახალ სეზონში კი "ლურჯები" პირველ მატჩს 15 აგვისტოს, "მანჩესტერ იუნაიტედის" წინააღმდეგ ჩაატარებენ. მატჩი ლონდონში გაიმართება.

კალათბურთი

# 21 რჩეული

პაატა თოთაძე



გოგიტა ბუხაიძის ფოტო

დარაყენ ბრაიკოვიჩმა გაფართოებული შემადგენლობა დაასახელა.

სექტემბრიდან საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირზე ითამაშებს, გუშინ კი საქართველოს კალათბურთის ფედერაციამ საერთაშორისო ფედერაციაში გაგზავნა იმ მოთამაშეთა სია, ვისაც მომავალ თამაშებზე ნაკრების მაისურის მორგება მოუწევს. სია 21-კაციანია. შეგვეძლო, განაცხადში 24 კალათბურთელიც გვყოლოდა, მაგრამ მწვრთნელმა სამი ადგილი ცარიელი დატოვა. ვინ იცის, მომავალში რა მოხდება, ამიტომ უმჯობესია, ის სამი საკვალიფიკაციო თამაშების დროს დავიმატოთ.

გასულ წლებში უსუსური თამაშის გამო ჩვენს კალათბურთელებს B ჯგუფში უწევთ ასპარეზობა. ამდენად, ნაკრების ამოცანა ამ ეტაპზე უმაღლეს, A ჯგუფში ანაცვლება. საქართველოს ნაკრებს ეს ნამდვილად შეუძლია. ეს ცოტა ხნის წინათ იტალიურ პორტო სან ჯორჯოში დასრულებულმა საერთაშორისო ტურნირმაც ცხადყო. ქართველებმა სამიდან ორი მატჩი მოიგეს და მეორე ადგილი დაიკავეს. დამარცხებულები კი რუსეთი და შვედეთი იყვნენ, ანუ ის გუნდები, რომლებიც კლასით საქართველოს ნაკრების მომავალ მეტოქეებს აღემატებიან. ქართველთა მაღალ შანსებზე რუსებიც ლაპარაკობენ. რუსთა მწვრთნელის სერგეი ბაბკოვის განცხადებით, საქართველოს ნაკრებმა ტურნირზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენს გუნდს რამდენიმე წამყვანი მოთამაშის გარეშე უწევდა ასპარეზობა.

შეკრებას ჩვენი გუნდი 1 სექტემბრიდან დაიწყებს. ამ დროისთვის თბილისში ნაკრების ყველა ჯანმრთელი კალათბურთელი ჩამოვა და ათი დღის განმავლობაში ბრაიკოვიჩის თავკაცობით მოემზადებიან მომავალი ბრძოლებისთვის. პირველი მატჩი საქართველოს ნაკრებს 15 სექტემბერს უწევს ფინეთის ეროვნულ გუნდთან, შემდეგ კი ორი გასვლითი მატჩი ელის - 15 სექტემბერს უმთავრეს მეტოქესთან მაკედონიასთან, სამი დღის შემდეგ კი - ლუქსემბურგთან. ჩვენი გუნდის 21-კაციანი სია კი ასეთია:

ლაშა ბაბიაშვილი, ირაკლი ბერიშვილი, დავით ბერძენიშვილი, ანატოლი ბოისა, ვლადიმერ ბოისა, გიორგი გამყრელიძე, ლაშა კეშელავა, ვალერიან კილაძე, მანუჩარ მარკოიშვილი, გიორგი მდივანი, ვახტანგ ნაცვლიშვილი, გიორგი ნიკოლაძე, ვიქტორ სანიკიძე, ვლადიმერ სტეფანია, კოტე ტუღუში, დავით უგრეხელიძე, შემონდ უილიამსი, ზაზა ფაჩულია, გიორგი ცინცაძე, ნიკა ცქიტიშვილი, შალვა ხეცურიანი.

ათენი 2004

# ახლა, ყველა გზა ათენისკენ მიდის

გიგა გურასაშვილი

*13 აგვისტოდან მსოფლიოს სპორტული სამყარო ათენის ოლიმპიურ თამაშებით იცხოვრებს. ორ კვირაში ქართველ ოლიმპიელებს, ისევე როგორც მსოფლიო ოლიმპიურ ოჯახს ათენელები შეუღებენ კარს. მერე კი... მერე ორთაბრძოლებიც გაჩაღდება და რჩეულთა შორის რჩეულნი გამარჯვებულის კვარცხლბეკზე შედგებიან. იმედია, მათ შორის ქართველებსაც ვიხილავთ.*

ფაქტია, მოლოდინი დიდია. დამოუკიდებელი საქართველო პირველ ოლიმპიურ ჩემპიონს ელის. ელის ატლანტის ოლიმპიური თამაშებიდან მოყოლებული დღემდე, რადგან ატლანტის ოლიმპიურ თამაშებზეც და შემდგომ სიდნეიშიც საქართველოს ოლიმპიური ყულაბა მხოლოდ ბრინჯაოს მედლებით ივსებოდა. ბშირად უთქვამთ კიდეც, დროა, ბრინჯაოს ხანას თავი დავაღწიოთო. თუმცაღა ისიც ფაქტია, რომ ამის გაკეთება იოლი არ იქნება, მაგრამ იმედი? განა მარტო, იმედი ამის პოტენციალიც არსებობს. ერთი ოქროს მედლის მოპოვებაც კი უკვე წარმატებულს გახდის ჩვენთვის ათენის ოლიმპიურ თამაშებს. გარდა ამისა, ახლა როგორც არასდროს ოლიმპიელებს ისეთი სტიმული აქვთ, რომ ბარე ჩვენზე დალხენილ ქვეყნებსაც კი შეშურდეთ. გარდა იმისა, რომ სახელმწიფოს მხრიდან პირველი, მეორე, მესამე ადგილებისთვის, შესაბამისად, 50-30-20 ათასი დოლარია დაწესებული პრემიალურებად, ბადრი პატარკაციშვილმა თავდაპირველად დაწესებული საჩემპიონო პრემიალური 200 ათასიდან 400 ათას ლარამდე გაზარდა! ასე რომ... ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი!

იმ 33 ოლიმპიელთა შორის, რა თქმა უნდა, ამჯერადაც იმ ტრადიციული სახეობების გვეიმედება, რომლებიც ასევე ტრადიციულად წარმატებებს აღწევდნენ ოლიმპიურ თუ არაოლიმპიურ სარბიელზე. მიხვდებოდით, საჭიდაო სახეობებს ვგულისხმობთ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვების არ გვეიმედება. იმ სხვებში ტყვიის მსროლელ ნინო სალუქვაძესა და ძალოსან გიორგი ასანიძეს ვგულისხმობთ.

ახლა, როდესაც საათენოდ მანძილი დღითი დღე კლებულობს, უინტერესო არ უნდა იყოს ის, თუ რა ვითარებაა ამჟამად ქართულ ოლიმპიურ ოჯახში. ვითარებაში უკეთ გასარკვევად კი საქართველოს ეროვნული ოლიმპიურ კომიტეტის (სეოკ-ი) გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილს მივმართეთ და რამდენიმე კითხვაც დავუსვით.

**- ფინიშის სწორზე გავედით. მიუხედავად ამისა, თუ არის საკითხები, რომლებიც დღესაც გადაუჭრელია, მოუგვარებელია. საერთოდ, როგორი ვითარებაა ამჟამად?**

- პრინციპში ახლა ყველაფერი გარკვეულია. ვიცით როდის, როგორ და სად მივდივართ; ვინ მიდის. მთავარი დატვირთვა კი 3 აგვისტოზე მოდის, როდესაც ქართველი ოლიმპიელები სეოკ-ის ოლიმპიურ მუზეუმში, ანაც ფასადთან ოლიმპიურ ფიცს დადებენ. ფიცის დადებიდან ცოტა ხანში ოლიმპიური გუნდი შეხვედება საქართველოს კათალიკოს პატრიარქ ილია მეორეს, საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილს. აქვე აღვნიშნავ, რომ 3 აგვისტოს საქართველოს ოლიმპიური ნაკრები სრულად არ შეიკრიბება. საქმე ისაა, რომ ოლიმპიელთა ერთი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნებში არიან შეკრებებზე მიმოფანტული. ზოგიერთებს საერთოდაც არ შევეხეთ. მაგალითად ძალოსნები გიორგი ასანიძე და არსენ კასაბიევი ამჟამად პოლონეთში გადიან შეკრებას, ისევე როგორც ნინო სალუქვაძე გერმანიაში, მძლეოსნები იულია დუბინა და დავით ილარიანი უკრაინაში, ტანმოვარჯიშე ილია გიორგაძე მოსკოვში...

ხოლო ისინი ვინც აქაა, ფაქტობრივად, ნაკრების 80 პროცენტი 3 აგვისტოს ოლიმპიურ კომიტეტში შეიკრიბება. მერე კი თავიანთ ადგილებს დაუბრუნდებიან. მოგეხსენებათ, ერთნი ურეკში გადიან შეკრებას, მეორენი ბორჯომში...

**- ალბათ, როგორც ყოველთვის, ოლიმპიური გუნდი დანიშნულების ადგილამდე რამდენიმე ნაკადად გაემგზავრება. პირველი ნაკადი როდის მიდის?**

- თავდაპირველად, 5 აგვისტოს ათენში დელეგაციის ხელმძღვანელები გაემგზავრებიან. მერე და მერე მათ ოლიმპიელებიც მიყვებიან. საერთოდ ხუთ ნაკადადაა გადანაწილებული ნაკრები. იმისდა მიხედვით თუ რომელ სახეობას როდის უწევს ასპარეზობებში ჩართვა. ეს იმად კეთდება, რომ სპორტსმენები ზედმეტი ემოციებისგან დავიცვათ. არ გვინდა, რომ ერთი კვირით ადრე ჩავიყვანოთ სპორტსმენი და შედეგად ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ ვამყოფოთ.

**- საქართველოს პრეზიდენტი თუ დაესწრება თამაშებს. ეს საკითხი თუ არის გადაწყვეტილი?**

- საქართველოს პრეზიდენტისთვის მზადაა განსაკუთრებული სტუმრის აკრედიტაცია, რომლის მიხედვითაც მას ნებისმიერ, მისთვის ხელსაყრელ დროს შეეძლება დაესწროს ოლიმპიურ თამაშებს. თუმცაღა ერთი რამ აქედანვეა გარკვეული - გადატვირთული გრაფიკის გამო მიხეილ სააკაშვილი გახსნის საზეიმო ცერემონიალისთვის ათენში არ იქნება. როგორ იქნება მერე, ვერ გეტყვით. ერთი რამ კი ცხადია, ქართველი ოლიმპიელებისთვის პრეზიდენტის ათენში გამოჩენა ძალზე დიდი სტიმული იქნება.

ჩოგბურთი

# ჰოდა, მეც ვწერ...

სანდრო ნავერიანი



ამერიკელ ენდი როდიკს მასტერსზე ყველაზე სუსტი მეტოქე შეხვდა.

კანადაში მასტერსი გრძელდება. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ სენსაციებიც მოხდა. თან, ერთი კი არა, ოთხი.

ერთ-ერთის ავტორი ავსტრალიელი ლეიტონ ჰიუიტია. დიდი ამბით კი შეიყვანეს ფავორიტთა სიაში.

თუმცა, ჰიუიტს რას ვერჩი? ტურნირიდან გავარდნილი ჩოგბურთელებიდან მარტო ავსტრალიელი ხომ არ ყოფილა ფავორიტთა სიაში? მწვანე კონტინენტის მკვიდრს ესპანელი კარლოს მოია, ამერიკელი ანდრე აგასი და არგენტინელი დავიდ ნალბანდიანიც მიჰყვნენ. თუმცა, ნალბანდიანი უფრო ადრე გამოეთიშა ტურნირს, ვიდრე დანარჩენი სამი.

ვერ გამიგია, ვინ რას თამაშობს.

იქით ჩოგბურთია და, ისეთი რალაცები ხდება, ვერ გაიგებ, ვინ ფავორიტია, ვინ - აუტსაიდერი. აქეთ ფეხბურთია და, საქართველოს ჩემპიონი "ვიტ-ჯორჯია" ისეთი ანგარიშით მარცხდება პოლონელ პარიკმახერებთან ("პარიკმახერებს" თავისი საქმის უცოდინრებს ვეძახი). ვფიქრობ, მოედანზე ძროხები რომ გაეშვა, უკეთესი იქნებოდა, იბალახებდნენ მაინც.

მოკლედ, ასეა, ვერ გამიგია, რა ხდება ამ ქვეყანაზე.

არც შევეცდები არაფრის გაგებას. უბრალოდ, დავჯდები და დინებას გავყვები. რაც იქნება, იქნება.

წააგებს აგასი? ჰოდა, მეც დავწერ, რომ აგასიმ წააგო.

წააგებს მოია? ჰოდა, მეც დავწერ, რომ მოიამ წააგო.

მოიგებს როდიკი? ჰოდა, მეც დავწერ, რომ როდიკმა მოიგო.

წააგებს "ვიტ-ჯორჯია" ასით ნულს? ჰოდა, მეც არაფერს დავწერ. რა, რამე უნდა დავწერო თუ რა?

ნერვები ამეშალა.

დავწყნარდი.

ვაგრძელებ.

ისე რა დროს ფეხბურთი იყო, როდესაც ჩოგბურთზე ვწერ.

ჩემდა და, ალბათ, თქვენდა სამწუხაროდაც, ტორონტოს დრო თბილისის დროისგან დიდად განსხვავდება. ამიტომ ყველაფერი ერთი დღის დაგვიანებით იწერება თქვენს საყვარელ გაზეთში.

გუშინ მეორე წრის შეხვედრებზე გიყვებოდით, დღეს კი უკვე მეოთხედფინალური მატჩების ყველა მონაწილე გარკვეულია.

პირველი მეოთხედფინალის მონაწილეები შვეიცარიელი როჟე ფედერერი და ფრანგი ფაბრის სანტორო არიან. შევეჩვიე, რომ ჩემი პროგნოზები არასოდეს მართლდება. ამიტომ შედეგის გამოცნობისგან თავს შევიკავებ. ფედერერზე ახალს ვერაფერს გეტყვით, ჩოგბურთის ყველა გულშემატკივარმა კარგად იცის, თუ რა ძალას წარმოადგენს შვეიცარიელი. რაც შეეხება ფრანგს, ის საკმაოდ კარგ ფორმაშია და, რაც მთავარია, საჭიროზე მეტად მოტივირებული. ბოლოს და ბოლოს, სანტორომ ხომ ხუან კარლოს ფერერო, ივან ლუბიჩიჩი და ლეიტონ ჰიუიტი გამოთიშა ტურნირს. ვფიქრობ, ეს საკმარისია იმისთვის, რომ ფედერერთან მისი გამარჯვების შანსი ნულს არ გავუტოლოთ.

მეორე მეოთხედფინალში იოჰანსონები დაუპირისპირდებიან ერთმანეთს. ისინი არც ძმები არიან, არც ბიძაშვილები და, მით უმეტეს, არც დები. უბრალოდ, მოგვარეები არიან. იოაჰიმ და ტომას იოჰანსონები შვედეთიდან არიან. აქვე გეტყვით, რომ ტორონტოს მასტერსზე უკვე მეორედ ხდება წმინდა შვედური დაპირისპირება. პირველი პირველ წრეში იყო, როდესაც რობინ სოდერლინგი და ტომას ენკვისტი შეხვდნენ ერთმანეთს. ვფიქრობ, ეს მატჩი საინტერესო უნდა გამოდგეს.

მესამე მეოთხედფინალური წყვილი: ავსტრიელი იურგენ მელცერი და გერმანელი ნიკოლას კიფერი. ამ მატჩზე კი დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ გამარჯვების შანსები ორმოცდაათი ორმოცდაათზეა. კიფერი მელცერზე გამოცდილი ჩოგბურთელია, თუმცა, დიდი ხანია, არ უჩვენებია ისეთი ჩოგბურთი, რომელიც საბაბს მოგვცემდა, გვეთქვა, დიდ ჩოგბურთს თამაშობსო. მელცერი კიფერზე ოთხი წლით ახალგაზრდაა. ავსტრიელმა ტურნირიდან გამოთიშა სლოვაკი დომინიკ ჰრბატი, ანდრე აგასი და ჩილელი ფერნანდო განსალესი (შესაბამისად პირველ, მეორე და მესამე წრეში). ასე რომ, არ შეიძლება, რომელიმე ჩოგბურთელს რაიმე უპირატესობა მივანიჭოთ. მელცერს თავის კარიერაში არც ერთი ტურნირი არ მოუგია, კიფერმა ექვს ტურნირში გაიმარჯვა, წლეულს კი ოთხი ტურნირის ფინალში გავიდა.

მეოთხე მეოთხედფინალურ მატჩში ჩემი ჯილა - ენდი როდიკი თამაშობს. მისი მეტოქეა ჩეხი იან ჰერნიჩი, რომელმაც პირველ წრეში ირაკლი ლაბაძე დაამარცხა. მარტო ამიტომ მინდა, რომ როდიკმა ჰერნიჩი დაამარცხოს.

TV-სპორტი

**შაბათი. 31 ივლისი**

**НТВ+ФУТБОЛ**

06:00 NBA TV - დღიური
06:30 NBA TV - საზაფხულო ლიგა. "DENVER NUGGETS" - "PORTLAND TRAIL BLAZERS"
08:30 NBA TV - ყველაფერი NBA-ს შესახებ
09:00 09:00-დან 12:00-მდე შესვენება
12:00 თავისუფალი დარტყმა
12:15 განვლილი სეზონის გახსენება. იტალიის ჩემპიონატი. "სიენა" - "მილანი"
14:00 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "არსენალი" - "მანჩესტერ იუნაიტედი"
15:45 თავისუფალი დარტყმა
16:00 განვლილი სეზონის გახსენება. ესპანეთის ჩემპიონატი. "სევილია" - "ვილიარეალი"
17:45 ბრაზილიის ჩემპიონატი. მატჩების მიმოხილვა
18:15 განვლილი სეზონის გახსენება. ინგლისის ჩემპიონატი. "ნიუკასლი" - "ევერტონი"
20:00 თავისუფალი დარტყმა
20:15 სახვალიო ტელეპროგრამა
20:25 უკრაინის ჩემპიონატი. "შახტიორი" - "მეტალურგი". პირდაპირი ტრანსლაცია
22:20 ჩემპიონთა ლიგის არქივი. სეზონი 2000/2001. მეოთხედფინალი. "რეალი" - "გალათასარაი"
00:05 განვლილი სეზონის გახსენება. გერმანიის ჩემპიონატი. "ბაიერი" - "ბორუსია"
01:50 01:50-დან 03:00-მდე შესვენება
03:00 NBA TV. საწვრთნელი ბანაკი: "DENVER NUGGETS". პირველი ნაწილი
03:30 NBA TV - დღიური
04:00 NBA TV. WNBA ჩეპიონატი. "SAN ANTONIO SILVER STARS" - "LOS ANGELES SPARKS". პირდაპირი ტრანსლაცია

**НТВ+СПОРТ**

09:00 "ფორმულის ჰარმონია"
10:00, 13:00, 18:45, 21:30 პრესცენტრი
10:15, 21:45 "ოლიმპის შვილები"
10:20 ჩოგბურთი. "Masters Series" ტორონტოში. მეოთხედფინალები
13:15 პროფესიული კრივი. მაიკ ტაისონი - დენი უილიამსი. პირდაპირი ტრანსლაცია
15:15 "ოლიმპიური ისტორია". რომი, 1960 წელი. შესვენებისას (16:00) - პრესცენტრი
17:45 ცურვა. აშშ-ის ოლიმპიური ნაკრების შესარჩევი ასპარეზობა. ნაწილი პირველი
19:00 "საუკუნის ათლეტები". "უცხოშინაურებში". რ. პლიუკფელდერი
19:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. ნახევარფინალური მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
21:50 სახვალიო ტელეპროგრამა
21:55 "სპორტის აკვატორია"
22:25 ჭადრაკი. სუპერტურნირი დორტმუნდში
22:55 ფრენბურთი. ქალები. მსოფლიო სერიათა გრან-პრი იტალიაში. ფინალური ტურნირი. ნახევარფინალური მატჩი. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 ახალი ამბები
00:45 "ცხელი ქვიშა"
01:40 01:40-დან 05:00-მდე შესვენება
05:00 პროფესიული კრივი. ბრძოლა მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ერიკ მორალესი და კარლოს ერნანდესი. პირდაპირი ტრანსლაცია

**EUROSPORT**

10:30 ექსტრემალური სპორტი. ახალგაზრდული ზონა
11:00 "სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში". ტელეჟურნალი
12:00 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ავსტრიაში. ქალები. ნახევარფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
13:00 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ბელგიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
14:15 მულტისპორტი
14:30 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ბელგიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
16:30 პლაჟის ფრენბურთი. მსოფლიო ტური ავსტრიაში. ქალები. ფინალი. პირდაპირი ტრანსლაცია
17:30 მულტისპორტი
17:45 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ბელგიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
19:30 ტრამპლინიდან ხტომა - გრან-პრი FIS გერმანიაში
21:00 ოლიმპიური თამაშები. მიზანი - ათენი
21:30 სუპერრბოლები გამოსასვლელ დღეებში. ბელგიის ჩემპიონატი. პირდაპირი ტრანსლაცია
23:00 ჩოგბურთი. WTA ტურნირი აშშ-ში. ნახევარფინალები. პირდაპირი ტრანსლაცია
00:30 კრივი. საერთაშორისო ასპარეზობა აშშ-ში
01:30 ახალი ამბები
01:45 მხედრული ორთაბრძოლები. მებრძოლთა კლუბი
03:45 ახალი ამბები



ქეთევან იგნატოვა წარმოგიდგენთ

# გულახდილად

## "ტატო"



დიანკო კარრალერო-ესპინოსა. "მათქმევინე"





კულტურის განვითარების საერთაშორისო ფონდ "ტატოს" დაარსება ჩემთვის, როგორც ტატო კოტეტიშვილის, ჩვენი თაობის ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი, არაორდინარული და კოლორიტული წარმომადგენლის ბავშვობის მეგობრისთვის, ძალიან სასიამოვნო, მოულოდნელი და გულისამაჩუყებელი იყო. ტატო კოტეტიშვილმა თავისი ხანმოკლე ცხოვრება მხოლოდ ნიჭში, ჭეშმარიტ ბოჰემურობაში, შემოქმედებით ძიებაში და თავისუფლებაში გაატარა, ანუ ყველაფერ იმაში, რაც ხელოვნებისთვის ასეთი აუცილებელი თანმყოლი პირობებია. ტატო ყველაფერში ნოვატორი, მეამბოხე, ყოველგვარი ნორმებისა და დოგმების დამანგრეველი, ჩვენს თაობაში ეპატაჟის შემომტანი და ყოველივე ახლისა და თამამის, ნიჭიერისა და თვითმყოფადის შემქმნელი და შემფასებელი იყო. ამიტომაც სრულიად ლოგიკური მომეჩვენა, რომ ფონდი "ტატოს" მიერ განხორციელებული პირველი პროექტი საქართველოში დღემდე, ფაქტობრივად, არარსებული, თანამედროვე ბალეტის განვითარებას მიეძღვნა. ჩემი აზრით, ძალიან დასაფასებელია, რომ კუბის სახელმწიფო მოდერნ ბალეტის დასის სოლისტმა დიანკო კარალერო-ესპინოსა ტატო კოტეტიშვილის პიროვნული არაორდინარულობით მოიხიბლა, დაინტერესდა, თავისებური პატივი მიაგო და ტატოს სახელობის ფონდის ახალი პროგრამის ერთ-ერთ ინიციატორობაზე და სოლო გამოსვლაზე დათანხმდა. ბოლო წლებში ქართული კლასიკური ბალეტი ისეთ სავალალო მდგომარეობაში იყო, რომ თანამედროვე ბალეტისთვის სულ მთლად არავის ეცალა, მასზე არც კი ვოცნებობდით. აქედან გამომდინარე კი გულახდილად გეტყვით, რომ თანამედროვე ბალეტში ცოტა რამ გამეგება და სანახაობას სრულიად ზედაპირულ-დილეტანტურად, მხოლოდ ემოციის თვალსაზრისით ვაფასებ. ამიტომაც, სამეფო უბნის თეატრის სცენაზე დიანკო კარალერო-ესპინოსას მიერ შესრულებულ სოლო ნაწარმოებს - "მათქმევინე" - ქორეოგრაფიის ნოვატორობის, შესრულების მანერისა და ხარისხის მიხედვით ნამდვილად არ გავარჩევ. ერთს კი ვიტყვი, რომ წარმოდგენის მსვლელობის ხანმოკლე დროის მანძილზე სცენას, მოცეკვავეს, მის პლასტიკას, მკვეთრ, რითმულ მოძრაობებს, ტემპერამენტს, ემოციურობას, სამსახიობო და საცეკვაო ნიჭს, ჩემთვის სრულიად ახლებურ ქორეოგრაფიას ინტერესით ვუყურებდი, კუბური რითმებით გაჯერებულ თანამედროვე მუსიკას ვუსმენდი და ვცდილობდი გამეგო, ამომეკითხა და შემეგრძნო ყველაფერი, რისი თქმაც მოცეკვავეს უნდოდა. კუბის - სრულიად უცხო, შორეული ქვეყნის კულტურა, თანამედროვე ბალეტის ახალი, ჩემთვის, ფაქტობრივად, უცნობი ფორმა, კონცეფცია, ჩანაფიქრი, პლასტიკის ენაზე მოსაუბრე სოლისტი და მაღალი ხელოვნების ყველასათვის გასაგები, საერთაშორისო ენა, რომელიც არასდროს შეგაცდენს.

წარმოდგენიდან გამოსულებს, დაშლა არავის უნდოდა და სამეფო უბნის თეატრის სიმყუდროვისა და განსაკუთრებული აურის შემდეგ შარდენის ასევე მყუდრო ქუჩის კაფეში შესვლა გადავწყვიტეთ, მაგრამ ხელოვნებისგან ფრთებშესხმულები კარებშივე შეგვაჩერეს, მიწაზე დაგვაბრუნეს და მიუხედავად იმისა, რომ კაფეს "ფრანგული" სავარძლების უმეტესობა ცარიელი იყო, ჩვენ, როგორც ჯავშანის არმქონეები, უკან გაგვაბრუნეს. ფრანგი კურტიზანი ქალის ბუდუარის სტილში გადაწყვეტილ კაფეში თურმე მხოლოდ წინასწარი ჩაწერით უშვებენ. არასდროს და არსად გამიგია კაფეში ყავის დასალევად ადგილის დაჯავშნის სისტემა. კაფეს ადმინისტრაციის ამგვარმა პრეტენზიულობამ საკმაოდ გაგვალიზიანა და უარყოფითი შთაბეჭდილებების გასაქარწყლებლად და საღამოს გადასარჩენად, ერეკლეს ქუჩისკენ ფეხით გავისეირნეთ, სადაც სწორედ ტატო კოტეტიშვილის და ნანახი წარმოდგენის შესაბამისი, ყოველგვარ ბურჟუაზიულ მეშჩანობას მოკლებული აურაა. გუგა კოტეტიშვილის პატარა სახელოსნოს მივადექით, ექსპრომტად ქუჩაში გამოტანილ, ლამაზ, ჭრელ სუფრაგადაფარებულ მაგიდას შემოვუსხედით, თანამედროვე ბალეტისგან მიღებული შთაბეჭდილებები გავარჩიეთ, ტატო გავიხსენეთ, გუგას ესთეტიკით დავტკბით, ჩაი და ცუდი ჩამოსასხმელი ღვინო დავლიეთ და წამოსული წვიმის მიუხედავად, მაინც არ დავიშალეთ. მალე კუბელი მოცეკვავე დიანკო კარალერო-ესპინოსა და მისი ცოლი, ნატო ფირცხალავაც შემოგვიერთდნენ, ერეკლეს ქუჩის ქვაფენილზე გუგამ ლამაზი, დაფლეთილი ხალიჩები დააფინა, რომლებიც ერთ წუთში ნაცნობებით შეივსო და საკმაოდ გვიან ღამემდე, ყოველგვარი ჩაწერების, წინასწარი რეზერვირებისა და ე.წ. ფეის-კონტროლის გარეშე სრულიად განსხვავებული ასაკის, პროფესიის, შეხედულებებისა და მენტალიტეტის ადამიანები პირდაპირ ქუჩაში ვისხედით და ტატო კოტეტიშვილისთვის და, როგორც გაირკვა, კუბელი მოცეკვავისთვისაც ასეთი ორგანული, ღირებული, თავისუფალი, მეგობრული, უპრეტენზიო, შემოქმედებითი განწყობით ვტკბებოდით.

იმ საღამოს ტატომ ჩვენ ახალი კუბელი მეგობარი შეგვძინა.

## არაჩვეულებრივი "არაჩვეულებრივი გამოფენა"

პირველ რიგში, მადლობა მინდა გადავუხადო ჩემთვის დღემდე უცნობ და, ამავე დროს, თურმე უამრავი კეთილი საქმის გამკეთებელ კინოცენტრ "ფიფქიას", რომლის წევრთა ინიციატივით ამ კვირაში "არაჩვეულებრივი გამოფენის" 35 წლისთავი და გენიალური ქართველი მსახიობის დოდო აბაშიძის 80 წლის იუბილე აღინიშნა და ჩვენ კი, უბრალო მაყურებელს, ქართული კინემატოგრაფის ამ უკვდავი შედევრით სიამოვნების კიდევ ერთი საშუალება მოგვეცა.

ჩემი, როგორც ერთი რიგითი მაყურებლის აზრით, მეორე ისეთი ქართული ფილმი არ არსებობს, რომელიც "არაჩვეულებრივ გამოფენაზე" მეტად სახალხო გამხდარიყო, რომლის გემოვნებიანი, დახვეწილი, დღეს ასეთი დეფიციტური იუმორი, ქართული იუმორის კლასიკად იქნებოდა აღიარებული, რომლის ნებისმიერი ფრაზა - "Скорей, скорей, в постель, постель", "შენ ის პიპინია არა ხარ, პორტ-არტურიდან საკუთარ ცხენს რომ გამოასწარი", "ასეთი ჩვენ ქალაქში დიმიტრია გელოვანი", "Защищайся несчатный Немцович", "Сам выбирай колор и сам красъ", "Волга, волга, мать родная", "ისეთი тетри, тетри", "თვალი გავს? გავს. ცხვირი გავს? გავს" და უამრავი სხვა, დიდსა თუ პატარას, მთელ ერს ზეპირად ეცოდინება, ათწლეულები ემახსოვრება. მეორე ისეთი ფილმი დამისახელეთ, სადაც ქართული კულტურის, ინტელიგენციის ამდენი, ასეთი კოლორიტული წარმომადგენელი იქნება დაკავებული. მითხარით ფილმი, რომელიც თავისი განუმეორებელი სითბოთი, ადამიანურობით, ჰუმანურობითა და სიღრმით ერთდროულად ასე გაცინებდეს, გატირებდეს და გაფიქრებდეს. მეორე ისეთი ფილმი დამისახელეთ, რომლის სანახავად მუდამ მზად ხარ და ყოველ ჯერზე, როგორც პირველად, ისეთი სიამოვნებითა და განცდით უყურებ. დამისახელეთ ფილმი, რომლის თითოეული პერსონაჟი - პიპინია, აგული, გლაფირა, შავლეგი, აკიმი, თინას ძმები, ქვრივი თუ სხვები, ჩვენი ცხოვრების ნაცნობი, საყვარელი, დაუვიწყარი, მუდმივი მეგზურები იყვნენ. ადამიანი არ არსებობს, რომელსაც სკოლაში, კლასში რადიატორთან მჯდომი კლასელი - ვალოდია ჯინჭარაძე არ ჰყოლოდა. არ არსებობს ცხოვრებისეული სიტუაცია, რომელთანაც "არაჩვეულებრივი გამოფენის" ნებისმიერ, იუმორისტულ თუ სევდიან ეპიზოდს, პარალელი არ ჰქონდეს. დამისახელეთ ფილმი, რომელიც ასევე ხშირად გვაგონდებოდეს, ვცტირებდეთ და მუდამ გვეღიმებოდეს. არ არსებობს ფილმი, რომელიც ბებიების და ბაბუების, შვილების და ახლა უკვე, შვილიშვილების თაობისთვისაც ერთნაირად საყვარელი, გასაგები, გულწრფელი, ნაღდი, სუფთა, მარტივი და გენიალური იყოს. მეორე ისეთი ფილმი დამისახელეთ, რომელმაც დროს ასე გაუძლო.

"არაჩვეულებრივი გამოფენა" ერთი, საოცრად ოპტიმისტური ფრაზით მთავრდება - "მე ამისგან გავაკეთებ!" ეგება, ქართული კინო მართლაც როდისმე გამოცოცხლდება და "არაჩვეულებრივი გამოფენის" მიახლოებით მსგავს რამეს მაინც კიდევ გააკეთებს. ყოველ შემთხვევაში, რეზო გაბრიაძემ, ელდარ შენგელაიამ, დიმიტრი ერისთავმა, გია ყანჩელმა, გია გერსამიამ, ჯანო კახიძემ, გურამ ლორთქიფანიძემ, ვასილ ჩხაიძემ, დოდო აბაშიძემ, სალომე ყანჩელმა, თემიკო ჩირგაძემ და ფილმის შემქმნელმა უამრავმა სხვა პიროვნებამ ქართული ნიჭი ისე შთამბეჭდავად გვარწმუნა, რომ დღესაც, 35 წლის შემდეგ, მე, ისევე როგორც ათასობით სხვა მაყურებელს, ქართული კინოს, ჭეშმარიტი იუმორის, გემოვნების, შინაგანი კულტურის, ადამიანურობის, ინტელიგენტობის, სამშობლოს, საქმის, ადამიანის სიყვარულის და დაუვიწყარი თვითმყოფადობისა და კოლორიტის მქონე თაობის უკვდავების მჯერა.

## სად წყნეთი და სად გარდაბანი?







ნოემბრის რევოლუცია მოხდა. მთავრობა, პოლიტიკური კურსი შეიცვალა. ვცდილობთ მენტალიტეტი, ქვეყნის მართვის სისტემა გავაუმჯობესოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით, საბჭოთადროინდელ აბსურდულობასა და ალოგიკურ გაუგებრობას კვლავ ყოველ ნაბიჯზე ვეჯახებით. ეს კი ჩვენს ყოფაზე, პასუხისმგებლობის შეგრძნებაზე, საქმისადმი დამოკიდებულებაზე და რეალურ შედეგებზე მკვეთრად უარყოფითად მოქმედებს. მაგალითად, ჩემთვის სრულიად გაუგებარი და მხოლოდ და მხოლოდ საბჭოთა სისტემით ახსნადია, რომ თბილისის მიმდებარე და ოდითგან თბილისელების და მხოლოდ თბილისელების ზაფხულის დასასვენებელი დაბა ბაგები, წყნეთი, კიკეთი, ახალდაბა და სხვა, გარდაბნის რაიონს ეკუთვნის. გამაგებინეთ, სად გარდაბანი და სად წყნეთი, ან, მით უმეტეს, ბაგების ზედა ნაწილი? ერთხელ მაინც თუ გაგიგიათ ან გინახავთ გარდაბნიდან წყნეთში საქმეზე, ან დასასვენებლად ვინმე ჩამოსული? საბჭოური დროის ქვეყნის რაიონებად დაყოფის აბსურდიულობის დღევანდელი შედეგიც სახეზეა - გარდაბნის რაიონს სრულიად ალოგიკურად მიკუთვნებულ ყველა სოფელში თუ დაბაში ერთნაირი უპატრონობა, უინტერესობა, მოუვლელობა, გაპარტახებულობა და ანტისანიტარია მძვინვარებს. ასეთი "პრესტიჟული" წყნეთის ტრასის "პრესტიჟულობა" იქ მთავრდება, სადაც დასახლების დასაწყისში გზა ორად იყოფა და ერთი ყოფილი ბიუროს ზონისკენ, დღეს კი მთავრობის უმაღლესი ეშელონების აგარაკებისკენ, მეორე კი უბრალო მოკვდავებისკენ მიდის. "ბიუროს ზონის" აგარაკების პოვნა თუ მოგინდათ, შეგიძლიათ არც გაიკითხოთ, გზას პირდაპირ ხარისხის მიხედვით გაჰყვეთ და ტაძარს თუ არა, რომელიმე ჩინოვნიკის აგარაკს ისედაც მიადგებით. აი, რამდენად ადვილად და უსაფრთხოდ მიაღწევთ კიკეთამდე, ახალდაბამდე ან განსაკუთრებით, წვერამდე, ეს უკვე მხოლოდ თქვენ და თქვენი მანქანის შესაძლებლობებზეა დამოკიდებული. "პრესტიჟული" წყნეთი მთავრდება და ოდესღაც დაგებული ასფალტი საერთოდ ქრება, სამაგიეროდ, არაცივილური და გაუმართლებელი ნაგავსაყრელები იწყება.

წლების განმავლობაში ჩვენი ოჯახი კიკეთში ისვენებს და კვირაში რამდენჯერმე დატვირთულს ასვლა მიწევდა, თუმცა უკან ბევრად უფრო მეტად, ოღონდ, ნაგვით სავსე პარკებით დატვირთულს მიხდებოდა დაბრუნება. ნაგავი თბილისამდე წესიერად მომქონდა და ვაკის პირველივე სანაგვე ბუნკერში ვაგდებდი. წელს ნაგვის პრობლემის საკითხში კიკეთს ოდნავ ეშველა და ორ დღეში ერთხელ მანქანამ დაიწყო სიარული, რომელსაც კიკეთის დამსვენებლები გულის ფანცქალით ველოდებით და საქორწილო ფაეტონივით უკან მივსდევთ. კიკეთში ნაგვის მანქანა კი გამოჩნდა, მაგრამ გზაზე ყვავილებივით მიმობნეული ნაგვის ფერადი პარკების რაოდენობა ოდნავაც არ შემცირებულა. ამიხსენით, ნორმალურია, რომ გზის მთელ მონაკვეთზე ერთი ბუნკერიც არ იდგეს და წყნეთის, ახალდაბის ან ბეთანიის ყველა დამსვენებელი იძულებული იყოს, თბილისისკენ მიმავალი ნაცნობი თუ უცნობი ნაგვით დატვირთოს, ან ქვეყნის ეკოლოგიურ კატასტროფაში აქტიური მონაწილეობა მიიღოს და ნაგავი ტყეში, მინდორში ან პირდაპირ გზის პირას დააგდოს?! წყნეთი-კიკეთი, წყნეთი-ახალდაბის ულამაზესი გზა ნაგვის საყრელად არის გადაქცეული, სადაც მათზე მოთარეშე, კარგად მოსუქებულ ღორებს, რომლებსაც, სხვათა შორის, ჩვენვე მივირთმევთ, და უპატრონო ავ ძაღლებს რამენაირად გვერდი უნდა აუაროთ; თუ ფანჯრის აწევა ვერ მოასწარით, ნაგვის სრულიად არასასიამოვნო, ჯანმრთელობისთვის სახიფათო სურნელი უნდა შეიყნოსოთ და უნებლიეთ გარდაბნის, ჩემი აზრით, უდანაშაულო გამგებელი, ან უფრო ლოგიკურად, მაგრამ ასევე უდანაშაულო ქალაქის მერია ან წყნეთის გამგებელი მოიხსენიოთ, რომელსაც უფლებამოსილება და პასუხისმგებლობა წყნეთის დამთავრებისთანავე უმთავრდება. არ ვიცი ვისთან, რომელ ერთ უწყებასთან უფრო უნდა გვქონდეს პრეტენზია, მაგრამ სანიტარული მდგომარეობა რომ საგანგაშოა, ამაში, იმედი მაქვს, ყველა დამსვენებელი დამეთანხმება. შორეულ გარდაბანს ხმას ვერც კი მივაწვდენთ; თბილისის მერია, რომლის თანამშრომელთა უმრავლესობის ოჯახები, დარწმუნებული ვარ, წყნეთში, ან სადმე ახლომახლო ისვენებენ (თუმცა ისეთ ასაკში არიან, შეიძლება დედები თავად ასვენებენ), ჩვენ რა შუაში ვართო იტყვის; წყნეთის გამგებელს კი, ალბათ, სისულელეებისთვის არ სცალია. ჩვენ კი ამასობაში ნაგავში ჩავიხრჩვებით.

მაინტერესებს, ურთიერთგადაბრალების, პასუხისმგებლობის თავიდან აცილების, დემაგოგიური პასუხების დრო როდის დამთავრდება, ელემენტარულ ადამიანურ ყოფას როდის მოევლება, როდის დაფიქრდებიან იმაზე, თუ ვის რა ეკუთვნის და როდის მიხვდებიან, რომ წყნეთიც, კიკეთიც, კოჯორიც ჩვენ ყველას ერთად გვეკუთვნის, ჩვენი მოსავლელი, გასასუფთავებელია. და თუ ადამიანური სახე გვინდა შევინარჩუნოთ, ღორებივით ნაგავში არ ვიცხოვროთ, თავი არ ვიტყუოთ, რომ შვილებს ჟანგბადს ვასუნთქებთ - საქმე ყველას გასაკეთებელია.

# მშვენიერი და ძლიერი სქესი

რომის პაპმა იოანე პავლე II ფემინიზმის წინააღმდეგ გაილაშქრა. "წერილში მამაკაცისა და ქალის მსოფლიო ეკლესიაში თანამშრომლობის შესახებ" ვატიკანი ფემინიზმს "მამაკაცსა და ქალს შორის ბიოლოგიური განსხვავების უგულებელყოფაში" ადანაშაულებს.

37 გვერდიანი წერილი დღეს რომში გამოქვეყნდება - მანამდე დოკუმენტში თვალის ჩაკვრა "ბილდის" ჟურნალისტებმა მოახერხეს. მისი შემდგენელი კარდინალი იოზეფ რაცინგერი ყოფილა. წერილში ნათქვამია, რომ პაპი ერთი სქესის მქონე ადამიანთა დაწყვილებასაც მტრულად უყურებს. ის თავის მრევლს ახსენებს, რომ ღმერთმა "ქრისტიანული ქორწინება ისურვა, ქორწინება მამაკაცსა და ქალს შორის, რომელთაც ერთმანეთი უნდა შეავსონ", და არა მამაკაცებისა თუ ქალების უნაყოფო თანაცხოვრება.

პაპი მსოფლიოს მთავრობებს მიმართავს: "შექმენით პირობები იმისთვის, რომ ქალებს ოჯახში თავიანთი მოვალეობის შესრულება შეეძლოთ, რასაც ხშირად მათი სამსახური უშლის ხელს".

მაგრამ პაპის სიტყვები უკვე ვეღარაფერს შეცვლის. ეს არა მარტო ქალებისთვის, არამედ მამაკაცთათვისაც სავალალო აღმოჩნდა. ასე, ორი მამაკაცი ვერასოდეს წარმოიდგენდა, რომ 20 წლის ნაზი გოგონა, თან სილამაზის დედოფალი, თვალისმომჭრელ გარეგნობასთან ერთად, ძიუდოს ილეთებსაც ფლობს.

ლარისა დელ მარ ფილაო წელს, 3 აპრილს, თავისი სამშობლოს, დომინიკანური რესპუბლიკის ულამაზეს ქალად აღიარეს. ზუსტად ოცდაათი წლის წინათ ეს ჯილდო დედამისსაც რგებია.

ფიალო ეჭვობს, რომ ვაჟკაცებს მისი მოტაცება უნდოდათ. სანტო დომინგოში, სავაჭრო ქუჩაზე, მას ორი უცნობი დაეტაკა და მანქანისკენ წაათრია. "მე თავს ვიცავდი. მაშინ იმათ ცემა დამიწყეს," მოჰყვა ფიალო. მაგრამ ლამაზმანს, კლასიკური ბალეტის გარდა, ორთაბრძოლის ხელოვნებაც ჰქონდა ნასწავლი: მან ერთ-ერთი თავდამსხმელი, სხვათა შორის, სწორედ ის, რომელიც უფრო დიდი იყო, მიწაზე სამჯერ დასცა. როგორც ჩანს, ამ სანახაობამ ნაცემის პარტნიორზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა: მამაკაცებმა ფიალოს თავი დაანებეს.

მართალია, ფიალოც ძალიან დაშავდა - ზურგზე, სახესა და მკლავებზე სისხლჩაქცევები და ჭრილობები აქვს, საავადმყოფოდან მხოლოდ გუშინ გამოწერეს; მაგრამ მსოფლიოს ქალები მისით მაინც აღტაცებულნი არიან: "ჰკა მაგათა!"

არანაკლები მხარდაჭერით ანა ნიკოლ სმიტი სარგებლობს. ის ყველა ქალს უყვარს, მსუქანსაც და გამხდარსაც, რადგან, მოგეხსენებათ, თავად ანა ნიკოლი ხან მსუქანია, ხან გამხდარი, და ნებისმიერ მდგომარეობაში შეუძლია მამაკაცთა აღტაცების გამოწვევა.

ამჟამად ის გამხდარია, და ვინაიდან მეტისმეტად სწრაფად გახდა, ბოროტი ენები ასისინდნენ, კუჭის დაპატარავების ოპერაცია გაიკეთაო. ნაცვლად იმისა, რომ ავის მოსურნეებთან კამათში ჩაბმულიყო, ანა ნიკოლმა გაიხადა და ასე, დედიშობილამ გადაიღო სურათები მოდების ჟურნალ "ფეშენ ვიქისთვის". აბა, სად ხედავთ ოპერაციის კვალს?

როგორც ხედავთ, დღევანდელი ქალები დიდ ფულსაც აკეთებენ, მაგრადაც ჩხუბობენ და თავიანთი ქალობითაც ძალიან კმაყოფილნი არიან. გაზეთ "ბილდის" რეპორტიორები თვლიან, რომ მათთვის თითის დაქნევის ნაცვლად მამაკაცებმა მოქცევა და საიდუმლოს შენახვა უნდა იცოდნენ. თორემ იმის შემდეგ, რაც ამერიკულ ჟურნალ "გლოუბში" სამი ვარსკვლავის ყოფილი საყვარლების მოგონებები გამოქვეყნდა, ძალიან საეჭვოა, ვინმეს თავისი მოღვაწეობის შემოფარგვლა ოჯახური მოვალეობების შესრულებით მოუნდეს.

საძაგელი ისტორიაა: 39 წლის ლიზ ჰარლის ყოფილმა შეყვარებულმა, კინოპროდიუსერმა ვილიამ ენესლიმ "გააბაზრა", ლიზს პრანჭვა უყვარს და ცოტა გადახრილია, სკოლის მოსწავლე გოგონას ფორმის მსგავსი ტანსაცმლის ჩაცმა უყვარსო. "თავად განსაჯეთ," - ხარობს "ბილდი", "ვინაა გადახრილი, ლიზი თუ ვილიამი?" კიდევ უკეთეს ამბავს 23 წლის პერის ჰილტონის პორნო-პარტნიორი რიკ სალომონი მოჰყვა: "პერისი ექსჰიბიციონისტია. სექსის დროს აუცილებლად იხდის," - საოცარია! მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავს აწ უკვე 46 წლის შერონ სტოუნის ანონიმური საყვარელი ჰყვება: "სექსში ოლიმპიური ნაკრები რომ არსებობდეს, ის კაპიტანი იქნებოდა". როგორც ჩანს, სამივე ვაჟკაცს მიაჩნია, რომ არაჩვეულებრივი ინფორმაციის გავრცელებისთვის ყოფილი საყვარლები მადლიერნი დარჩებოდნენ.

მოდი და ნუ გაბრაზდები! ისწავლის ასეთი ქალი ძიუდოს ილეთებს, აბა, რას იზამს!



ლიზ ჰარლი



ანა ნიკოლ სმიტი

## სკანვორდი



## TV პროგრამა

*31 ივლისი*

### რუსთავი - 2

**08.00** კლასიკა **08.30** მულტსერიალი "ჯადოქარი" **09.00, 12.00, 15.00** კურიერი **09.20** მულტფილმი **11.05** ოქროს ვარდის გამოქვაბული **12.20** "სიმფსონები" **12.50** მხ. ფილმი "გარიყული" (გ) **15.20** სიდნეის ოლიმპიადა **16.00** მხ. ფილმი "უნებლიე მილიონერი" (გ) **17.00** უიმბლდონის ფინალი ქალთა შორის **18.00, 21.00, 02.30** კურიერი **18.20** თანამედროვე ტექნოლოგიები **19.15** სერიალი "სუფთა ინგლისური მკვლელობები" **22.00** საოჯახო ტოტო. **23.00** "ფსიქო"- "დერსუ უზალა". რეჟ. აკირა კუროსავა (18). **02.50** მხ. ფილმი "დამიჭირე თუ შეგიძლია" მთ. რ-ში: ლეონარდო დი კაპრიო (18).

### TV5

**06.00, 08.00,** 10.00(კანადა) **12.00,** 15.00(ბელგია) **16.00, 18.00, 20.00, 24.00,** 02.10(შვეიცარია), 02.35(აფრიკა), **04.00** TV5-ის საინფორმაციო გადაცემები. **11.00, 14.00, 19.00, 22.00** TV5-ის საინფორმაციო გამოშვებები. **07.00** საუბრები კულტურათა შესახებ. დაკარი. **08.25** საბავშვო გადაცემა კარინ დელფინისთან ერთად. "ბიდუმ ბიდუმ" **12.15** ნადია კუპო. ტელესერიალი. **16.30** რეპორტაჟები სოციალურ თემებზე. **19.05** ბაროკოსთან დაბრუნება. დოკ. ფილმი. **20.30** კრიმინალი. ტელესრიალი. **24.35** ექიმი სილვესტრი. ტელესერიალი. **04.20** გადაცემა: პირადი და საზოგადოებრივი ცხოვრება.

### ƷƧƬ

**07.30** მუსიკა **10.00** ტოროლა **13.00** ქართული მუსიკა **15.00** ინფორმატორი **16.00** მუსიკა **17.00, 19.15** მუსიკა **19.00, 20.00, 21.00, 22.00** ინფორმატორი **19.30, 20.15** ვიდეორადიო **21.15** მუსათეული **22.35** მუსიკა **23.00** პოპ. ად. ათეული **03.00** "ბრავო" "დიდი ტურნე". კომედია.

### პირველი არხი

**08.00, 12.00, 15.00, 20.00, 00.00** მოამბე **08.15** სერიალი "ოჯახური ურთიერთობანი" **10.00** დილის პაემანი **11.05** მხიარული კარუსელი **11.30** საქართველო არის ესე **12.15** მხ. ფილმი "გააღეთ პოლიციაა!" **14.00** სერიალი "სასახლე მზეზე" **15.15** სერიალი "რვაფეხა" **17.00** დოკ. სერიალი "ცხოველთა ბედი" **18.00** ვესტნიკი **18.40** იმღერე რამე **19.15** ტელეზღაპარი **19.30** ისტორიანი **20.35** სტუმარდ მსახიობთა სტუდიაში - მაიკლ მაიერსი **21.20** ფორტუნა **22.30** "საღამოს საუბარი" **23.20** "მუსიკალური არჩევნები" **00.15** ვიდეოფილმი "საქართველო მე-20 საუკუნე" **00.35** მხ. ფილმი "პრინცესა დი" (15)

### 202

**10.00** დებატები 202-ზე **11.30** მულტფილმი **12.00** მხ. ფილმი "ლეონი" (15) **14.00** მუსიკა **15.00** მხ. ფილმი "სახიფათო სიმართლე" (რაიან ფილიპი) (გ) **17.00** მუსიკა **18.00** მულტფილმი **20.00** მხ. ფილმი "ბეჭდების მბრძანებელი" (გ) **22.00** მუსიკა **23.00** დებატები 202-ზე **00.00** მხ. ფილმი "დედოფალი მარგო" (იზაბელ აჯანი) (18)

### მზე

**09.00** მულტფილმი "პრინცესა შეჰერაზადა" **09.30** საბ. სერიალი "პატარა მოჩვენებები" **10.00** მულტფილმი "101 დალმატინელი" **11.35** საბ. სერიალი "რობინზონების ოჯახი" **12.30** მხ. ფილმი "ეროვნული უშიშროება" (გ) (მარტინ ლოურენსი) **14.00, 17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **14.30** მხ. ფილმი "ტყუპები" (გ) (დენი დევიტო) **16.30** დოკ. სერიალი "მსოფლიო კულტურის საგანძური" **17.10** ვესტერნი მზეზე "მარტოხელა მტრედი" **18.05** სერიალი "არ გაუშვა" **19.00** სერიალი "ქვეყნის კიდეზე" **20.30** "ჩვენები: ქართველები საბერძნეთში" -მე-4 ნაწილი. **21.15** მხ. ფილმი "თამაში გზაზე" (გ) (სტეისი კი) **23.00** მხ. ფილმი "გამოღვიძება რინოში" (15) (ბილი ბობ ტორნტონი)

### მეორე არხი

**19.00** მულტფილმი "პაპირუსის თავგადასავალი" **19.30** სერიალი "ეშმაკუნა"(გ) **21.00** მუსიკალური ოქტაგონი **22.00** მხ. ფილმი "საღამოს ტანსაცმელი აუცილებელია" (15)

### კავკასია

**13.00** მუსიკა **17.00** მხ. ფილმი "ცხელი ზაფხული" (გ) **19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.30** "საწინდარი" **21.00, 00.20** მუსიკა

### იმედი

**09.00, 13.00, 15.00, 17.00, 19.00** ქრონიკა **09.15** სერიალი "ტყუპები" **10.05, 11.30, 18.00, 02.00** იმედის მელოდიები **10.20** ანიმაც. ფილმი "დაკარგული განძის ქვეყანა" **10.30** დილის ფოსტა **11.00, 01.10** ტვ-მარკეტი **12.00** "პირველები" **12.30** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.10** სერიალი "უკიდურესი ზღვარი" **13.35** არჩევანი თქვენ **15.15** მხ. ფილმი "ნემსიყლაპია" (გ) **17.05** დოკ. სერიალი "ბუნების გენიოსები" **18.30** დოკ. სერიალი "ისტორიის ერთი კვირა" **19.30** "ვაკაჭი-ნიუსი" **20.00** სერიალი "შერლოკ ჰოლმსის დაბრუნება" მე-7-8ს. **22.00, 01.40** ქრონიკა **22.30** კლიპ-ლოტო **23.30** მხ. ფილმი "9 იარდი" (ბ. უილისი) (გ)

### იბერია

**18.00** მხ. ფილმი "დათვი" (გ) **19.50** დოკ. ფილმი **20.30** სილუეტი **21.50** დოკ. ფილმი **22.30** მხ. ფილმი "ევოდანის ურჩხული" (15)

### აჭარის ტელევიზია

**08.30, 00.55** საინფორმაციო დაიჯესტი **08.50** მუსიკა **09.00** მულტფილმი "იმპერატორის თავგადასავალი" **10.15** სათავგადასავლო ფილმი "ჰენსელი და გრეტელი" **11.45** მუსიკა **12.00** დოკუმენტური ფილმი **12.30, 20.30** საინფორმაციო გამოშვება **12.45** ვესთერნი "რაზმი" **14.30** მუსიკა **14.40** მელოდრამა "სილვია" **18.05** მუსიკა **18.30** ფანტასტიკა "პეპლის ეფექტი" **20.20** "მზე აქ შემიჩერებია" **21.00** დრამა "ბიჭები" **22.30** "ზღვარი" (ზ.ჭკუასელი) **23.15** ბოევიკი "გატაცება 60 წამში" **01.15** მხ. ფილმი "მაიმუნების პლანეტა" **03.10, 05.40** მუსიკა **03.30** თრილერი "თოვლით დაბრმავება"

### ОРТ

**06.00, 10.00, 12.00, 18.00** Новости **06.10** Сериал "Все путешествия команды Кусто". "Сумерки на Аляске". **07.00 Приключенческий фильм "Американский хвост" 08.20** Играй, гармонь любимая! **09.00** Слово пастыря **09.10** Здоровье **10.10 Бокс. Майк Тайсон - Дэнни Уильямс 11.10** "Возвращение домой. Гоша Куценко. Львов" **12.10** Лидия Федосеева-Шукшина в комедии **"Трын-трава" 14.00** Дисней-клуб: "Приключения Мики и Дональда" **14.30** Умницы и умники **15.10** "Программа передач на вчера" **16.00 Сериал "Приключения молодого Индианы Джонса" 17.50** Классика Уолта Диснея. Впервые в России **18.20** Георгий Вицин в комедии **"Опекун" 20.00** "Кто хочет стать миллионером?" **21.00** Время **21.20** Летний вечер на Первом канале **22.40 Бокс. Майк Тайсон - Дэнни Уильямс 23.30** Жан-Клод Ван Дамм в боевике **"Под откос" 01.30** Премьера. Вэл Килмер в фильме **"С первого взгляда" 03.45** Гвинет Пэлтроу в фильме **"Сильвия"**

### НТВ

**06.10** Остросюжетный фильм **"РОБОТ-ПОЛИЦЕЙСКИЙ-2" 08.00, 12.00, 16.00, 19.00** Сегодня. **08.20** "Улица Сезам". **08.45** "Без рецепта". Доктор Бранд. **09.15** Премьера. "Тайна черных песков". **10.00** Кулинарный поединок: Леонид Якубович - Георгий Боос. **11.00** Квартирный вопрос. **12.15** Криминальная Россия: месть чемпиона. **12.55** Вкусные истории. **13.00** Джулия Робертс в фильме **"ФАНТАСТИЧЕСКАЯ ПИЦЦА" 15.05** Коллекция Национального географического общества. Акулы. **16.20** "Женский взгляд". Лариса Долина. **16.55** Андрей Соколов в сериале **"ЛИНИЯ ЗАЩИТЫ". 1-я с. 18.00** Своя игра. **19.35** Максим Суханов в остросюжетном фильме **"24 ЧАСА". 21.30** Фильм Л.Парфенова "Российская империя. Александр I". Часть 1-я. **22.45** Сильвестр Сталлоне в боевике **"СКАЛОЛАЗ" 01.05** Комедия **"ДЕВОЧКИ СВЕРХУ"**

# მანგა!

ეს მამაცი მებრძოლი ქალები იაპონური კომიქსის სამყაროში იშვნენ. მათი მისია მსოფლიოს დაპყრობაა. მათ წინ ვერაფერი აღუდგება. მათ ვერავინ ვერ დაჯაბნის. მათი დამარცხება შეუძლებელია.

მათი ავტორი, კანჯო ტაკე, იაპონელი ფოტოგრაფია, რომელიც ჰამბურგში ცხოვრობს. ის ერთბაშად ორი კულტურის მატარებელია, და ჩრდილოეთ გერმანიის მცხოვრებთა მშრალი იუმორისა და ამომავალი მზის ქვეყნის შვილთა ესთეტიკას საუკეთესოდ ითავსებს. მისი კლიენტები და კოლეგები ერთხმად ადიდებენ ტაკეს მიერ გადაღებულ ნატურმორტებს.

გარდა ამისა, ტაკე ომის შემდგომ იაპონელთა თაობას მიეკუთვნება, რომელმაც თავისი საზოგადოება არანაკლებ შეცვალა, ვიდრე 68-იანელებმა - დასავლეთი. მართალია, ისინი სხვა ხერხებს მიმართავდნენ. ამ ხერხთაგან ერთ-ერთი კომიქსი იყო - მანგა.

ტაკეს თქმით, მანგა იმ თაობის სულს ატარებს, რომელიც არასოდეს ასრულებს ბავშვობას.

დახატული ამბები იაპონიაში საუკუნეების წინათაც არსებობდა. ამ სახის ყველაზე ძველი მელნით შესრულებული ნახატები, რომლებზეც ცხოველები და ადამიანებია გამოსახული, ასევე იუმორით სავსეა და თანამედროვე მანგას თვალშისაცემად ჰგავს. თანამედროვე მანგათა ეპოქა კი დაახლოებით 1947 წელს დაიწყო, როცა იმხანად 19 წლის სტუდენტი-მედიკოსი, ოსამი ტეძუკა, უოლტ დისნეისა და მაქსიმუმ ფლეიშერის ხელოვნებით მოიხიბლა. მან 1882 წელს რობერტ ლუის სტივენსონის მიერ დაწერილი "განძის კუნძულის" ნახატი ვერსია ჩაიფიქრა და მას "ახალი განძის კუნძული" დაარქვა. მართალია, ტეზუკას ნამუშევარს მკვეთრად გამოხატული აზიური ხასიათი ჰქონდა: მარტივი ხაზები და სტილი, იაპონურის გარდა, აქ კლასიკური ჩინური მხატვრობის გავლენაც იგრძნობოდა. მისი წიგნის დრამატურგია კი ფილმისას ჰგავდა: მსხვილი კადრები, უჩვეულო, სწრაფად ცვალებადი პერსპექტივები და დიდი დინამიკა. წიგნი უმალვე ბესტსელერად იქცა, ტეძუკა კი "მანგა-ბუმის" მამამთავრად იქნა შერაცხული.

ცხადია, თავდაპირველად მანგა, "დახატული სასაცილო ამბები", სერიოზულად არავის მიუღია. კარგი ოჯახიდან გამოსულ ბავშვებს მანგასთან მიკარებასაც უკრძალავდნენ. კომიქსები ღარიბი ქალაქების ბიბლიოთეკებში დარიგდა, მაგრამ მათი "თავიდან მოცილება" რთული ამოცანა აღმოჩნდა: სულ მალე მანგამ ტელევიზია დაიპყრო და ამრიგად ანიმე შეიქმნა. მერე, როცა პირველი "მანგას თაობა" გაიზარდა, მან საყვარელი წიგნების ხელიდან გაშვება აღარ ისურვა. მათთან ერთად თემებიც "მოზრდილი" გახდა და ხატვის ტექნიკაც დაიხვეწა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ მანგა იაპონური კომიქსია, ანიმე კი - ანიმაციის იაპონური ვერსია. როგორც წესი, - მართალია, გამონაკლისებიც არსებობს, - ანიმე პოპულარული მანგას "გაცოცხლებული" ვერსიაა.



იაპონური კომიქსის გმირები


















## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.